

თავი 5. ადამიანი საზოგადოებაში

ძირითადი სასწავლო რესურსები

აქტივობები

ბეჭდური ტექსტები

მულტიმედიური ტექსტები

მხატვრული

ილია ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“
(ცალკეული თავები)

ჯერი ლუისის პანტომიმური სცენა
„კურიერი“

არამხატვრული

ჟურნალისტის სტატია „თანამედროვე
საზოგადოების სოციალური ფენები“

(საინფორმაციო)

აქტივობა 1. მიამბეთ!

აქტივობა 2. პერსონაჟის დახასიათება

აქტივობა 3. მკითხველის დღიური

აქტივობა 4. პერსონაჟების შედარებითი დახასიათება

აქტივობა 5. ხედვის კუთხე

აქტივობა 6. ერთი პერსონაჟის წერილი მეორის
მიმართ

აქტივობა 7. წერილი პერსონაჟს

აქტივობა 8. ზეპირი ინტერვიუ პერსონაჟთან

აქტივობა 9. ტექსტი და მე, ტექსტი და ტექსტი,
ტექსტი და გარესამყარო

აქტივობა 10. წერილი ავტორს

აქტივობა 12. ტესტი

აქტივობა 13. კვლევითი პროექტი: სოციოლოგიური

გამოკითხვა

აქტივობა 14. დისკუსია

აქტივობა 15: დავამარცხოთ ტავტოლოგია

აქტივობა 16: სიტყვების „რაზარუხის“ წინააღმდეგ

აქტივობა 17. დავაკვირდეთ დეტალებს

ენობრივი ცოდნა და უნარები

კომპოზიტების მართლწერა; რიცხვში მონაცვლე ზმნები; რთული წინადადების სინტაქსი, წევრ-კავშირი „რომელიც“ (მისი ადგილი და შეთანხმება ასახსნელ წევრთან); პარონიმები (მაგ., ეკონომიკური, ეკონომიური)

თემატური საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები

- რა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას - ადამიანის არჩევანი, სოციალური წარმომავლობა თუ სხვა ფაქტორები (მაგ., სოციალური წარმომავლობა/სოციალური მიკუთვნილობა, ბედისწერა)?
- რამდენად განაპირობებს ადამიანის წარმომავლობა/სოციალური მიკუთვნილობა სხვა ადამიანების დამოკიდებულებას მისდამი?
- რამდენად შეუძლია/არ შეუძლია ცალკეულ ადამიანს საზოგადოების ან/და სოციალური სტერეოტიპების²⁷ შეცვლა?
- რამდენად გვეხმარება მწერლის გამონაგონი რეალური სამყაროს შემეცნებაში, საკუთარი თავის გაცნობაში?

²⁷სოციალური სტერეოტიპი - ადამიანის მოსაზრება/წარმოდგენა კონკრეტული სოციალური ჯგუფებისთვის დამახასიათებელი ქმედებებისა თუ ნიშან-თვისებების შესახებ. სოციალური სტერეოტიპები, რომლებიც ხშირად ეფუძნება გამარტივებულ, სქემატიზებულ წარმოდგენებს, აბრკოლებს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ცალკეული წარმომადგენლების პიროვნული, ინდივიდუალური მახასიათებლების აღქმა-დანახვას (მაგ., შეხედულება „ყველა ვაჭარი მატყუარაა“).

შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები

შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს შემდეგი სამი აქტივობით:

- საკითხავი დავალებები: სტატია „თანამედროვე საზოგადოების სოციალური ფენები“, აქტივობა 12. ტესტური დავალებები ტექსტის გასააზრებლად (5, 6, 7, 8, 9, 10);
- თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი წერითი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით);

თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი ზეპირი აქტივობა(სტუდენტის არჩევანის მიხედვით).

მოდულის შედეგები	სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები
<p><i>პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა უნდა შეძლოს:</i></p> <p>1. ტექსტის გაანალიზება ჟანრული და კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით.</p> <p>2. ტექსტის გაანალიზება ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სტრუქტურულ-ორგანიზაციული</p>	<p style="text-align: center;"><i>ტექსტის ჟანრი</i></p> <p>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო მახასიათებლები</p> <p style="text-align: center;"><i>ტექსტის კომპოზიცია</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ნაწარმოების მთლიანობას ქმნის კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ერთობლიობა. ▪ კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. <p style="text-align: center;"><i>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად 	<p>ჟანრი: მოთხრობა, საინფორმაციო სტატია</p> <p>თემა, მთავარი იდეა, სიუჟეტი,</p> <p>პერსონაჟი, კონფლიქტი, მოქმედების დრო და ადგილი, ხედვის კუთხე/პერსპექტივა, ფაქტობრივი ინფორმაცია;</p> <p>ფასეულობები/დამოკიდებულებები</p> <p><u>ენობრივ-გამომსახველობითი</u></p>

<p>მხასიათებლების მიხედვით.</p> <p>3. ტექსტის გააზრება-გაანალიზება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.</p> <p>4. ტექსტების შედარება, ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოვლენა.</p> <p>5. ტექსტის ინტერპრეტირება, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.</p> <p>6. სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით.</p> <p>7. წარმატებული კომუნიკაციის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<p>გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მკაფიო სტრუქტურა და ლოგიკურად ორგანიზებამეხმარება ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებაში. <i>ტექსტის ენა, სტილი</i> ▪ ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი ფორმები და სიტყვები გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობაზე/ფასეულობაზე. ▪ ავტორები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ გადმოსცენ სათქმელი, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. ▪ ენობრივისაშუალებების ცოდნა დამეხმარება ტექსტების გაგება-გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. <i>საკომუნიკაციო სიტუაცია</i> ▪ საკომუნიკაციო სიტუაციის ცოდნის გამოყენება დამეხმარება ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში. <i>კონტექსტი</i> <p>კონტექსტის ცოდნა მეხმარება ტექსტის სიღრმისეულად, მრავალმხრივად გაგება-გააზრებაში. <i>ინტერტექსტუალობა</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების აღმოჩენა შესაძლებელია წინარე ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით. ▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების დადგენის შედეგად უფრო ღრმად/მრავალმხრივად გავიზრებ ტექსტის მნიშვნელობას, იდეებს, თემებსა და პერსპექტივებს. <i>ინტერპრეტაცია</i> ▪ ტექსტის მნიშვნელობის ასახსნელად, ახალი კუთხით/ფორმით წარმოსაჩენად შემიძლია გამოვიყენო 	<p><u>საშუალებები:</u></p> <p>ლექსიკა - კომპოზიტები, ფრაზეოლოგიზმები</p> <p>ტროპები; თეზისი, არგუმენტი;</p> <p><u>ტექსტის სტრუქტურა:</u> სათაუ აბზაცი;</p> <p><u>კონტექსტური ფაქტორები:</u> ტექსტის შექმნის ეპოქა, ადგილი, სოციოკულტურული გარემო;</p> <p>ისტორიული ეპოქის ფასეულობები, ღირებულებები, ცოდნის დონე;</p> <p>ინტერტექსტუალური მიმართებები: ალუზია</p> <p>კომპოზიტების მართლწერა; ფრაზეოლოგიზმები; რიცხვში მონაცვლე ზმნები; რთული წინადადების სინტაქსი, წევრ-კავშირი „რომელიც“ (მისი ადგილი და შეთანხმება ასახსნელ წევრთან); პარონიმები (მაგ., ეკონომიკური,</p>
---	--	--

	<p>პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.</p> <p style="text-align: center;"><i>ტექსტის გაგება</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექსტის გაგება არის პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება. ▪ ტექსტის გაგების ხელშესაწყობად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო ცალკეული კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. <p style="text-align: center;"><i>ტექსტის შედგენა-გაზიარება</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექსტის შედგენა-გაზიარება არის კომპლექსური პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება. ▪ ტექსტის შედგენა-გაზიარებისას უნდა: <ul style="list-style-type: none"> ○ გამოვიყენო ქანობრივი მახასიათებლებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა; ○ შევარჩიო და გამოვიყენო კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. 	<p>ეკონომიური)</p> <p style="text-align: center;">➤</p>
--	--	---

შენიშვნა:

ზეპირი ან წერილი შემაჯამებელი დავალებების მიცემისას მასწავლებელმა სტუდენტებს წინასწარ უნდა გააცნოს შეფასების სქემები.

1. ოთარაანთ ქვრივი

იდეები ტექსტის დამუშავებისათვის

➤ მუშაობა ტექსტის გაგება-გააზრებაზე:

- მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ცალკეული ეპიზოდების წაკითხვა კონკრეტული მიზნით (მართული კითხვა);
- საკვანძო სიტყვების მონიშვნა; საკვანძო ეპიზოდის იდენტიფიცირება;
- ინტერაქცია ტექსტში მოცემული ინფორმაციის გასაგებად (საყრდენი კითხვითი სიტყვები: ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ);
- მსჯელობა პერსონაჟ(ებ)ზე, მათი მახასიათებლების იდენტიფიცირება და დასკვნების გამოტანა ტექსტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით: პერსონაჟის ქმედება, მოტივაცია, პორტრეტი, საცხოვრებელი გარემო, სოციალური წრე, ცხოვრებისეული გამოცდილება, ავტორისეული დახასიათება, ღირებულებები, მეტყველება, ურთიერთობა სხვა პერსონაჟებთან, სხვა პერსონაჟთა შეფასებები-დამოკიდებულებები და ა.შ.);

- მოქმედების დროისა და ადგილის მახასიათებლების ამოცნობა და გააზრება ისტორიულ კონტექსტში;
- ტექსტში ასახული სოციალური ფენების იდენტიფიცირება, მსჯელობა/საუბარი მათ მახასიათებლებზე (ტექსტზე დაყრდნობით)
- მსჯელობამთავარ თემაზე/ქვეთემებზე, ტექსტში ასახულ სხვადასხვა საკითხზე („ხიდრატეხილობა“ - სოციალური უთანასწორობა, სოციალური სტერეოტიპები, სოციალური სოლიდარობა, დედაშვილობა, ადამიანის ემოციები-გრძნობები (სიყვარული, ერთგულება) და მათი გამოხატვის გზები, პიროვნული ღირსება და მისი დაცვა, დამოკიდებულება შრომის მიმართ, პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობა ადამიანის საქმიანობის სწორად დაგეგმვა-წარმართვაში, მიმართება „ჩემსა“ და „სხვისას“ შორის, სხვ.);
- ერთი და იმავე პერსონაჟის, მოვლენის/ფაქტის მიმართ დანარჩენი პერსონაჟების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებების, შეხედულებების იდენტიფიცირება; საუბარი/მსჯელობა იმაზე, თუ რისი თქმა სურს ავტორს სხვადასხვაგვარი/ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებების ჩვენებით;
- მწერლის ძირითადი სათქმელის განსაზღვრა;

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

ზემოთ წარმოდგენილი დავალებები ემსახურება I შედეგით გათვალისწინებული უნარების განვითარებას. ამდენად, ამ უნარებზე დაკვირვება და/ან ამ უნარების შეფასება პირველი შედეგის შესრულების კრიტერიუმებით მოხდება.

➤ მუშაობა ტექსტის ინტერპრეტირებაზე:

- სტუდენტების მიერ პერსონაჟების (მათი ქმედებების, ღირებულებების/დამოკიდებულებების) შეფასება, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა თემის, პრობლემის მიმართ - პირად გამოცდილებაზე, წაკითხულ ტექსტებზე, ნაწახ ფილმებზე დაყრდნობით;
- პერსონაჟების „გადმოტანა“ თანამედროვე ეპოქაში (მაგ., მსჯელობა/საუბარი იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა გიორგისა და კესოს ურთიერთობა დღევანდელ ეპოქაში -სათანადო არგუმენტების მოყვანით); რა შეიცვალა/არ შეიცვალა დედისა და შვილების ურთიერთმიმართებაში თანამედროვე საქართველოში;

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

- ინტერპრეტირებასთან დაკავშირებული დავალებები ემსახურება V შედეგით გათვალისწინებული უნარების განვითარებას. ამდენად, ამ უნარებზე დაკვირვება და/ან ამ უნარების შეფასება მეხუთე შედეგის შესრულების კრიტერიუმებით მოხდება.

➤ მუშაობა ტექსტის ენობრივ-გამომსახველობით, ჟანრულ და სტრუქტურულ მახასიათებლებზე

- ცნების - რეალისტური მწერლობა - გაცნობიერება (=ცხოვრებისეული რეალობის, საგნებისა და მოვლენების შეუღამაზებლად ასახვა). გააზრება მიმანიშნებელი ფრაზისა: „იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდაც წაბლიანს დავარქმევ...“ (შესაძლო ინტერპრეტირება: სახელს არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ეს ამბავი სხვა სოფელშიც შეიძლება მომხდარიყო - ტიპურია ადგილი, მომხდარი ამბავი);
- მუშაობა ლექსიკაზე: უცნობი სიტყვების იდენტიფიცირება და მათი მნიშვნელობის დადგენა (კონკრეტულ კონტექსტზე დაყრდნობით, ლექსიკონის გამოყენებით);
- დაკვირვება მწერლის ენასა და სტილზე (კონკრეტულ ეპიზოდებზე/კონტექსტებზე დაყრდნობით);
- სტრუქტურაზე დაკვირვება (მსჯელობა/საუბარი ნაწარმოების თავებად დაყოფის პრინციპზე, თავების სათაურების რაობაზე, დანიშნულებაზე, სათაურების გააზრება მთლიანი ტექსტის კონტექსტში);

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

- **ზემოთ მითითებული დავალებები/კითხვები** ემსახურება I და II შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარებას. ამდენად, ამ უნარებზე დაკვირვება და/ან ამ უნარების შეფასება პირველი და მეორე შედეგების შესრულების კრიტერიუმებით მოხდება.

შენიშვნა: „ოთარაანთ ქვრივის“ ტექსტის გაგება-გააზრებაზე მიმართული ინტერაქციის ჩასატარებლად მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს კითხვები, რომლებიც წარმოდგენილია XI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში.

ტექსტის დამუშავება აქტიური კითხვის სტრატეგიების გამოყენებით

სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია მათ შესთავაზოს არა მთელი ნაწარმოების, არამედ მისი ცალკეული თავების გაცნობა-დამუშავება თემის - „ადამიანი საზოგადოებაში“ - გათვალისწინებით.

სტუდენტები, კერძოდ, შეიძლება გაეცნონ შემდეგ თავებს:

თავი I. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა; თავი II. პილპილმოყრილი მადლი; თავი V (დასაწყისიდან წინადადებად: „ბევრს ამისთანაებს ლაპარაკობდნენ გიორგიზე სოფელში და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა“; თავი VI. გიჟია, თუ რა? თავი XII. უეცარი წვიპურტი; თავი XIII. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის; თავი XVIII. უკანასკნელი განდობა; თავი XIX. ჩატეხილი ხიდი; თავი XX. დასაწყისი განთიადისა. ამ შემთხვევაში ტექსტის მთლიან შინაარსს სტუდენტები გაეცნობიან გამოტოვებული თავების მოკლე პერიფრაზების სახით.

მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ თავებს სტუდენტები გაეცნონ აქტიური კითხვის სტრატეგიების გამოყენებით (აქტიური კითხვის შესახებ იხ. ზემოთ, მე-2 თავში).

ნაბიჯი 1. ტექსტის წაკითხვამდე. ვარაუდების გამოთქმა ტექსტის მთავარ პერსონაჟსა და შინაარსზე სათაურსა და პირველ წინადადებაზე დაყრდნობით.

ა) მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტის სათაურსა და პირველ წინადადებას (პარალელურად აჩვენებს პროექტორზე, ან წერს დაფაზე) შემდეგ ტექსტს:

ოთარაანთ ქვრივი

იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდაც წაბლიანს დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ იყო ოთარაანთ ქვრივი.

მასწავლებლის შეკითხვები (ზეპირი კითხვა-პასუხი):

- ვისზე უნდა იყოს დაწერილი მოთხრობა? (სათაურსა და პირველ წინადადებაში ნახსენებია ოთარაანთ ქვრივი. ამდენად, ეს მოთხრობა ამ ქალზეა დაწერილი. ეს ქალი უნდა იყოს მთავარი გმირი/პერსონაჟი)
- სად ხდება მოქმედება? (სოფელ წაბლიანში)
- რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ სიტყვებიდან: „თუნდაც“ წაბლიანს დავარქმევ“? (ავტორისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს სოფლის სახელს. სიტყვა „თუნდაც“ მიგვითითებს, რომ: 1. ესაა გამოგონილი და არა რეალურად არსებული სოფელი; 2. წაბლიანი ისეთივეა, როგორც რეალურად არსებული სოფლები, ხოლო ოთარაანთ ქვრივისნაირი ქალები რეალურად არსებულ სოფლებშიც გვხვდებიან. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ მოთხრობაში რეალისტურადაა ასახული ქართული სოფლები და ამ სოფლებში მცხოვრები ადამიანები).
- როდის ხდება ეს ამბავი? (ამაზე ინფორმაცია არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ მწერალი რეალისტურად აღწერს ქართულ სოფელს, ეს უნდა იყოს მისთვის კარგად ნაცნობი, ანუ მისი თანამედროვე გარემო. ამდენად, მოქმედება ხდება მწერლის თანამედროვე ეპოქაში - მე-19 საუკუნის 70-იან წლებში).
- რა ინფორმაციას გვაძლევს ტექსტის სათაური მოთხრობის მთავარ პერსონაჟზე? (მარტოხელა ქალია - ქმარი მოუკვდა; ქმარი, შესაძლებელია, იყო ოთარაშვილი; ცხოვრობს უზარმაზარ სოფელში; იმისდა მიუხედავად, რომ წაბლიანი ვეებერთელა სოფელია, მას ყველა იცნობს).
- ავტორი ამბობს, რომ ვეებერთელა სოფელში „ყველამ იცოდა, ვინ იყო ოთარაანთ ქვრივი“. როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, ადამიანი, რომელსაც ყველა იცნობს? (პასუხები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგ., გამორჩეული გარეგნობით, სიმდიდრით, განათლებით, საქციელით, იუმორის გრძნობით; სპორტული/პროფესიული მიღწევების მქონე პირი, სხვასხვა ტიპის ცნობადი სახე, მაღალი თანამდებობის პირი... შემაჯამებელი დასკვნა: ეს უნდა იყოს რაღაცით გამორჩეული ადამიანი).

ბ) მასწავლებელი პროექტორზე აჩვენებს 6 კადრს კინოფილმიდან „ოთარაანთ ქვრივი“ (რეჟისორი: მიხ. ჭიაურელი, 1957 წ.).

მასწავლებლის შეკითხვები (ზეპირი კითხვა-პასუხი):

თქვენი აზრით, ვინ არიან ერთმანეთისთვის კადრებზე გამოსახული პირები? რა ურთიერთობაა მათ შორის? საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნება თითოეული მათგანი? რას გრძნობენ, რას განიცდიან, რა ურთიერთობა/დამოკიდებულებაა მათ შორის? როგორია სიუჟეტი? (/შინაარსი?)

სტუდენტებიგამოთქვამენ ვარაუდებს სიუჟეტზე, ფილმის გმირებზე, მათ შორის არსებულ შესაძლო ურთიერთობებზე. აუცილებელია, რომ ვარაუდები და მოსაზრებები სტუდენტებმა დაასაბუთონ კონკრეტული კადრების დასახელებით - გმირების სამოსზე, საცხოვრებელ გარემოზე, შესტებზე, პოზებზე, მიმიკაზე/სახის გამომეტყველებაზე დაყრდნობით.

#1



#2



#3



#4



#5



#6



ვარაუდების გამოთქმის შემდეგ სტუდენტები შეუდგებიან ტექსტის გაცნობა-დამუშავებას.

რეკომენდაციები შეფასებისთვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- *I შედეგი, 3;*
- *V შედეგი, 1.*

გამოტოვებული თავების მოკლე შინაარსი

IV თავი - ოთარაანთ ქვრივს ოჯახის უძვირფასეს განძად მიაჩნდა გარდაცვლილი ქმრის ნაქონი თოფ-იარაღი. კვირა ისე არ გავიდოდა, რომ ეს იარაღი კედლიდან არ ჩამოეღო და არ გაეწმინდა. იარაღის წმენდის დროს თვალზე ცრემლმომდგარი იხსენებდა თავის ქმარს, რომელიც გასაოცარი მშრომელი და განთქმული მონადირე იყო.

VII თავი - ოთარაანთ ქვრივი ძალიან წუხდა იმაზე, რომ მისი ერთადერთი ვაჟი, 21 წლის გიორგი, ცოლის შერთვას არ ჩქარობდა. მართალია, სოფელში ბევრ გოგონას მოსწონდა გიორგი, მაგრამ იგი ყურადღებას არავის აქცევდა. ოთარაანთ ქვრივის დარდს ისიც აძლიერებდა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში აშკარად ატყობდა შვილს გუნება-განწყობის შეცვლას. ეს დაიწყო მას მერე, რაც ერთხელ სანადიროდ წასული გიორგი ხელცარიელი დაბრუნდა სახლში. მართალია, ის ადრეც არ იყო მხიარული გუნების, მაგრამ ბოლო ხანებში უფრო დანაღვლიანდა, უფრო ჩაიკეტა, თითქოს რაღაც აწუხებო. დედა ცდილობდა, ამოეცნო შვილის გუნება-განწყობის შეცვლის მიზეზი, მაგრამ ამაოდ.

VIII-XI თავები - გიორგიმ დედას უთხრა, რომ სურდა მოჯამაგირედ დადგომოდა თავად არჩილს. რუსეთში სწავლამიღებული არჩილი ახლად დაბრუნებული იყო სამშობლოში და თავის დასთან, კესოსთან ერთად ცხოვრობდა. დედამ ეს ძალიან იწყინა. მისი თქმით, გიორგისნაირ კარგ ოჯახიშვილს არ ეკადრებოდა სხვის ოჯახში მოჯამაგირედ ყოფნა, მაგრამ შვილს მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული და დედამაც დათმო. მეტიც, თავად სთხოვა არჩილსა და კესოს გიორგის მოჯამაგირედ აყვანა მას მერე, რაც არჩილმა და კესომ, ოთარაანთ ქვრივის რიდით, უარი უთხრეს მოჯამაგირეობაზე გიორგის.

XIV-XV თავები - კესომ ყვავილების ბაღის გაშენება მოისურვა. ძმის რჩევით, მან ახალ მოჯამაგირეს - გიორგის - სთხოვა ამ საქმეში დახმარება. გიორგი თავდაუზოგავად შეუდგა საქმეს, დღე და ღამე მოუსვენრად შრომობდა და მალე ულამაზესი ყვავილნარი გაახარა. არჩილი და კესო ძალიან ემადლიერებოდნენ გიორგის და ხშირად ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რომ ის ორი-სამი კაცის საქმეს ასრულებდა.

XVI თავი - დადგა შემოდგომა. არჩილის მუშები თივის ზვინებს დგამდნენ, და-მმაც იქვე იყო. ორივენი თვალს ადევნებდნენ მათ მუშაობას. გიორგიმ შეამჩნია, რომ მოხუცი პეტრე არასწორად დგამდა ზვინს და მის დასახმარებლად ზვინზე ავიდა. საქმე მალე დაასრულა, მაგრამ ჩამოსვლისას თავი ველარ შეიმაგრა, გადმოვარდა და ზურგით დაეცა ურმის ქალზე.

XVII თავი - ხერხემალგადამტვრეული ცოცხალმკვდარი გიორგი არჩილის სახლში შეიყვანეს და ტახტზე დააწვინეს. არჩილმა მაშინვე დაიბარა სოფელში მცხოვრები სახელგანთქმული მკურნალი, მაგრამ მან გასინჯვის შემდეგ არჩილს გამოუცხადა, რომ გიორგის ველარაფერი უშველიდა. და-მმა ზარდაცემული იყო: გიორგის ლოგინთან დაჩოქილი

არჩილი გონდაკარგული მომაკვდავის ხელს ხელიდან არ უშვებდა, ხოლო კესო თავთან ედგა გიორგის და ცხარე ცრემლებს აფრქვევდა. ოთარაანთ ქვრივთან ბიჭი გააგზავნეს და მომხდარი შეატყობინეს. შვილის ამბის გაგებისას ოთარაანთ ქვრივი შეტორტმანდა და კინალამ წაიქცა, მაგრამ გული გაიმაგრა და არჩილის სახლისკენ გაემშურა. მომაკვდავი შვილი დანახვისთანავე დედას მუხლი მოეჭრა და იქვე, შვილის საწოლთან ჩაიჩოქა. ზარდაცემულს ხმა ჰქონდა ჩავარდნილი. ოთახში ყველა ჩუმად იყო, დედა-შვილის საცოდაობამ ყველანი თითქოს გააქვავა.

XXI-XXII თავები - დადგა ზამთარი. თენდებოდა შობა. მთელ სოფელი ღრმა ძილში იყო ეძინა. ფხიზლობდა მხოლოდ დაუძლურებული ოთარაანთ ქვრივი - ლოგინად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი. უცებ მას შვილის ძახილი მოესმა, ძლივძლივობით წამოდგა და სასაოფლაოსკენ გაემართა უღონო სიარულით. დილაადრიან, როცა შობა გათენდა, თუმშა მეცხვარეებმა იპოვეს შვილის საფლავზე დამხობილი მკვდარი ოთარაანთ ქვრივი.

ფუნქციური კომუნიკაცია

აქტივობა # 1.მიაბზეთ!

ვარიანტი ა.დეტალური თხრობა

დეტალური თხრობა შეიძლება იყოს ორი სახის: თავისუფალი, რომელიც უკავშირდება წაკითხული ან მოსმენილი ნაწარმოებით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას. სტუდენტი საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაწარმოების დეტალურ შინაარსს. დანარჩენები უსმენენ და აფასებენ, რამდენად ზუსტად და თანამიმდევრობით არის გადმოცემული შინაარსი, ხომ არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი მოვლენა / ფაქტი. დეტალური თხრობის მეორე სახე გულისხმობს იმას, თუ რამდენად ახლოს არის სტუდენტის მონათხრობი ავტორისეულ ვერსიასთან არა მარტო შინაარსით, არამედ მწერლის ენის თვალსაზრისით. კერძოდ, იყენებს თუ არა სტუდენტი ავტორისეულ ლექსიკას, მხატვრულ საშუალებებს.

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

ზემოთ წარმოდგენილი აქტივობით შეიძლება შეფასდეს, რამდენად შეუძლია სტუდენტს:

- წაკითხული ტექსტის რეალიების ზუსტად გადმოცემა;
- თხრობისას თანამიმდევრულობის დაცვა;
- მწერლისეული ლექსიკისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება (მეორე სახის დეტალური თხრობის შემთხვევაში).

ვარიანტი ბ. მოკლე შინაარსის თხრობა

მოკლე შინაარსის გადმოცემა გაცილებით რთულია, ვიდრე დეტალური შინაარსისა, რადგან სტუდენტმა უნდა შეძლოს ტექსტის იმგვარად „შეკუმშვა“, რომ არ დაიკარგოს თხრობის ლოგიკა, მხატვრული ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები. სხვა სიტყვებით, სტუდენტმა უნდა შეძლოს მთავარისა და არსებითის გარჩევა მეორეხარისხოვანისაგან. ამისათვის აუცილებელია წინასწარი მომზადება: აზრის ან თავის/ქვეთავის მთავარი აზრის განსაზღვრა, ამის საფუძველზე გეგმის შედგენა და შედგენილი გეგმის ისევ თხრობით ტექსტად გადაქცევა. მაგალითად, თუ სტუდენტს ვთხოვთ, გვიამბოს „ოთარაანთ ქვრივის“ შინაარსი, ამისათვის საჭიროა, რომ მან, ქვესათაურებზე დაყრდნობით, თითოეული თავიდან „ამოიღოს“ მთავარი.

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

ზემოთ წარმოდგენილი აქტივობით შეიძლება შეფასდეს, რამდენად შეუძლია სტუდენტს:

- მთავარი და არამთავარი ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა;
- წაკითხული ტექსტის რეალიების ზუსტად გადმოცემა;
- თანამიმდევრული თხრობა

ამას გარდა, ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

➤ [შედეგი, 1, 2, 3, 8;](#)

- VII შედეგი, 1, 2;

ვარიანტი გ. გამოკრებილი შინაარსის თხრობა

ეს არის ტექსტის ცალკეული ფრაგმენტის თხრობა მასწავლებლის ინსტრუქციის საფუძველზე (მაგალითად: „მიაბნეთ, როგორ მოკვდა გიორგი/ოთარაანთ ქვრივი“ და მისთ.).

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1, 2, 3, 8;
- VII შედეგი, 1, 2;

ვარიანტი დ. „თხრობის რუკის“ აგება

აქტივობის მიზანია, დაეხმაროს მკითხველს თხრობითი ტექსტის ძირითადი ელემენტების შესწავლაში. თხრობის „რუკა“ წარმოადგენს გრაფიკული მორგანიზებლების გამოყენების სტრატეგიას, რომელიც ეხმარება მკითხველს პერსონაჟების, სიუჟეტის, პრობლემისა და მისი გადაწყვეტის იდენტიფიცირებაში, ნაწარმოების სტრუქტურისა თუ კომპოზიციის გაგებაში. თხრობის „რუკა“ არსებობს მრავალი სხვადასხვა ვარიანტის სახით. ზოგიერთ ვარიანტში ყურადღება გამახვილებულია ნაწარმოების კომპოზიციაზე, ზოგიერთში – სიუჟეტსა ან პერსონაჟთა მახასიათებლებზე. თხრობის რუკას ავსებენ სტუდენტები (თავდაპირველად მასწავლებელმა უნდა აჩვენოს შევსების ნიმუში).

თხრობის „რუკის“ ვარიანტები

ვარიანტი 1.

სათაური და ავტორი
პერსონაჟები
მოქმედების დრო და ადგილი
პრობლემა
პრობლემის გადაჭრა

ვარიანტი 2.

პერსონაჟები
ჩამოთვალეთ და მოკლედ
დაახასიათეთ ძირითადი პერსონაჟები
(აღნიშნეთ ძირითადი მახასიათებლები)

მოქმედების დრო და ადგილი
მიუთითეთ მოქმედების დრო და
ადგილი, დაასახელეთ ადგილის
კონკრეტული მახასიათებლები.

განსაზღვრეთ და აღწერეთ ძირითადი პრობლემა

პრობლემის გადაჭრა
ამბავი სრულდება მაშინ, როდესაც.....
პრობლემა გადაიჭრა, რადგან.....

მეთოდური მითითებები:

- დეტალური თხრობა არ გულისხმობს ტექსტის ზეპირად დასწავლას. ეს აქტივობა ამოწმებს წაკითხულის აღქმა-გაგებისა და გააზრების უნარებს;
- მოკლე შინაარსის თხრობა კომპლექსური აქტივობაა, რადგან იგი, ზეპირმეტყველების უნარის განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობს გააზრებული კითხვისა და წერის უნარის განვითარებასაც (იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტები თხრობის გეგმას წერილობითაც შეადგენენ);
- გამოკრებილი შინაარსის თხრობა: იმისთვის, რომ შემოწმდეს, რამდენად კარგად აქვს სტუდენტს ტექსტი გააზრებული, შესაძლებელია დავალების პირობის გართულება რაიმე სახის დამატებითი მინიშნებით. მაგალითად, „მიამზე ის ადგილი, რომელიც მოგვითხრობს ოთარაანთ ქვრივის ბრძოლას საკუთარი უფლებების დასაცავად“.

რეკომენდაციები განმავითარებელი შეფასებისათვის

აუცილებელია ზეპირმეტყველების განმავითარებელ (და არა განმსაზღვრელ) შეფასებაში პერიოდულად ჩავრთოთ სტუდენტები. ეს ხელს შეუწყობს კრიტიკული მოსმენის უნარების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ზეპირი მეტყველების უნარების გაუმჯობესებაზეც.

სტუდენტების ამ პროცესში ჩასაბმელად აუცილებელია მათ მივცეთ დაკვირვების ფურცლები, რომლის მიხედვითაც დააკვირდებიან და შეაფასებენ გამომსვლელს. რამდენადაც ზეპირი გამოსვლის რამდენიმე კრიტერიუმით შეფასება ოსტატობას მოითხოვს, უმჯობესია კრიტერიუმების გადანაწილება სხვადასხვა დაკვირვების ფურცელზე - ცალკეული სტუდენტი ერთი ან ორი კრიტერიუმის მიხედვით შეაფასებს თანატოლს. ცხადია, კრიტერიუმები დავალების მოთხოვნებს უნდა ესადაგებოდეს. სტუდენტების ცოდნის დონისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვა სირთულის დაკვირვების ფურცლის შემუშავება, რათა ყველამ შეძლოს შეფასების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ქვემოთ შემოთავაზებულია დაკვირვების ფურცლის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი მთხრობელის შეფასებისათვის. მასწავლებელი თავად გადაწყვეტს, ვის რომელი სქემა მისცეს:

სქემა 1.1. დავალება: 1. დეტალური თხრობასაკუთარი სიტყვებით

შეფასების სქემა I. სრულად (ს), უმეტესწილად (უ), ნაწილობრივად (კ),
გასაუმჯობესებელია (გ)

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
1. საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ნაწარმოების შინაარსს.		
ჩაინიშნეთ თქვენი შეფასების დამადასტურებელი მაგალითები:		

სქემა 1.2. დავალება 2: დეტალური თხრობაავტორისული სიტყვებით

შეფასების სქემა I. სრულად (ს), უმეტესწილად (უ), ნაწილობრივად (კ), თითქმის არა
(თ) (ძირითადად საკუთარი სიტყვებით ყველა შინაარს)

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
თხრობისას იყენებს მწერლის ენას:		

ჩაინიშნეთ თქვენი შეფასების დამდასტურებელი მაგალითები:		
---	--	--

სქემა 2. დავალება 1 და 2 (რელევანტურია ორივე ტიპის დავალებისთვის)

შეფასების სქემა I. სრულად (ს), უმეტესწილად (უ), ნაწილობრივად (კ), გასაუმჯობესებელია (გ)

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
ზუსტად და თანამიმდევრობით გადმოსცემს შინაარსს, მიჰყვება ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს.		
ჩაინიშნეთ, მნიშვნელოვანი მოვლენა / ფაქტი, დეტალი, რომელიც მთხრობელმა გამოტოვა, თუკი იქნება ასეთი რამ.		

სქემა 3. დავალება 1 და 2 (რელევანტურია ორივე ტიპის დავალებისთვის)

შეფასების სქემა I. სრულად (ს),უმეტესწილად (უ), ნაწილობრივად (კ),
გასაუმჯობესებელია (გ)

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
თხრობისას სათანადოდ იყენებს ირიბი ნათქვამის გამომხატველ ფორმებს; გადაჰყავს პირველ პირში მონათხრობი მესამე პირში;		
ჩაინიშნეთ, თქვენი შეფასების დამადასტურებელი მაგალითები:		

სქემა 4. დავალება 1 და 2 (რელევანტურია ორივე ტიპის დავალებისთვის)

შეფასების სქემა I. ყოველთვის, იშვიათად, არასდროს

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
იყენებს ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის აღმნიშვნელ სიტყვებს (პირველად, ჯერ, მერე/შემდეგ, ბოლოს, დასასრულს და სხვ.).		
ჩაინიშნეთ, თქვენი შეფასების		

დამადასტურებელი მაგალითები		
-------------------------------	--	--

სქემა 5. დავალება 1 და 2: - (რელევანტურია ორივე ტიპის დავალებისთვის)

შეფასების სქემა I.ხშირად, იშვიათად, საერთოდ არა (თხრობა მონოტონურია)

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
<p>თხრობისას იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების შემდეგ არავერბალურ საშუალებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მხედველობითი კონტაქტი: • ხმის აწევ-დაწევა: • საუბრის ტემპის შეცვლა: • პაუზა მეტყველებაში: • მიმიკა და ქესტიკულაცია: 		
<p>დასკვნა: ა) მთხრობელი იპყრობდა მსმენელის ყურადღებას;ბ) თხრობა მონოტონური იყო;</p>		

შეფასებათა შეჯერება - სტუდენტების, ასევე მასწავლებლისმიერ განხორციელებული განმავითარებელი შეფასების კონსტრუქციულ გარემოში განხილვა-გაანალიზება აუცილებელი ეტაპია მიღწევათა გასაუმჯობესებლად - სტუდენტები

(როგორც შემფასებელი, ისე მთხოვნი), გააცნობიერებენ და გააანალიზებენ შეცდომებს, ხარვეზებს და მათი გამოსწორების გზებს. ამგვარი აქტივობები განავითარებს მეტაკოგნიციას, რაც წარმატებულად სწავლის ერთ-ერთი საფუძველია.


აქტივობა # 2. პერსონაჟის დახასიათება

რესურსი: კოგნიტური სქემები.

- პირველი (მოსამზადებელი) ეტაპი

მასწავლებელი სტუდენტებს სთხოვს გაიხსენონ პერსონაჟის ხასიათთან, ქმედებებთან დაკავშირებული ადგილები ტექსტიდან და განსაზღვრონ, მისი რა თვისებები ვლინდება ამ მონაკვეთებში. სტუდენტებმა უნდა დაასახელონ სულ მცირე სამი ნიშანი, რომელთა მიხედვითაც უნდა დაახასიათონ კონკრეტული პერსონაჟი. ამისათვის ის სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სქემას. სქემების თითოეულ რგოლში ჩაიწერება სტუდენტთა პასუხები.

ნიმუში 1.



ნაწარმოების სათაური _____



პერსონაჟი _____

ფიქრობს _____

აკეთებს _____

ამბობს _____

გრძნობს _____

შედეგი _____

მიზანი _____

სანამ სტუდენტები მუშაობას შეუდგებიან, მასწავლებელმა უნდა განმარტოს ამ კოგნიტური სქემის შევსების წესი - მიუთითოს სტუდენტებს, რომ თავიანთი ფორმულირებების გარდა, მათ ტექსტიდან უნდა ამოიწერონ ციტატები, შეადგინონ პერსონაჟის ქმედებების, გრძნობების, გამონათქვამების ჩამონათვალი.

აქტივობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებსა და ჯგუფებში. მუშაობის დასრულებას უნდა მოჰყვეს საერთო მსჯელობა, რომლის დროსაც სტუდენტები გაუზიარებენ ერთმანეთს ნაფიქრს და გამორჩენილი ინფორმაციით შეავსებენ თავიანთ სქემას.

- **მეორე ეტაპი: პერსონაჟის წერილობითი დახასიათება, პირველადი ვარიანტის შედგენა**

სტუდენტები სქემაში ორგანიზებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეძლებენ პერსონაჟის წერილობითი დახასიათების პირველადი ვარიანტის შედგენას.

- **მესამე ეტაპი: პერსონაჟის წერილობითი დახასიათება, საბოლოო ვარიანტის რედაქტირება და გაფორმება**

ამ ეტაპზე სტუდენტები საკუთარ ნაწერს დაკვირვებით წაკითხვან (პოტენციური მკითხველის თვალით), შეიტანენ შინაარსობრივ ან ტექსტის ორგანიზებასთან დაკავშირებული შესწორებებს (მაგ., სიტყვის, წინადადებას, ტექსტის ერთ მონაკვეთის დამატება ან ამოღება, სტრუქტურის შეცვლა, დიზაინის გაუმჯობესება), გაასწორებენ გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს ლექსიკონების და სხვა რესურსების გამოყენებით;

სასურველია თანაჯგუფელებმა ერთმანეთის ნაწერები წაკითხონ, ერთმანეთის შენიშვნების გათვალისწინებით შეიტანონ ჩასწორებები და საბოლოო ვარიანტი დაარედაქტირონ და გააფორმონ. შესაძლებელია, ურთიერთშეფასების პროცესში მასწავლებელიც ჩაერთოს. ეს მას მისცემს საშუალებას ნახოს, რამდენად ახერხებენ სტუდენტები ნაწერის კრიტიკული თვალით წაკითხვას. მასწავლებელი შეფასებულ ნაწერებს, საჭიროებისამებრ, განიხილავს კონკრეტულ მოსწავლესთან ერთად.

- **რეკომენდაციები განმავითარებელი შეფასებისათვის:** სასურველია წერითი დავალებისათვის ურთიერთშეფასების სქემები მომზადება. გთავაზობთ შეფასების სქემის ერთ-ერთ შესაძლო ნიმუშს:

	მე	თანაჯგუფელი	მასწავლე ბელი
	სრულად /ნაწილობრივად/ საერთო არა + კომენტარი		
დახასიათება ეყრდნობა ტექსტში მოცემულ ინფორმაციას.			
გამოკვეთილია პერსონაჟის სამი თვისება.			
პერსონაჟის თვისებები და დახასიათება ერთმანეთს შეესაბამება (თუ არა, მიუთითეთ, სად არის შეუსაბამობა)			
მოყვანილია სათანადო ციტირებები. (თუ შეუსაბამო ციტირებაა, მიუთითეთ, რომელი)			
სათქმელი გასაგებად არის ჩამოყალიბებული (ბუნდოვან, გაუგებარ წინადადებებს ტექსტში გაუსვი ხაზი)			
ნაწერში გვხდება ტავტოლოგია (მიუთითეთ კონკრეტული მაგალითი)			

- შევამჩნიე შემდეგიშეცდომები: _____

- ჯგუფელის რჩევები ნაწერის გასაუმჯობესებლად: _____

- მასწავლებლის რჩევები ნაწერის გასაუმჯობესებლად _____

მეთოდური მითითებები:

- კოგნიტური სქემების შევსება წინ უნდა უძღოდეს პერსონაჟის წერილობით დახასიათების შედგენას, ასე რომ აქტივობა წერის წინა ეტაპის სამუშაოებს მიეკუთვნება.
- ზემოთ წარმოდგენილი სქემები სტუდენტებმა შეიძლება შეავსონ ორ პერსონაჟთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და გამოიყენონ პერსონაჟების შეპირისპირებითი დახასიათების დასაწერად.
- სტუდენტებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ პერსონაჟების პიროვნულ თვისებებზე საუბრისას, გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანისას უნდა მოიყვანონ შესაბამისი მტკიცებულებები ტექსტიდან.

კავშირი მოდულის შედეგებთან:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 2, 3, 4, 5, 6
- V შედეგი, 2
- VII შედეგი, 1, 2

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

აქტივობა #3. მკითხველის დღიური

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამოიყენება კითხვის ეტაპზე. იგი ავითარებს გააზრებული კითხვის, წაკითხულისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისა და ახსნის უნარებს.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური

რესურსები: ტექსტი სახელმძღვანელოდან.

აქტივობის აღწერა: სტუდენტები დასამუშავებელი ტექსტიდან შეარჩევენ რაიმე აზრს, ავტორის რემარკას, მოქმედი პირის დამახასიათებელ პასაჟს (ციტატის ან პერიფრაზის სახით), რომელსაც უჩვეულოდ/საინტერესოდ/მნიშვნელოვნად ჩათვლიან, გვერდით მიუწერენ თავიანთ კომენტარებსა და შეკითხვებს, რომელთაც ტექსტის წაკითხვის შედეგად გაუჩნდებათ. კომენტარი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს სტუდენტის სუბიექტური იმეფასება, ანალოგია, პარალელი, პირად გამოცდილება ან თანდათან იდენტიფიცირება, საკითხის განზოგადება თუ სხვა.

მკითხველის დღიური მიმართულია წაკითხულის გაგება-გაანალიზებისკენ: სტუდენტი ავითარებს საკუთარი დეებს, აყალიბებს მათ, პოულობს უსტვერბალურ ფორმულირებებს, სიცხადესა და სიზუსტეს სემნს თავის მოსაზრებებს, რომელთაც შემდგომ დასრულებული ფორმატის ნაწერში (შინაარსის დაწერა, დახასიათება დაა. შ.) უფრო ჩამოყალიბებული და დავრცლად წარმოადგენს. გთავაზობთ ნიმუშს (კომენტარების სვეტში სტილი შემდეგის დაგვარად დაცულია).

ნიმუში.

ტექსტი	ჩემი კომენტარი
1) „კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა“.	1) როგორ შეიძლება, ის გიყვარდეს, ვისიც გეშინია? თუკი ყველას ეშინოდა, ე.ი. არავის არ უყვარდა, ყველას სძულდა.
2) „ოთარაანთ ქვრივს გულის მაგივრად ქვა“	2) ანუ ყველას საერთო აზრია, რომ ოთარაანთ

<p>უდევსო, - ამბობდნენ სოფელში“.</p> <p>3) ხუთი ქისა</p> <p>და ა.შ.</p>	<p>ქვრივი გულქვა ადამიანია. გულქვა ადამიანის მიმართ კიდევ რა სიყვარულზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?</p> <p>3) რაღაცით ბებიაჩემი ჰგავს ცოტათი. იმასაც წესრიგი უყვარს. გადახდის ქვითრები წლების მიხედვით აქვს შეკრული და შენახული, ქვეყნის საბუთები აქვს: საჯარო რეესტრის ქაღალდები, აგარაკის და ნაკვეთის აზომვების ნახაზები და უამრავი ეგეთი რაღაც. სუყველაფერი ცალ-ცალკე აქვს ჩაწყობილი სპეციალურ საქაღალდეებში.</p>
---	--

მეთოდური მითითებები:

- მნიშვნელოვანია, რომ ჩანაწერები (ნაწილი მაინც) ზეპირად იქნას განხილული. ეს სტუდენტებს დაეხმარება ახალი იდეების, ხედვისა და მიდგომების გამომუშავებაში.
- აქტივობის შესრულების გზით სტუდენტები უკეთ მოემზადებიან წერთი დავალების (ტექსტის შინაარსის, პერსონაჟის დახასიათების და ა.შ.) დასაწერად.
- სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია ტექსტიდან თავად შეარჩოს ადგილები/ფრაზები, რომელთა შესახებაც სტუდენტები კომენტარებს მოამზადებენ.

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 2, 3, 6

➤ V შედეგი, 1, 2, 3, 5

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

აქტივობა # 4. პერსონაჟების შედარებითი დახასიათება

აქტივობის შესახებ: აქტივობა ემსახურება მხატვრული ტექსტის ანალიზის უნარების განვითარებას.

აქტივობის მიზნები:

- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- მასალის დახარისხების უნარების განვითარება;
- წერიტი მეტყველების უნარების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: მთელი ჯგუფის მონაწილეობით.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი, ტექსტი სახელმძღვანელოდან.

აქტივობის აღწერა:


I (მოსამზადებელი) ეტაპი

მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს ვენის დიაგრამას²⁸ - ორ ურთიერთგადამკვეთ წრეს - და წარმართავს ინტერაქციას ორი განსხვავებული პერსონაჟის საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებზე. სტუდენტები მსჯელობენ, მათი პასუხების საფუძველზე ივსება დაფაზე გამოსახული ვენის დიაგრამა (მასწავლებლის ან თავად სტუდენტების მიერ).

²⁸ჯონ ვენი (1834-1923 წწ.) - ინგლისელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი. ვენის მიერ შემუშავებული დიაგრამა (ე.წ. ვენის დიაგრამა) გამოიყენება მეცნიერების მრავალ სფეროში: სიმრავლეთა თეორიაში, ალბათობის თეორიაში, ლოგიკაში, სტატისტიკაში, ინფორმატიკაში

შევსების შემდეგაუცილებელია ჩანაწერების განხილვა, რათა სტუდენტებმა შეძლონ ინფორმაციის დაზუსტება, გადამოწმება, შესწორება, გავრცობა და ა. შ. აქტივობაში იძლევა განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში და პატარა ჯგუფებში.

ნიმუში: ვენის დიაგრამა



ამ გზით მზადდება ნიადაგი შედარებით ვრცელი და ჩამოყალიბებულ წერითი დავალების შესასრულებლად. დიაგრამის შევსება ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სტუდენტებს მომავალი წერითი სამუშაოს არსებით მხარეებზე - დაეხმარება მათ, ინფორმაციის გაანალიზებაში, მონაცემების დახარისხებაში. სათქმელის უკეთ გამოხატვაში.

➤ II ეტაპი: ორი პერსონაჟის შედარებითი დახასიათება

სტუდენტები შევსებულ დიაგრამაზე დაყრდნობით შეადგენენ გეგმას და გეგმის მიხედვით დაწერენ ტექსტის პირველად ვარიანტს.

➤ მესამე ეტაპი: პირველადი ვარიანტის გაუმჯობესება და საბოლოო ვარიანტის შედგენა

ამ ეტაპზე სტუდენტები საკუთარ ნაწერს დაკვირვებით წაიკითხავენ (პოტენციური მკითხველის თვალით), შეიტანენ შინაარსობრივ ან ტექსტის ორგანიზებასთან დაკავშირებული შესწორებებს (მაგ., სიტყვის. წინადადებას, ტექსტის ერთ მონაკვეთის დამატება ან ამოღება, სტრუქტურის შეცვლა, დიზაინის გაუმჯობესება), გაასწორებენ გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს ლექსიკონების და სხვა რესურსების გამოყენებით;

სასურველია თანაჯგუფელებმა ერთმანეთის ნაწერები წაიკითხონ და ერთმანეთის შენიშვნებისგათვალისწინებით შეიტანონ ჩასწორებები და საბოლოო ვარიანტი დაარედაქტირონ და გააფორმონ.

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი- 4, 5
- IV შედეგი – 1, 2
- V შედეგი - 1, 2

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

აქტივობა # 5. ხედვის კუთხე

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტების ყურადღების ფოკუსირებას ცნებებზე: „ხედვის კუთხე“, „განსხვავებული ხედვა“; ეხმარება მათ, გაიაზრონ ერთი და იმავე ამბის განსხვავებული პერსპექტივების გადმოცემის შესაძლებლობა, სტიმულს აძლევს კითხვის უნარების განვითარებას. აქტივობა ტარდება 2 ეტაპად.

აქტივობის მიზნები:

- მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარების განვითარება;
- კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება;
- ტექსტიდან დასკვნის გამოტანის უნარის განვითარება;
- წარმოსახვის უნარის განვითარება

რესურსები: სამუშაო ფურცლები, კალმები

აქტივობის აღწერა:

I (მოსამზადებელი) ეტაპი

მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს შემდეგ თემაზე: ადამიანები ერთსა და იმავე სამყაროში ცხოვრობენ, მაგრამ ამ სამყაროს თითოეული ჩვენგანი გასხვავებულად აღიქვამს. ამ განსხვავებების მიზეზი ისაა, რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს განსხვავებული/უნიკალური საჭიროებები, გამოცდილება და მახასიათებლები. ლიტერატურის ერთ-ერთი მიზანია, დაგვეხმაროს იმის გაგებაში, რომ ჩვენი ხედვის კუთხე შეზღუდულია. ჩვენი ხედვის კუთხე – ესაა ერთ-ერთი შესაძლო გზა, რომ აღვიქვათ ადამიანები, ადგილი, მოვლენები და ფაქტები. სხვა ადამიანი შეიძლება განსხვავებულად ხედავდეს ამავეს.

ამის შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, იმუშაონ სამუშაო ფურცლებზე და დაწერონ მცირე ზომის ტექსტები 2 განსხვავებულ საგანზე სხვადასხვა სულიერი არსებისა თუ უსულო საგნების ხედვით.

ა) რძე



დაწერეთ რამდენიმე (3-5) წინადადება რძეზე შემდეგი სულიერი არსებების და უსულო საგნების ხედვის კუთხიდან:

კატა: -----

მერძევეობის ფერმის მეპატრონე: -----

პატარა ბავშვი: -----

ანგინით დაავადებული ადამიანი: -----

მწველი: -----

ძროხა: -----

ყველის ამომყვანი: -----

ჭიქა: -----

ბ) ყველი



დაწერეთ რამდენიმე (3-5) წინადადება ყველზე შემდეგი სულიერი არსებებისა და უსულო საგნების ხედვის კუთხიდან:

სუპერმარკეტის გამყიდველი: -----

თაგვი: -----

ყველის მოყვარული გურმანი: -----

მაცივარი: -----

შეფ-მზარეული: -----

ჭიანჭველა: -----

ცოლი იმ კაცისა, ვინც ყველი შეიძინა: -----

ყველის მწარმოებელი ფერმის მეპატრონის შვილი: -----

II ეტაპი - თხრობა მთხრობელის შეცვლით

მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, გადმოსცენ „ოთარაანთ ქვრივში“ აღწერილი რეალიები რომელიმე მეორეხარისხოვანი პერსონაჟის პოზიციიდან. მაგალითად, როგორ მოჰყვებოდა ქათმების წართმევის ამბავს სოფლის გზირი (თავი I, რას მიქვიან ტკბილი სიტყვა), ღილების წართმევის ამბავს - თედო (თავი V, დედაშვილობა) და მისთ.

მეთოდური მითითებები:

- სტუდენტებისთვის გეზის მისაცემად მასწავლებელმა შესაძლებელია თავად შეასრულოს მოსამზადებელი ეტაპის პირველი დავალება - დაწეროს წინადადებები და ახსნას, რას ეყრდნობოდა იგი ამ ტექსტის შედგენისას.

აქტივობა # 6. პერსონაჟების ურთიერთდამოკიდებულება: ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ

აქტივობის შესახებ: იმისათვის, რომ სტუდენტებმა უფრო კარგად გაიცნონ პერსონაჟი, მისი თვისებები, ღირებულებები/შეხედულებები, უნდა დავაფიქროთ ისინი იმაზე, თუ რას გრძნობს პერსონაჟი და როგორი დამოკიდებულება აქვს ტექსტში წარმოდგენილი გარესამყაროს მიმართ. ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები ხელს უწყობს წაკითხული ტექსტის ღრმად და საფუძვლიანად გააზრებას. აქტივობა გულისხმობს ტექსტის გავრცობას სიუჟეტის გააზრების საფუძველზე. აქტივობა ტარდება 3 ეტაპად.

აქტივობის მიზნები:

- გააზრებული კითხვის უნარების განვითარება;
- ფუნქციური ტექსტების შექმნის უნარების განვითარება;
- დისკუსიაში მონაწილეობის, საკუთარი აზრის უნარების განვითარება;

- წარმოსახვის უნარის განვითარება
- თანამშრომლობის უნარების განვითარება.

რესურსები: სახელმძღვანელო, რვეული, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი.

აქტივობის აღწერა:

პირველი ეტაპი

მასწავლებელი შეარჩევს პერსონაჟს „ოთარაანთ ქვრივიდან“ და სტუდენტების თანამონაწილეობით დაფაზე ჩამოწერს მის ძირითად დამახასიათებელ თვისებებს. შემდეგ გაიმეორებს ამავე პროცედურას სხვა პერსონაჟთან დაკავშირებით.

მეორე ეტაპი

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, რომ დაფიქრდნენ შემდეგზე: ერთ პერსონაჟს მეორისთვის წერილი რომ მიეწერა, მათი აზრით, რას დაწერდა იგი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მასწავლებელი სტუდენტებს ყოფს მცირე ჯგუფებად და აძლევს დროს (2-3 წუთს) თემის მოსაფიქრებლად. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი, ჯგუფების კარნახით, დაფაზე ჩამოწერს წერილის სავარაუდო თემებს.

იმართება მცირე დისკუსია, რომლის დროსაც განიხილება, რამდენად ადეკვატურად შეარჩიეს ჯგუფებმა თემები. მასწავლებელი წინასწარ აძლევს მითითებას სტუდენტებს, რომ ჯგუფის პოზიციის დასაცავად მისაღებია მხოლოდ ის არგუმენტები, რომლებიც ტექსტს ემყარება. დისკუსიის შედეგად შეირჩევა თემები წერილისთვის (ერთი ან ორი, შესაძლებელია სამიც).

მესამე ეტაპი

მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, დამოუკიდებლად დაწერონ წერილი (ტრადიციული ფორმატის დაცვით), რისთვისაც აძლევს მათ 13-15 წუთს (ამ შეზღუდვის ნაცვლად შესაძლებელია სიტყვების რაოდენობის შემოსაზღვრა, მაგ., ნაწერში სიტყვების რაოდენობ არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას).

წერთი სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე სტუდენტს წაკითხვებს ნაწერს და განიხილავს კლასთან ერთად. განხილვის დაწყებამდე მასწავლებელი შეახსენებს სტუდენტებს, რომ ნაწერის შეფასებისას მათ უნდა იხელმძღვანელონ ორი კრიტერიუმით. ესენია: 1) შესაბამისობა დაფაზე ჩამოწერილ პერსონაჟების დამახასიათებელ თვისებებთან, 2) შესაბამისობა თავად ტექსტთან, რომელშიც ასახულია პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება.

მეთოდური შენიშვნები:

- აქტივობა სტუდენტებსუნდა შევთავაზოთ მას მერე, რაც ისინი გაცნობიერებენ ცნებას „ხედვის კუთხე“.
- შერჩეულ პერსონაჟთა რაოდენობას და რაობას (ანუ რამდენად რთული, კომპლექსური ხასიათის მქონე პერსონაჟს) მასწავლებელი შეარჩევს სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით;
- შესაძლებელია შემდეგი პერსონაჟების შეთავაზება: გიორგის წერილი კესოს მიმართ, სოსია მეწისქვილის წერილი ოთარაანთ ქვრივის მიმართ, ოთარაანთ ქვრივის წერილი გიორგის მიმართ, რომელშიც იგი შვილს უყვება არჩილის ოჯახში სტუმრობაზე და სხვ.
- *წერილის მოცულობა უნდა იყოს იმდენი, რამდენის დაწერასაც მოასწრებენ სატუდენტები 10-15 წუთის განმავლობაში (შესაძლო მოცულობა: დაახლ. 70-80 სიტყვა);*
- შესაძლებელია ჩატარდეს აქტივობა „პერსონაჟის სკამი“ (იხ. თავი 2, ტიპობრივი აქტივობები).

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი – 2, 3, 4, 8
- III შედეგი- 1, 2, 6
- V შედეგი - 1, 2, 3
- VI შედეგი – 2, 3, 4, 5, 7

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

აქტივობა # 7. წერილი პერსონაჟს

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს მხატვრული ტექსტის პერსონაჟების შინაგანი სამყაროს, მოტივაციისა და ქმედებების ურთიერთკავშირის გააზრებაში.

აქტივობის მიზნები:

- გააზრებული კითხვის უნარების განვითარება;
- ფუნქციური ტექსტების შედგენის უნარის განვითარება;
- წარმოსახვის განვითარება.

რესურსები: კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს შესასრულებელი სამუშაოს არსზე - სტუდენტებმა უნდა დაწერონ წერილი პერსონაჟის მიმართ (წერილის ტრადიციული ფორმატის დაცვით), რომელშიც ისინი, თავიანთი პირადი ან ლიტერატურული გამოცდილების საფუძველზე, რაიმეს ურჩევენ პერსონაჟს. მასწავლებელი, სტუდენტების თანამონაწილეობით, შეარჩევს პერსონაჟს (ან პერსონაჟებს), გამოკვეთს საკითხს/საკითხებს, რომლებზე წერილში უნდა იყოს საუბარი (მაგ., წერილი გიორგის მიმართ, რომელშიც სტუდენტები ურჩევენ გიორგის, როგორ მოიქცეს და რატომ: გაჩერდეს თუ არა არჩილის სახლში, აგრძნობინოს თუ არა კესოს სიყვარული და სხვ.).

წერილის დასაწერად სტუდენტებს ეძლევათ 15 წუთი (შესაძლო მოცულობა: დაახლ. 70-80 სიტყვა).

სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტები წაიკითხავენ ნამუშევრებს. მოეწყობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა/მსჯელობა ნამუშევრებთან დაკავშირებით, ინტერაქცია მოსმენილის დაზუსტების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში).

მეთოდური მითითება:

- სტუდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ მათთვის სასურველი პერსონაჟები.

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი – 2, 3, 4, 5, 6, 8
- II შედეგი - 1, 2
- III შედეგი- 1, 4
- V შედეგი - 1
- VI შედეგი – 1, 3, 4, 6

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

რეკომენდაციები განმავითარებელი შეფასებისათვის
 გათვალისწინებულია თვითშეფასების სქემის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს.

	მე	მასწავლებლის კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
დავიცავი დროის ლიმიტი	კი - არა	

დავიცავი პირობა (მივეცი რჩევები)	კი - ნაწილობრივ - არა	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
გასაგებად ჩამოვაცალიბე სათქმელი	უმეტესწილად, ნაწილობრივ, ნაწერის გაგება ჭირს	
ჩემ მიერ მიცემული რჩევების საფუძვლიანობას ადასტურებს პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მოყვანილი მაგალითები	კი - არა	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
თავი ავარიდე ტავტოლოგიებს	კი-არა	
წინადადებები სინტაქსურად გამართულია	უმეტესწილად, ნაწილობრივ	
დავიცავი წერილის ფორმალური მხარე (მიმართვის/გამომშვიდობების ფორმულა, ხელმოწერა)	კი - არა	

შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
მოყვანილი მოსაზრებები საინტერესოა; ვიყენებ საინტერესო მხატვრულ ხერხებს;	კი - არა	

უნდა გავაუმჯობესო:

- -----
- -----

მასწავლებლის რჩევები ნაწერის გასაუმჯობესებლად:

- -----
- -----

აქტივობა # 8. ზეპირი ინტერვიუ პერსონაჟთან

აქტივობის შესახებ: აქტივობა ხელს უწყობს ტექსტის მრავალმხრივად გააზრებას. სტუდენტები გააცნობიერებენ, რომ ტექსტის შინაარსი შესაძლებელია განსხვავებულად იქნას აღქმული და გადმოცემული იმის მიხედვით, თუ ვინ ყვება მას; დაფიქრდებიან იმაზე, რომ სხვადასხვა პერსონაჟს შესაძლებელია განსხვავებული მიმართება ჰქონდეს ნაწარმოებში ასახული ერთი და იმავე მოვლენის, ფაქტის, პერსონაჟის მიმართ.

აქტივობის მიზნები:

- წაკითხული ტექსტის შინაარსის სხვადასხვა პერსპექტივიდან აღქმა-გააზრების უნარების განვითარება;

- ნაწარმოების თემის, ცალკეული პრობლემის/საკითხის სხვადასხვა კუთხიდან გააზრების უნარების განვითარება;
- მასალის დახარისხების უნარების განვითარება (მთავარისა და არამთავარის ერთმანეთისგან გამიჯვნა);
- ზეპირი და წერილობითი ფუნქციური ტექსტების შედგენის უნარების განვითარება;

რესურსები: საკითხავი ტექსტი, დაფა, ცარცი/დაფის მარკერი, შეფასების ფურცლები, კალმები, საწერი ქაღალდები.

აქტივობის აღწერა:

1. გონებრივი იერიშის საშუალებით სტუდენტები ქმნიან სავარაუდო საკითხების / თემების ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც შეიძლება დაუსვან კითხვები რესპონდენტებს (პერსონაჟებს). მასწავლებელი კი დაფაზე ჩამოწერს ამ საკითხებს/თემებს ორ სვეტად. საკითხები უნდა ეხებოდეს საკვანძო მომენტებს ნაწარმოებიდან.
2. მასწავლებელი აძლევს სტუდენტებს მითითებას, რომ „ჟურნალისტმა“ (ე.ი. ინტერვიუერმა) თავად მოიფიქროს, რა თემაზე დაუსვამს კითხვებს პერსონაჟს (ანუ რესპონდენტს). „ჟურნალისტი“ აქვს მხოლოდ 3 კითხვის დასმის უფლება, მაგრამ პასუხის მოსმენის დროს შეუძლია დაზუსტების მიზნით დასვას დამატებითი შეკითხვებიც.
3. გამოდის სტუდენტთა ერთი წყვილი. ისინი ინაწილებენ როლებს და სხდებიან ერთმანეთის პირისპირ. ერთი ირჩევს ჟურნალისტის როლს, ხოლო მეორე - პერსონაჟისას. ინტერვიუ გრძელდება 3-4 წუთი.
4. შემდეგ რესპონდენტის ადგილს იკავებს სხვა მოსწავლე, რომელიც სხვა პერსონაჟს განასახიერებს. „ჟურნალისტი“ ზუსტად იმავე კითხვებს უსვამს მეორე პერსონაჟს. მეორდება იგივე პროცედურა.

დასკვნების გამოტანა / შეჯამება: სტუდენტები შეაჯამებენ პერსონაჟების პასუხებს - განსაზღვრავენ, რა მსგავსებები და განსხვავებები აღმოაჩინეს მათ პასუხებში, ცდილობენ ახსნან მიზეზები. საბოლოოდ სტუდენტები აფასებენ როგორც „ჟურნალისტის“ მიერ დასმულ კითხვებს, ისე თითოეული პერსონაჟის მიერ გაცემულ პასუხებს. ინტერვიუს შეფასებისას შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება: ა) ეხებოდა თუ არა დასმული კითხვები ნაწარმოების მნიშვნელოვან / საკვანძო საკითხებს; ბ) იყო თუ არა „ჟურნალისტის“ კითხვები მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული; გ) იყო თუ არა პერსონაჟის პასუხები ამომწურავი, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული.

მეთოდური მითითებები:

- აქტივობის ჩატარება მიზანშეწონილია ნაწარმოებისწაკითხვისა და მისი შინაარსის სათანადოდ დამუშავების შემდეგ.
- „ჟურნალისტიკა“ და პერსონაჟების როლების შემსრულებელთა გარდა, ამ აქტივობაში აქტიურად მონაწილეობს მთელი ჯგუფი. ამიტომ იგი კარგ საშუალებას იძლევა სტუდენტების მრავალმხრივი შეფასებისთვის.
- ინტერვიუს ჩატარებისას როლების შერჩევა სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით.
- ინტერვიუს შეფასების კრიტერიუმები შესაძლებელია მასწავლებელმა წინასწარ შეიმუშაოს სტუდენტების თანამონაწილეობით, ასევე წინასწარ გაამზადოს შეფასების ფურცლები და დაურიგოს სტუდენტებს.

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი – 2, 3, 4, 5, 6, 8
- III შედეგი- 1, 4
- V შედეგი - 1
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 6

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

აქტივობა # 9: ტექსტი და მე, ტექსტი და ტექსტი, ტექსტი და გარესამყარო

აქტივობის შესახებ: მკითხველებს, რომელთაც შეუძლიათ მხატვრული ტექსტის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა ტექსტთან (უკვე წაკითხულ ნაწარმოებთან) და რეალურ ცხოვრებასთან, უკეთ ახერხებენ წაკითხულის გაგებასა და გააზრებას. წარმოდგენილი აქტივობა დაეხმარება მასწავლებელს, ასწავლოს სტუდენტებს ამგვარი კავშირების დამყარება ტექსტთან.

აქტივობის მიზანი:

- აქტიური კითხვის უნარების განვითარება;

- კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება;
- ზეპირი მეტყველების, ზეპირი თხრობის უნარების განვითარება.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი.

აქტივობის აღწერა:

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სტუდენტებს აჩვენებს პლაკატებს, რომლებზეც დიდი ასოებითაა დაწერილი: „ტექსტი და მე“, „ტექსტი და ტექსტი“, „ტექსტი და გარესამყარო“ (ან დაწერს ამ სიტყვებს დაფაზე) და უხსნის, რას გულისხმობს თითოეული მათგანი. სასურველია, მასწავლებელმა სამივე ტიპის კავშირის საილუსტრაციოდ მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები და ახსნას, რომელი მათგანი უკეთ უწყობს ხელს წაკითხულის გაგებას და რომელი - ნაკლებად (მაგალითად: ა) „როდესაც მეექვსე კლასში ვიყავი, ჩვენს მეზობლად საშინელი ტრაგედია მოხდა. ავტოკატასტროფაში დაიღუპა სულ ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა, გამორჩეული მთელ სამეზობლოში. დედამისი დარდისაგან ერთ ღამეში გაჭაღარავდა, სამი კვირის თავზე კი ინფარქტით გარდაიცვალა. ასე რომ კარგად მესმის, რა მდგომარეობაში იყო ოთარაანთ ქვრივი შვილის სიკვდილის შემდეგ“, ბ) „მართალია, მოთხრობაში ტრაგიკულად დასრულდა გიორგის სიყვარული, მაგრამ მახსენდება მრავალი მაგალითი ისტორიული წარსულიდან ან თანამედროვე პერიოდიდან, როდესაც სიყვარული სოციალურ წარმომავლობაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მაგ., ამბავი თამარ მეფის შვილის, ლაშა-გიორგისა, რომელსაც ველისციხელი აზნაურის ქალი შეუყვარდა და ცოლად მოიყვანა სამეფო კარის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად; 1976 წელს შვედეთის მეფე კარლ გუსტავ XVI დაქორწინდა გერმანელ თარჯიმან ქალზე; 2005 წელს იაპონიის იმპერატორის ერთადერთი ქალიშვილი, პრინცესა საიაკო გათხოვდა ქალაქ ტოკიოს მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომელზე. საიაკო არ შეუშინდა იმას, რომ ამ გათხოვების შედეგად დაკარგავდა პრინცესას სტატუსს და საცხოვრებლად მეუღლის სტანდარტულ საცხოვრებელში გადავიდოდა; 2006 წელს დანიის პრინცესამაც უარი თქვა თავის სტატუსზე იმის გამო, რომ ერთ-ერთ ფოტოგრაფზე იქორწინა. ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება“).

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ სტუდენტებმა გაიგეს, რას გულისხმობს ეს კავშირები, შესთავაზებს მათ, დაიწყონ წაკითხულ ტექსტზე მუშაობა. მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს კითხვებს და სთხოვს სტუდენტებს, დაფიქრდნენ და პასუხი გასცენ მათ.

- **ტექსტი და მე:**
 - რას მახსენებს „ოთარაანთ ქვრივში“ აღწერილი ამბავი?
 - ხომ არ მაგონებს რომელიმე პერსონაჟი რეალურ ადამიანს ჩემ გვერდით?
 - რა მსგავსებას ვპოულობ ჩემ თავსა და რომელიმე პერსონაჟს შორის?
 - რა შეიძლება ვისწავლო ამ მოთხრობიდან? როგორ შეიძლება ცხოვრებაში გამოვიყენო „ოთარაანთ ქვრივის“ წაკითხვით მიღებული გამოცდილება?
- **ტექსტი და ტექსტი:**
 - ხომ არ გაგონებთ „ოთარაანთ ქვრივი“ თქვენ მიერ წაკითხულ რომელიმე სხვა მოთხრობას ან წიგნს, ნანახ ფილმს/სპექტაკლს?
 - რა მსგავსებაა მათ შორის? რა განსხვავებაა მათ შორის?
- **ტექსტი და გარესამყარო:**
 - შეიძლება თუ არა მოხდეს „ოთარაანთ ქვრივში“ აღწერილი ამბავი რეალურ ცხოვრებაში?
 - რა შეიძლება განმეორდეს, რა - არა?

ვარიანტი 2. ცხრილის შევსება

მასწავლებელი სტუდენტებს წარუდგენს მკითხველის დღიურის გამარტივებულ ვერსიას -ორსვეტიან ცხრილს და უხსნის, როგორ უნდა გამოიყენონ/შეავსონ იგი. შემდეგ სტუდენტები კითხულობენ შერჩეულ ადგილს ტექსტიდან და ავსებენ ცხრილს. ნიმუშის საჩვენებლად მასწავლებელი თავდაპირველად თვითონ შეავსებს დაფაზე გამოსახულ ცხრილს ერთი ჩანაწერით.

ტექსტი: _____

მთავარი მოვლენა, მთავარი აზრი, სიტყვა, წინადადება ან წინადადებები	დაკავშირება ჩემს გამოცდილესთან, ბასთან ვინ ან რა გამახსენდა?	დაკავშირება მეორე ტექსტთან რომელი წიგნი, მულტფილმი ან ფილმი	დაკავშირება გარესამყაროსთან შეიძლება თუ არა ეს მოხდეს რეალურ ცხოვრებაში? რა შეიძლება მოხდეს
---	--	---	---

		გამახსენდა? რა მსგავსებაა- განსხვავებაა მათ შორის?	და რა - არა? როგორ გამოვიყენებ ტექსტით მიღებულ გამოცდილებას ყოველდღიურ ცხოვრებაში

მეთოდური მითითებები:

- პირად გამოცდილებაზე საუბრისას, ცხადია, არ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ სტუდენტის გამოცდილება ზუსტად დაემთხვევა პერსონაჟის გამოცდილებას. მაგ., ტექსტი შეიძლება ასახავდეს ომის რეალიებს და მასში მოთხრობილი იყოს რთულ ვითარებაში პერსონაჟის მიერ გამოჩენილი სიმამაცის შესახებ. ამდენად, ფოკუსირება უნდა მოხდეს სიმამაცის გამოვლინებაზე ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციებში (და არა მაინცდამაინც ომის ვითარებაში). მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს სტუდენტებს, აღწერონ ამბავი, სადაც ისინი ვინმეს სიმამაცის, გამბედაობის მოწმენი გამხდარან. საკუთარი გამოცდილების გაზიარება, შემდეგ ამაზე საუბარი და მსჯელობა დაეხმარება სტუდენტებს, უკეთ ჩასწვდნენ ავტორის სათქმელს, ტექსტის იდეას.
- ტექსტის იდეის გასააზრებლად სტუდენტებს შეუძლიათ მოიყვანონ საპირისპირო მაგალითებიც (იხ. ზემოთ, მაგალითი „ბ“). მაგალითად, გაიხსენონ ბედნიერად დაგვირგვინებული სიყვარულის ამბავი, როდესაც გრძნობა სოციალურ ბარიერებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა (გიორგისა და კესოს ისტორიისგან განსხვავებით). ამგვარი ოპოზიციური სიტუაციის აღწერა დაეხმარება სტუდენტებს, რომ მრავალმხრივად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გაიაზრონ და შეაფასონ ტექსტის იდეა.

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი – 3, 4, 5, 6, 8
- III შედეგი- 2, 3, 4, 5, 6
- V შედეგი - 1, 2, 3, 4

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

აქტივობა # 10. წერილი ავტორს

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს მხატვრული ტექსტის გააზრებული კითხვის უნარების განვითარებაში, ტექსტის თემისა და მთავარი იდეის კრიტიკულად გააზრებაში.

აქტივობის მიზნები:

- გააზრებული კითხვის უნარების განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება;
- ფუნქციური ტექსტების შედგენის უნარის განვითარება;
- წარმოსახვის უნარის განვითარება.

რესურსები: კალამი, რვეული.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს შესასრულებელი სამუშაოს არსზე - სტუდენტებმა უნდა დაწერონ წარმოსახვითი წერილი „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის მიმართ (წერილის ტრადიციული ფორმატის დაცვით), რომელშიც ისინი, სათანადო ახსნა-დასაბუთებით, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ტექსტის თემისა და მთავარი იდეის მიმართ (რა არის მათთვის გასაზიარებელი, რა - არა და რატომ).

წერილის დასაწერად სტუდენტებს ეძლევათ 15 წუთი (შესაძლო მოცულობა: დაახლ. 70-80 სიტყვა).

სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტები წაიკითხავენ ნამუშევრებს. მოეწყობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა/მსჯელობა ნამუშევრებთან დაკავშირებით, ინტერაქცია მოსმენილის დაზუსტების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში).

მეთოდური მითითება:

- აქტივობის ჩატარება მიზანშეწონილია მას მერე, რაც სტუდენტები დაასრულებენ ტექსტის კითხვას.
- წერილის მიწერის ნაცვლად სტუდენტებს შესაძლებელია შევთავაზოთ ინტერვიუ ავტორთან (5-7 ღიადაბოლოებიანი შეკითხვა და პასუხი).

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი – 2, 3, 4, 5, 6, 8
- III შედეგი- 2, 3, 4, 5, 6
- V შედეგი - 1, 2, 3, 4
- VI შედეგი - 1, 2, 3, 4, 6

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

აქტივობა # 11. ზეპირი მოხსენება/პრეზენტაცია

აქტივობის მიზანი: წაკითხულის გააზრებისა და ანალიზის უნარების განვითარება, დასაბუთებული მსჯელობის, ზოგადად, კომუნიკაციის უნარების განვითარება, მულტიმედიური წიგნიერების უნარების განვითარება.

რესურსები:სასწავლო ტექსტი სახელმძღვანელოდან, დამატებითი მასალა (შესაძლებელია მასწავლებლის მითითებით), კომპიუტერი, პროექტორი.

აქტივობის ორგანიზების წესი: ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფებში

აქტივობის შესახებ: ზეპირი მოხსენების/პრეზენტაციის მომზადება სტუდენტებს განუვითარებს მიზნისა და აუდიტორიისთვის შესაფერისი ტექსტის აგების / ორგანიზების უნარს. ეს კი მოითხოვს დამატებითი მასალების შერჩევას. კრიტიკულ კითხვას, ჩანაწერების, მონახაზის გაკეთებას, რეზიუმირებას.

აუდიტორიისთვის ინფორმაციის უკეთ მისაწოდებლად მიზანშეწონილია ვიზუალური საშუალებების, სქემების, გრაფიკების, რუკების, სლაიდების, პროექტორის გამოყენება. სტუდენტების მიერ მომზადებული ზეპირი მოხსენება/პრეზენტაცია მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს სასწავლო პროცესის კონკრეტულ საკითხს. გათვალისწინებული ვარიანტს.

ზეპირი მოხსენება „ოთარაანთ ქვრივი: ტექსტი და კინოტექსტი“ (მხატვრული ტექსტისა და მისი ეკრანიზებული ვერსიის შედარებითი ანალიზი).

სტუდენტები გაეცნობიან „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით შექმნილ მხატვრულ ფილმს, ჩაატარებენ წერილობითი ტექსტისა და მისი ეკრანიზაციის შედარებით ანალიზს და წარმოადგენენ მუშაობის შედეგებს ზეპირი მოხსენების/პრეზენტაციის სახით. მოხსენება შესაძლებელია ეყრდნობოდეს მსგავსება-განსხვავების ორგანიზაციულ ყალიბს. სტუდენტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ცვლილებებს სიუჟეტში (მაგ., სიუჟეტის შემოკლება), საშუალებებს, რომლებსაც რეჟისორი იყენებს მთავარი თემის, მწერლის ძირითადი სათქმელის გადმოსაცემად (მაგ., რა დამატებითი ხერხებია გამოყენებული „ხიდჩატეხილობის“ გამოსაკვეთად), პერსონაჟების ვიზუალურ მხარეს (ემთხვევა თუ არა პერსონაჟის აღწერილ პორტრეტს). სტუდენტებს შეუძლიათ გამოხატონ თავისი მოსაზრებები იმაზე, თუ რატომ იქნა შერჩეული ფილმისთვის ესა თუ ის ეპიზოდი, შეაფასონ მსახიობების თამაში და ახსნან თავისი პოზიცია (დამაჯერებელია, არადამაჯერებელია და რატომ) და ა.შ.

მასწავლებელმა სტუდენტებს წინასწარ უნდა გააცნოს (ან შეადგინოს მათთან ერთად) ზეპირი მოხსენების შეფასების კრიტერიუმები.

გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს.

ნიმუში.

ზეპირი მოხსენების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	მასწავლებლის შეფასება და კომენტარი: ა) სრულად, ბ) ხარვეზებით, გ) არადაამაკმაყოფილებლად
შინაარსი, სტრუქტურა	
1. ინფორმაციის საკმარისობა	
2. ინფორმაციის სიზუსტე	
3. გამოკვეთილი კომპოზიცია (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა)	
4. ლოგიკური შესაბამისობების დაცვა	
ენა, კომუნიკაცია	
5. სათქმელის გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოცემა	
6. ადეკვატური არავერბალური საშუალებების გამოყენება (ხმა, მკაფიო მეტყველება, ჟესტები, პოზა, გამომეტყველება)	
7. ადეკვატური ენობრივ-გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების შერჩევა	
8. ადეკვატური ლექსიკისა და სტილის შერჩევა	

ვიზუალური საშუალებები	
9. თვალსაჩინოებების ადეკვატურად გამოყენება აღქმის გასაადვილებლად (მაგ., ცხრილის, ფოტოსურათის, სხვ.)	

მეთოდური მითითებები:

- ზემოთ მოყვანილი სქემის საფუძველზე მასწავლებელი შეაფასებს ჯგუფის პრეზენტატორს. დანარჩენი მონაწილეების წვლილი კი შეიძლება შეფასდეს თვითშეფასების ან/და ურთიერთშეფასების სქემის ფორმატში შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მონაწილეობა მოსამზადებელ სამუშაოებში: იდეების გენერირება, მასალების მოძიება და დამუშავება, თვალსაჩინოებების მოძიება-შერჩევა; მონაწილეობა საბოლოო ვერსიის მომზადებაში: ტექსტის გამართვა-რედაქტირება, სლაიდშოუს აწყობა.

დამატებითი აქტივობები

- მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ცალკეული თავების წაკითხვა ტექსტის გაცნობა-გაგების მიზნით (დამოუკიდებელი კითხვა);
- ტექსტის/ეპიზოდის გეგმის შედგენა;
- შერჩეული ეპიზოდის გაანალიზება (წერილობით);
- დისკუსია თემაზე: „შეუძლია თუ არა სიყვარულს სოციალური ბარიერების გადალახვა“.

II.საკითხავი მასალა. არამხატვრული ტექსტი

თანამედროვე საზოგადოების სოციალური ფენები

მე-14 საუკუნეში მცხოვრები ერთი ევროპელი პოეტი თავისი თანამედროვე ეპოქის საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ჯგუფებზე წერდა: „ერთი შრომობს, ერთი ლოცულობს, ერთი იცავს“. ამ ნათქვამის საფუძველზე შეგვიძლება დავასკვნათ, რომ მე-14 საუკუნის ევროპაში არსებობდა სამი სოციალური ფენა, რომლებსაც ერთმანეთისგან საქმიანობით განასხვავებდნენ.

განსხვავებული სოციალური ჯგუფები თუ ფენები ჩვენს დროშიც არსებობს (იყო თუ არა ოდესმე დრო, როდესაც განსხვავებები არ არსებობდა?). საინტერესოა, დღეს რა უდევს საფუძვლად განსხვავებას, რით განასხვავებენ სოციალურ ფენებს ერთმანეთისგან?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმაოდ ბევრ მასალას გავეცანი, გავესაუბრე სხვადასხვა მდგომარეობისა და ასაკის 100-მდე ადამიანსაც - ქალებსა და მამაკაცებს. შედეგად, აი, რა სურათი გამოიკვეთა: მარტივად რომ ვთქვათ, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს ყოფენ იმის შესაბამისად, თუ ვის რამდენი შემოსავალი აქვს - ანუ ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

ქართულ ინტერნეტ-სივრცეში ატვირთულ მასალებში სხვადასხვა სახის მონაცემებს ვხვდებით მაღალი, საშუალო და დაბალი სოციალური ფენების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ჩემს რესპონდენტებთან საუბრის შედეგადაც აღმოვაჩინე, რომ კონკრეტულ ადამიანებს საკმაოდ განსხვავებული წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა არის სიმდიდრე, რა - სიღარიბე. კითხვებზე - რამდენი უნდა ჰქონდეს ადამიანს შემოსავალი, რომ მდიდრად ჩავთვალოთ ან, კონკრეტულად, რამდენია საშუალო შემოსავალი - რესპონდენტები განსხვავებულ რიცხვებს მისახელებდნენ.

საზოგადოებაში განსხვავებული სოციალური ფენების არსებობა ბუნებრივი მოვლენაა. მთავარია, რამდენად იოლად, როგორ და რა გზით შეუძლია ადამიანს ერთი სოციალური ფენიდან მეორეში გადასაცვლება (ცხადია, აქ სოციალურ აღმასვლას, წინსვლას ვგულისხმობ). ამის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარება და ქვეყნის კეთილდღეობა - ცხოვრება ხომ განათლებულ, ინიციატივიან და ენერგიულ ადამიანებს მიჰყავთ წინ. აქედან გამომდინარე, ყველამ - საზოგადოებამ და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ - უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ასეთ ადამიანებს გზა გაეხსნათ.

მაინც რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური წინსვლისთვის? ეს კითხვა რომ დავუსვი ჩემს რესპონდენტებს, სრულიად განსხვავებული აზრები მოვისმინე მათგან. ზოგმა ყველაზე მნიშვნელოვნად ჩათვალა განათლების თანაბარი შესაძლებლობები, ზოგმა - მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა, ზოგმა კი - ხელფასების გაზრდა. მოკლედ, როგორც ქართული ანდაზა იტყვის, „კაცია და გუნებაო“.

ცხადია, ვეთანხმები ჩემს რესპონდენტებს. რაც მათ დაასახელეს, ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ადამიანების სოციალურ წინსვლას, მაგრამ განა ესაა ყველაზე არსებითი? არ ვიცი, თქვენ როგორ, მაგრამ პირადად მე პირველ ადგილზე ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებს დავაყენებდი და აი, რატომ: წარმატებული ადამიანების ცხოვრების გაცნობა გვასწავლის, რომ სოციალური წინსვლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მიზანდასახულობას, ნიჭსა და ალღოს, შრომისმოყვარეობასა და სიმტკიცეს. სწორედ ეს თვისებები გამოარჩევს ადამიანებს, რომლებმაც უდიდეს წარმატებას მიაღწიეს

და ყველაზე დაბალი სოციალური ფენებიდან უმაღლეს საზოგადოებაში გადაინაცვლეს. მაგალითად მრავალი ადამიანის დასახელებაა შესაძლებელი: ბიზნესმენების, ჯონ როკფელერისა და ენდრიუ კარნეგის, ტელეწამყვან ოპრა უინფრის, კინომსახიობ არნოლდ შვარცნეგერის... არცერთ მათგანს არ ჰქონია დალხენილი ბავშვობა, არც სახელმწიფოს მოუკლავს თავი მათზე ზრუნვით, მაგრამ ხელი არ ჩაუქნევიათ, ბედს არ შეგუებიან და დღეს მათი სახელები მსოფლიოსთვისაა ცნობილი. რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაშიც მოიძებნებიან ასეთი ადამიანები, მაგრამ არ დავასახელებ, რომ რეკლამირებაში არ ჩამეთვალოს.

ბოლო შეკითხვის დასმის წინ, საუბრის დასასრულს, ჩემს რესპონდენტებს შევახსენებდი ხოლმე ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივს“. ეს მოთხრობა სკოლაში ისწავლება, ამიტომ ინტერვიუს მონაწილეებს მეტ-ნაკლებად ახსოვდათ „ხიდჩატეხილობის“ პრობლემაც და გიორგის ტრაგიკული სიყვარულის ამბავიც. ჩემი შეკითხვა ასეთი იყო: „თანამედროვე ეპოქაში რომ გადმოგვეტანა მოთხრობაში აღწერილი ამბავი, როგორ ფიქრობთ, შეძლებდა თუ არა კესო გიორგის შეყვარებას?“. უმრავლესობის აზრით, თანამედროვე ეპოქაში გიორგის სიყვარულს კესო სიყვარულითვე უპასუხებდა.

მახარებს უმრავლესობის თვალსაზრისი. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში რაღაც შეიცვალა უკეთესობისკენ.

თამარ ფერაძე

(იბეჭდება ავტორის ნებართვით)

სიტყვათა განმარტება

რესპონდენტი - პირი, რომელიც მონაწილეობს სოციოლოგიურ გამოკითხვასა თუ ინტერვიუში და პასუხობს დასმულ შეკითხვებს.

აქტივობა # 12. ტესტური დავალებები ტექსტის გასააზრებლად

1. რა გზით ცდილობს ავტორი მეორე აზრაცში დასმულ კითხვაზე პასუხის მიღებას?

პასუხი: კითხულობს სხვადასხვა მასალას ინტერნეტში, ესაუბრება ადამიანებს.

2. მე-5 აზნაცის დასაწყისში ვკითხულობთ: „საზოგადოებაში განსხვავებული სოციალური ფენების არსებობა ბუნებრივი მოვლენაა“.

რამდენად დასაბუთებულია ავტორის თვალსაზრისი?

პასუხი: არაა დასაბუთებული. არგუმენტები არ აქვს მოყვანილი.

3. რა არის მე-6 აზნაცში მოყვანილი ქართული ანდაზის დანიშნულება?

პასუხი: ნათქვამის შეჯამება.

4. როგორ უნდა გავიგოთ ქართული ანდაზა „კაცია და გუნებაო“?

ა) ყველა ადამიანს განსხვავებული ბედ-იღბალი აქვს;

ბ) ყველა ადამიანს განსხვავებული თვალსაზრისი აქვს;

გ) ადამიანის წარმატება მის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული;

დ) კაცებს ქალებისგან განსხვავებული ხასიათი აქვთ.

5. წაიკითხეთ მე-7 აზნაცი. რით ასაბუთებს ავტორის თავის მოსაზრებას, რომ სოციალური წინსვლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული მახასიათებლები?

პასუხი: მოჰყავს კონკრეტული მაგალითები - ასახელებს ადამიანებს, რომლებმაც მიაღწიეს უდიდეს წარმატებას.

6. თქვენთვის ნაცნობი ადამიანებიდან ვის მიიჩნევდით სოციალური წინსვლის მაგალითად? როგორ ფიქრობთ, რომელმა პიროვნულმა მახასიათებლებმა განაპირობა მისი წარმატება?

სტუდენტთა პასუხები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. სწორი პასუხი არ არსებობს.

7. ტექსტის დასასრულს ვკითხულობთ: „ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში რაღაც შეიცვალა უკეთესობისკენ“.

ბოლო ორი აზრის გათვალისწინებით, რა შეიძლება იგულისხმებოდეს სიტყვაში „რაღაც“?

- ა) გაუნათლებელი ადამიანების რაოდენობა შემცირდა;
- ბ) განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა;
- გ) ქართული ლიტერატურის მიმართინტერესი გაზრდილია;
- დ) სოციალურ ფენებს შორის ნაკლები ბარიერებია.

8. სტატის დასასრულს ავტორი დაასკვნის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სასიკეთო ცვლილებაა მომხდარი. რატომ ფიქრობს ასე ავტორი?

პასუხი: ავტორი ეყრდნობა გამოკითხულთა უმრავლესობის აზრს. *უმრავლესობა თვლის, რომ თანამედროვე ეპოქაში კესო შეიყვარებდა გიორგის. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანების საკმაოდ დიდი ჯგუფის(=100-მდე ადამიანის) უმრავლესობისთვის ადამიანის პიროვნული თვისებები მის სოციალურ წარმომავლობაზე უფრო მნიშვნელოვანია.*

9. ეთანხმებით თუ არა ავტორის დასკვნას? რატომ?

სტუდენტთა პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღებია ნებისმიერი დასაბუთებული პასუხი.

10. გაიხსენეთ ადამიანზე გავლენის მოსახდენი სამი საშუალება - სანდოობა, ლოგიკა და ემოცია. რომელ მათგან იყენებს ავტორი მკითხველის დასარწმუნებლად? აღწევს თუ არა იგი მიზანს?

პასუხი:

ა) ავტორი ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი თავისი ნაშრომის სანდოობა-სარწმუნოობაში. ამ მიზნით ამბობს, რომ გაეცნო სპეციალურ კვლევებს, მასალებს, მოჰყავს ცნობები მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შესახებ, აცტირებს რესპონდენტებს, თუმცა მიერ მოყვანილი ინფორმაცია ზოგადია, არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს და პრობლემატურია სანდოობის თვალსაზრისით, მაგ., ამბობს მხოლოდ, რომ მასალები სხვადასხვაგვარ მონაცემებს გვაწვდიან. კარგი იყო, დაეკონკრეტებინა თუნდაც ამ მონაცემთა ქვედა და ზედა ზღვრები - მაგ., 800 ლარიდან 10000 ლარამდე.

რეკომენდაციები შეფასებისათვის: ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება I, II, III, IV, V შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

აქტივობა # 13. დისკუსია

ზოგადი ინფორმაცია დისკუსიის თაობაზე იხ. თავი 2, ტიპობრივი აქტივობები.

ტექსტების დამუშავების საფუძველზე მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს და ჩაატაროს მართული დისკუსია სასწავლო თემასთან დაკავშირებული ცალკეულ საკითხებზე (მაგ., „როგორ/რა გზებითაა შესაძლებელი სოციალური ბარიერების გადალახვა“, „არსებობს თუ არა თანამედროვე ეპოქაში „ხიდჩატეხილობა“, „რა არის სოციალური წარმომავლობა - გარდაუვალი ბედისწერა თუ გამოწვევა?“, სხვ.).

აქტივობა #14. კვლევითი პროექტი: სოციოლოგიური გამოკითხვა

კვლევითი პროექტი: სოციოლოგიური გამოკითხვა „თანამედროვე ქართული საზოგადოება: სოციალური ჯგუფები და პერსპექტივები“

აქტივობის შესახებ: აქტივობა კომპლექსური სახისაა - იგი ფარავს წერისა და ზეპირმეტყველების მიმართულებებს. იგი ემსახურება ინფორმაციის მოძიების, დახარისხება/ორგანიზების, აგრეთვე საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქტივობა ტარდება 4 ეტაპად.

აქტივობის მიზნები:

- ფუნქციური ტექსტის შექმნის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ინფორმაციის გაანალიზების, დახარისხებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამშრომლობის უნარის განვითარება;

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური (აქტივობის მეორე, მესამე, მეოთხე ეტაპები), ჯგუფური (აქტივობის პირველი ეტაპი)

რესურსები: კითხვარის ფურცლები; კალამი, ქაღალდი/კომპიუტერი.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს კვლევითი პროექტის განხორციელებას. კერძოდ, მათ უნდა ჩაატარონ სოციოლოგიური გამოკითხვა და გამოიკვლიონ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: თანამედროვე საზოგადოების წევრების აზრი დღევანდელი სოციალური კლასების შესახებ (მათი 3 ძირითადი მახასიათებლის დასახელებით), სოციალური ბარიერების შესახებ, სოციალური მობილობის (=ერთი სოციალური კლასიდან სხვა კლასში გადანაცვლება) შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტები დაიყოფიან მცირე ჯგუფებად ("პირველი კვლევითი ჯგუფი", "მეორე კვლევითი ჯგუფი") და ა.შ. პროექტზე სამუშაოდ ჯგუფებს მიეცემათ ორი კვირა.

მასწავლებელი განუმარტავს სტუდენტებს, რომ პროექტის შესრულება გულისხმობს თანამიმდევრული ქმედებების განხორციელებას. ეს ქმედებები მასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს ეტაპების სახით.

ეტაპი 1. კითხვარის მომზადება

შესაძლო კითხვების ნიმუშები:

- თქვენი აზრით, რამდენი სოციალური ჯგუფი გამოიყოფა თანამედროვე საქართველოში?

პასუხის ვარიანტები:

ა) სამი (მაღალი, საშუალო, დაბალი)

ბ) სხვა (ჩაწერეთ)

➤ ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სოციალური წარმატებისთვის?

ა) განათლება) ოჯახის მხარდაჭერა

გ) სახელმწიფოს ხელშეწყობა დ) ადამიანის პიროვნული უნარები

და ა,შ. (სტუდენტები, მასწავლებლის ჩართულობით, კითხვარის მომზადებაზე მუშაობენ ჯგუფურად).

ეტაპი 2. გამოკითხვის ჩატარება მომზადებული კითხვარის საფუძველზე (სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად);

ეტაპი 3. გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შეჯამება (სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად);

ეტაპი 4. გამოკითხვის შედეგების გაანალიზება/შეჯამების საფუძველზე დასკვნითი ტექსტის დაწერა მოდელის მიხედვით (სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად);

ეტაპი 5. ერთობლივი დასკვნითი ტექსტის დაწერა ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული ინდივიდუალური დასკვნითი ტექსტების საფუძველზე (სტუდენტები მუშაობენ ჯგუფურად).

ეტაპი 6. კვლევითი პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით, მასწავლებელმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს კითხვარის მომზადების პროცესში ან კითხვარის მზა მოდელი შესთავაზოს სტუდენტებს. თითოეულმა სტუდენტმა კარგად უნდა აითვისოს კითხვარის შევსების წესები - ისინი მზად უნდა იყვნენ, რომ კითხვარის შევსებამდე სათანადო ინსტრუქცია მისცენ რესპონდენტებს. მიზანშეწონილია, რომ დასკვნითი ტექსტის დასაწერად სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ აგრეთვე მასწავლებლის მიერ მომზადებული მოდელი/ნიმუში.

მასწავლებელი შესთავაზებს კვლევითი ჯგუფის წევრებს, აწარმოონ დაკვირვება კვლევითი სამუშაოს მიმდინარეობაზე (როგორც ნამდვილ მკვლევარებს შეჰფერით). ამ მიზნით სტუდენტები ავსებენ ე.წ. თვითშეფასების ბარათებს, რომლებსაც მასწავლებელი დაურიგებს. თვითშეფასების ბარათების შევსებაზე მუშაობა უნდა მიდიოდეს ეტაპობრივად, პროექტის თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ სტუდენტი ავსებს ამ ბარათს. სასურველია, რომ პროექტზე მუშაობის დროს შეივსოს ორი ბარათი: 1. ინდივიდუალური გამოკითხვების დასრულების შემდეგ; 2. ჯგუფის სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ.

გამოკითხვას ჯგუფების წევრები ატარებენ ინდივიდუალურად. ამისთვის ისინი მოამზადებენ კითხვარის 20 ასლს. გამოკითხვას სტუდენტები ჩაატარებენ სხვადასხვა მდგომარეობისა და ასაკის ადამიანებში (ოჯახის წევრებში, მეზობლებში,

მასწავლებლებში). თითოეულმა სტუდენტმა უნდა გამოკითხოს 20 ადამიანი მაინც (აღრიცხვის გაადვილების მიზნით, სასურველია, გამოიკითხოს 10 მამაკაცი, 10 ქალი).

ინდივიდუალური კითხვარების შევსების შემდეგ სტუდენტები გაანალიზებენ გამოკითხვის შედეგებს, დააჯგუფებენ და დაახარისხებენ მიღებულ ინფორმაციას; დაწერენ დასკვნით ტექსტს ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე (მოდელის მიხედვით).

კვლევითი ჯგუფის წევრები ერთმანეთს გააცნობენ ინდივიდუალურად ჩატარებული გამოკითხვის შედეგებსა და მიღებულ დასკვნებს. ამ შეხვედრის დროს სტუდენტები ზეპირად მსჯელობენ თავიანთი გამოკითხვის შედეგებზე, ერთმანეთს უზიარებენ, როგორ ჩაიარა გამოკითხვის პროცესმა, შეხვედნენ თუ არა სიმწიფეებს მუშაობის დროს და როგორ დაძლიეს ისინი.

ამის შემდეგ ჯგუფის წევრები მოამზადებენ ერთობლივ, საბოლოო დასკვნას (მოდელის მიხედვით), რომელშიც გაერთიანდება ჯგუფის წევრების მიერ ჩატარებული ინდივიდუალური სამუშაოს შედეგები.

სტუდენტები მოემზადებიან პრეზენტაციისათვის, რომელზედაც წარმოადგენენ თავიანთი კვლევითი მუშაობის შედეგებს (ჯგუფის წევრები თავად გადაწყვეტენ, ვინ უნდა იყოს პრეზენტატორი). მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ პრეზენტაციის დროს ჯგუფის ყველა წევრი იყოს ჩართული - ამ მიზნით იგი უსვამს შეკითხვებს კვლევითი ჯგუფის წევრებს იმის თაობაზე, თუ როგორ მიდიოდა პროექტზე მუშაობის პროცესი, რა სირთულეებს წააწყდნენ მუშაობისას, ყველაზე მეტად ვინ დაამახსოვრდათ გამოკითხულთაგან და რატომ, მისთ.

ნიმუში. დასკვნითი ტექსტი (ინდივიდუალური სამუშაოსთვის)

მე, ----- (ქალაქი/დაბა/სოფელი) ----- პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა ----- (სახელი გვარი) -----
----- 201--- წლის ----- (თვე) ----- ჩავატარე გამოკითხვა თემაზე „თანამედროვე სოციალური კლასები“. გამოკითხვა
სხვადასხვა ასაკის 20 ადამიანი - 10 ქალი და 10 მამაკაცი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში გამოიყოფა -----
-----.

ამგვარი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული გამოკითხულთა საერთო რაოდენობის >>>%-ს (ან გამოკითხულთა ორ მესამედს).

ნიმუში. დასკვნითი ტექსტი (ჯგუფური სამუშაოსთვის)

ჩვენ, ----- (ქალაქი/დაბა/სოფელი) ----- პროფესიული სასწავლებლის პირველი კვლევითი ჯგუფის წევრებმა, 201
წლის ----- (თვე)----- ჩავატარეთ გამოკითხვა თემაზე „თანამედროვე სოციალური კლასები“. გამოკითხვაში ჩართული იყო
ორივე სქესის, სხვადასხვა ასაკის ----- -მა ადამიანმა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ -----.

ამგვარი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული გამოკითხულთა საერთო რაოდენობის >>>%-ს (ან გამოკითხულთა ორ მესამედს).

მიღებული შედეგების პრეზენტაცია

მიზანშეწონილია, რომ პრეზენტაცია მომზადდეს კითხვარის კრიტერიუმების საფუძველზე.

ნიმუში. გამოკითხვის შედეგები კრიტერიუმების მიხედვით (ჯგუფური სამუშაოსთვის)

კრიტერიუმი 1. სქესი

ქალები-----

მამაკაცები-----

ამგვარად, გამოკითხული ქალებისა და მამაკაცების მოსაზრებები ერთმანეთს ----- (ემთხვევა/არ ემთხვევა/მსგავსია).

კრიტერიუმი 2. ასაკი

19 წლამდე ასაკის ადამიანებში -----(>>%),

20-35 წლის ასაკის ადამიანებში ----- (>>%),

35 წლის ზემოთ -----(>>%),

ამგვარად, გამოკითხულთა ასაკის მიხედვით, მონაცემები ერთმანეთს -----(ემთხვევა/არ ემთხვევ/მსგავსია, სხვ.).

კრიტერიუმი 3. განათლება

სკოლის მოსწავლეებში ----- (>>%),

სტუდენტებში ----- (>>%),

საშუალო განათლების მქონე ადამიანებში ----- (>>%),

უმალესი განათლების მქონე ადამიანებში----- (>>%),

ამგვარად, გამოკითხულთა განათლების მიხედვით, მონაცემები ერთმანეთს ----- (ემთხვევა/არ ემთხვევა/მსგავსია, სხვ.).

კრიტერიუმი 4. ანკეტის შევსების თარიღი.

მეთოდური მითითება

- აღნიშნული აქტივობა უნდა შესრულდეს მას მერე, რაც სტუდენტები დაამუშავებენ თამარ ერადის სტატიას „თანამედროვე საზოგადოების სოციალური ფენები“ (იხ. ზემოთ, საკითხავი მასალა II). ამ ტექსტის გაცნობა სტუდენტებს გარკვეულწილად მოამზადებს პროექტის შესასრულებლად.

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6
- VII შედეგი, 1.

აქტივობა # 15. დავამარცხოთ ტავტოლოგია

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება ტექსტის ანალიზის, რედაქტირების, გამართული წერითი მეტყველებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული აქტივობის ჩატარების დროს სტუდენტები საკუთარ ნაწერს აფასებენ უკვე მკითხველის (აუდიტორიის) პოზიციიდან. მკითხველის როლში ყოფნა კი ავალდებულებს სტუდენტებს, კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდნენ საკუთარი ნაშრომის შინაარსსა და სტრუქტურას, მის

ენობრივ-სტილისტურ მხარეებს, ჩაწვდნენ კონტექსტს; შეაფასონ, რამდენად გასაგებად, ცხადად და გამართულად აქვთ გამოთქმული ესა თუ ის აზრი/თვალსაზრისი/იდეა; თვალსაჩინოდ დაინახონ თავიანთი ნაშრომების ნაკლი და ღირსება. ეს ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას და სტიმულს აძლევს მეტაკოგნიტური უნარების განვითარების პროცესს.

აქტივობის მიზნები:

- ტექსტის ანალიზის უნარ-ჩვევების განვითარება; კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველებისას სათანადო ენობრივ-სტილისტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შევსება; ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- თვითშეფასების უნარის განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური (პირველი-მესამე ნაწილები), წყვილური/ჯგუფური (მეორე ნაწილი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობის აღწერა:

ნაწერში ტავტოლოგიების აღმოფხვრის მიზნით მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს, გაყონ თავიანთ რვეულებში ერთი გვერდი ორნაწილად; ერთ სვეტში ჩამოწერონ მათი ერთ-ერთი გამოყენებული ზმნები/არსებითი სახელები, ზედსართავის სახელები, მეორე სვეტში კი მიუთითონ (არაბული ციფრებით), რამდენჯერ აქვთ გამოყენებული შესაბამისი სიტყვა.

ნიმუში:

ძლიერი	<p>7-ჯერ</p> <p>სინონიმები:</p> <p>ღონიერი, ძლევამოსილი,</p>
--------	---

	უზარმაზარიძალისპატრონი, დევგმირი, ჯან- ღონისმქონე
--	--

ამგვარი ცხრილი თვალსაჩინოდ დაანახებს სტუდენტებს, რომ ხშირად გამოყენებული სიტყვა სინონიმითაა შესაცვლელი. სინონიმების ძიებაზე სტუდენტებმა შეიძლება წყვილებში/ჯგუფებში იმუშაონ ერთობლივად, ლექსიკონის დახმარებით.

სინონიმების მოძებნის შემდეგ სტუდენტებს დაევალებათ, შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, მოძიებული სინონიმებით ჩაანაცვლონ ხშირად გამოყენებული სიტყვა და ამ სახით დაწერონ წინადადებები.

აქტივობა # 16. სიტყვების „რაზარუხის“ წინააღმდეგ

აქტივობის შესახებ: აქტივობა გამოიყენება წერის შემდგომ ეტაპზე. იგი ემსახურება ტექსტის გააზრების, რედაქტირების, გამართული წერითი მეტყველებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

აქტივობის მიზნები:

- ტექსტის გააზრების უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერითი მეტყველებისას სათანადო ენობრივ-გრამატიკული, სინტაქსური და სტილისტური ნორმების მართებულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;
- ნაწერის რედაქტირების უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური (პირველი ნაწილი), წყვილური /ჯგუფური (მეორე ნაწილი).

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობისაღწერა:

აქტივობანათლადდაანახებსსტუდენტებს, რომწერისასისინისაკმაოდხშირადიყენებენუხედიმეტ, არაფრისმოქმელსიტყვებს, რისგამოცწინადადებებშიმოუხემავიდასინტაქსურადგაუმართავიგამოდის.

სტუდენტთა ნაწიერების სინტაქსურადგამართვის მიზნით, მასწავლებელი ავალეს მათ, გაყონ რვეულის გვერდი ორნაწილად. პირველ ნაწილში სტუდენტებმა უნდა ჩამოწერონ წინადადებების რიცხვითი შესატყვისები (1., 2., 3...) და ყოველ წინადადებაში დათვალონ სიტყვათა რაოდენობა; სქემის მეორე მხარეს კი, თითოეულ წინადადებასთან, აღნიშნონ/მიუწერონ, რამდენი სიტყვისგან შედგება იგი (იხ. ნიმუში).

სიტყვების დათვლის შემდეგ სტუდენტები ურადლებას გაამახვილებენ გრძელ წინადადებაზე. სავარაუდოდ, გრძელი წინადადებების სინტაქსურადგამართავი იქნება. ამის დადგენის შემდეგ მასწავლებელი წყვილებში/ჯგუფებში გადაანაწილებს სტუდენტებს. წყვილის/ჯგუფის წევრები ამგვარ წინადადებებს ხმამაღლა წაუკითხავენ ერთმანეთს და შეეცდებიან მათ შემოკლებას, გამართვას, დახვეწას და ნაწერის გასუფთავებას არასაჭირო, ზედმეტ სიტყვებისგან.

ნიმუში:

წინადადება №1	5 სიტყვა
წინადადება №2	7 სიტყვა
წინადადება №3	12- სიტყვა
წინადადება №4	6 -სიტყვა
წინადადება №5	14- სიტყვა
წინადადება №6	9 -სიტყვა
წინადადება №7	11 –სიტყვა

კავშირი მოდულის შედეგებთან:

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6
- VII შედეგი, 1, 2

აქტივობა 17. ავანტიკველოთ მუნჯი: დავაკვირდეთ დეტალებს

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს ანალიზისა და კომუნიკაციის უნარები, აიმაღლონ მულტიმედიური წიგნიერების დონე.

აქტივობის მიზნები:

- არავერბალური ენის ელემენტების ადეკვატურად აღქმა-გააზრების უნარების განვითარება;
- თხრობის, ამბის გადმოცემის უნარის განვითარება;
- მულტიმედიური ტექსტის აღქმა-გაგების უნარების განვითარება;
- ინტერპრეტაციისა და წარმოსახვის უნარების განვითარება;
- წერიტი მეტყველების განვითარება;
- ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების განვითარება.

რესურსი: პანტომიმური სცენა „კურიერი“.

აქტივობის აღწერა:

„კურიერის“ ნახვის შემდეგ: მასწავლებელი სთხოვს სტუდენტებს, წარმოიდგინონ, ვის განასახიერებს იგი (ბოსი, უფროსი), ვინაა მისი წარმოსახვითი აუდიტორია/მსმენელები (დირექტორთა საბჭოს წევრები, ტოპ-მენეჯერები); სთხოვს, წარმოიდგინონ, რაზე საუბრობს გმირი მსმენელებთან; შესთავაზებს, დაახასიათონ იგი (თავდაჯერებული, ქედმაღალი, მიჩვეული ბრძანებების გაცემას და უსიტყვო

მეთოდური მითითებები:

- სამუშაოს შესასრულებლად სტუდენტები ყურადღებით უნდა დააკვირდნენ გმირის მიმიკას, სახის გამომეტყველებას, ჟესტებსა და მიხვრა-მოხვრას.
- საკუთარი მოსაზრებების ან ვარაუდების გამოთქმისას აუცილებელია, რომ სტუდენტებმა ფილმის მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1, 2, 4
- III შედეგი, 4, 5
- V შედეგი, 1, 3

დამატებითი ცნობები მულტიმედიურ რესურსთან დაკავშირებით

ბ) პანტომიმური სცენა „კურიერი“ (The Errand Boy)

გადაღების თარიღი: 1961

სცენარის თანაავტორი, რეჟისორი და შემსრულებელი: ჯერი ლუისი

კომპოზიტორი: უოლტერ შარფი (Walter Scharf).

სცენის ხანგრძლივობა: 2. 30 წუთი.

წყარო: <https://www.youtube.com/watch?v=Q4v8UdkTx30>

შენიშვნა: ჯერი ლუისი (Jerry Lewis) - ამერიკელი კომედიური მსახიობი, სცენარისტი, მომღერალი, რეჟისორი, მრავალი პროფესიული ჯილდოსა და პრიზის მფლობელი, დაიბადა 1926 წელს.

შემაჯამებელი დავალებები

- წერილი რედაქციას - გამოხმაურება თამარ ფერამის სტატიაზე (სტატიის ავტორის პოზიციის გაზიარება ან უარყოფა სათანადო მაგალითების მოყვანით);
- წარმოსახვითი წერილობითი ინტერვიუ მთავარ პერსონაჟთან (დაახლოებით 7-10 ღიადაბოლოებანი კითხვა „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის მიმართ და მისი სავარაუდო პასუხები).
- პრეზენტაცია/ზეპირი მოხსენება „ოთარაანთ ქვრივის“ ისტორიული კონტექსტის შესახებ (მაგ., „სოციალური ფენები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში“);
- სხვ.

შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემათა ნიმუშები

შემაჯამებელი დავალება 1. წერილი რედაქტორს

კრიტერიუმები	ქულები
შინაარსობრივი მხარე	
1. ნათლად გამოკვეთს წერილის დაწერის	0 - 0.5 - 1

მიზებს	
2. აყალიბებს სათქმელს გასაგებად და თანამიმდევრულად	0 - 0.5 - 1
3. ავლენს საკითხის ცოდნას	0 - 0.5 - 1
4. მოჰყავს კონტრარგუმენტები, <i>ან:</i> მოჰყავს დამატებითი მხარდამჭერი არგუმენტები	0 - 0.5 - 1
5. ასაბუთებს ნათქვამს ფაქტებით/მაგალითებით	0 - 0.5 - 1
6. დასასრულს შეაჯამებს ნათქვამს, <i>ან:</i> წამოაყენებს რეკომენდაციას	0 - 0.5 - 1
სტრუქტურა, კომპოზიცია	
7. იცავს წერილის ტრადიციულ ფორმატს (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა)	0 - 0.5 - 1
ლექსიკა, სტილი	
8. შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას, იყენებს სათანადო ენობრივ ფორმულებს მიმართვისას, დამშვიდობებისას (მაგ.,	0 - 0.5 - 1

პატივცემულო რედაქტორო, პატივისცემით და ა.შ.)	
9. იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	0 - 0.5 - 1
10. იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს	0 - 0.5 - 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალდება სტუდენტის სასარგებლოდ)	

შემაჯამებელი დავალება 2. წერილობითი ინტერვიუ პერსონაჟთან

კრიტერიუმები	ქულები
შინაარსობრივი მხარე	
1. კითხვები მიმართულია პერსონაჟის მოტივაციის/შინაგანი თვისებების წარმოჩენისკენ	0 - 0.5 - 1
2. ადეკვატურად პასუხობს დასმულ კითხვებს	0 - 0.5 - 1
3. პასუხებში ავლენს პერსონაჟის ცხოვრებისა და შინაგანი თვისებების სიღრმისეულ გაგებას	0 - 0.5 - 1
4. პასუხებში იყენებს პერსონაჟისთვის დამახასიათებელ მეტყველებას	0 - 0.5 - 1

(სიტყვებს, ფრაზებს, ენობრივ კონსტრუქციებს)	
5. ავლენს ტექსტის რეალიებისა და პერსონაჟების საფუძვლიან ცოდნას	0 - 0.5 - 1
6. ავლენს შემოქმედებით მიდგომას, ორიგინალურ ხედვას	0 - 0.5 - 1
სტრუქტურა	
7. იცავს ინტერვიუს ტრადიციულ ფორმატს	0 - 0.5 - 1
ენობრივი მხარე	
8. შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას	0 - 0.5 - 1
9. იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	0 - 0.5 - 1
10. იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს	0 - 0.5 - 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალებდა მოსწავლის სასარგებლოდ)	

შემაჯამებელი დავალება 3. პრეზენტაცია

კრიტერიუმები	ქულები
შინაარსი, სტრუქტურა	
1. მოჰყავს საკმარისი რაოდენობის ინფორმაცია	0 - 0.5 - 1
2. მოყვანილი ინფორმაცია ზუსტია და სანდო	0 - 0.5 - 1

3. იცავს სათანადო კომპოზიციას (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა)	0 - 1
4. იცავს ლოგიკურ შესაბამისობებს სხვადასხვა ნაწილებს შორის	0 - 0.5 - 1
ენა, კომუნიკაცია	
5. გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოსცემს სათქმელს	0 - 1 - 2
6. სათანადოდ იყენებს არავერბალური მეტყველების ელემენტებს (ხმა, მკაფიო მეტყველება, ჟესტები, პოზა, გამომეტყველება)	0 - 0.5 - 1
7. იყენებს ადეკვატურ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს, იცავს მართლმეტყველების ნორმებს	0 - 0.5 - 1
8. იყენებს ადეკვატურ ლექსიკასა და სტილს	0 - 0.5 - 1
ვიზუალური საშუალებები	
9. აღქმის გასაადვილებლად იყენებს თვალსაჩინოებებს (მაგ., ცხრილს, ფოტოსურათს, სხვ.)	0 - 0.5 - 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალებდა მოსწავლის სასარგებლოდ)	

თავი 6. სწავლა-განათლება და აღზრდა

ძირითადი სასწავლო რესურსები

აქტივობები

ბეჭდური ტექსტები

მულტიმედიური ტექსტები

აქტივობა 1. ქვიზი

მხატვრული

მხატვრული ფილმი „ძნელად აღსაზრდელი ბავშვები“ (შემოკლებული ვერსია)

აქტივობა 2. როგორ დავწეროთ თეზისი

აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“ (შემოკლებული ვერსია)

აქტივობა 3. მოვიფიქროთ არგუმენტები

არამხატვრული

გადაცემა „ფერმა“

აქტივობა 4. ჩამოვაცალიბოთ არგუმენტები

1. დანიელ პენაკი, სკოლის სევდა: ფრაგმენტები

აქტივობა 5. როლური თამაშები არგუმენტირების უნარების გასავითარებლად

(ავტობიოგრაფიული);

აქტივობა 6. ვისაუბროთ არგუმენტირებულად:

2. სტივენ ჯობსი, სიტყვა სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიმართ (შემოკლებული, ადაპტირებული)

თემატური საკვანძო კითხვები

- რატომ და როგორ/რით სწავლობს ადამიანი?
- რამდენად და როგორ შეგვიძლია საკუთარი თავის შექმნა-ჩამოყალიბება?
- რამდენად და როგორაა შესაძლებელი ადამიანის გარდაქმნა/ფერისცვალება სწავლა-განათლების გზით?
- რა გავლენას ახდენს ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდის გაკვეთილები ადამიანის მომავალზე?
- რამდენად და რატომ იცვლება/არ იცვლება ადამიანის დამოკიდებულება სწავლის, მასწავლებლის, სკოლის/პროფესიული სასწავლებლის მიმართ დროთა განმავლობაში?

შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები

კონკრეტული რეკომენდაციები შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის:

- შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს შემდეგი სამი აქტივობით:
 - საკითხავი დავალებები: სტივენ ჯობსი, სიტყვა სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიმართ, მეორე ისტორია, კითხვები ტექსტი გასააზრებლად, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14);
 - თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი წერითი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით);
 - თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი ზეპირი აქტივობა(სტუდენტის არჩევანის მიხედვით);

თუ სტუდენტი დამაკმაყოფილებელ დონეზე შეასრულებს ამ სამ აქტივობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ამ თემის ფარგლებში დაძლია მოდულის მოთხოვნები.

მოდულის შედეგები	სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები
<p><i>პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა უნდა შეძლოს:</i></p> <p>1. ტექსტის გაანალიზება ჟანრული და კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით.</p> <p>2. ტექსტის გაანალიზება ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სტრუქტურულ-ორგანიზაციული მახასიათებლების მიხედვით.</p> <p>3. ტექსტის გააზრება-გაანალიზება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.</p> <p>4. ტექსტების შედარება, ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოვლენა.</p>	<p style="text-align: center;"><i>ტექსტის ჟანრი</i></p> <p>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო მახასიათებლები</p> <p style="text-align: center;"><i>ტექსტის კომპოზიცია</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ნაწარმოების მთლიანობას ქმნის კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ერთობლიობა. ▪ კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. <p style="text-align: center;"><i>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. ▪ მკაფიო სტრუქტურა და ლოგიკურად ორგანიზება დამეხმარება ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებაში. <p style="text-align: center;"><i>ტექსტის ენა, სტილი</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი ფორმები და სიტყვები გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობაზე/ფასეულობაზე. ▪ ავტორები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ გადმოსცენ სათქმელი, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. ▪ ენობრივისაშუალებების ცოდნა დამეხმარება ტექსტების გაგება-გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ჟანრები: პოემა, ავტობიოგრაფიული მოთხრობა, საჯარო გამოსვლა; ➤ კომპოზიცია: თემა, პრობლემა, მთავარი იდეა (დედააზრი)/ძირითადი საკითხი; პერსონაჟი, პერსონაჟის/ავტორის ფასეულობები/დამოკიდებულებები; ხედვის კუთხე/პერსპექტივა; ➤ ინტერტექსტუალური მიმართებები; ➤ ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები: რიტორიკის ელემენტები: თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოობა, ლოგიკა, ემოცია); ტროპები: მეტაფორა, ეპითეტი; ენობრივ-გრამატიკული საკითხები: ლოგიკური მიმართებების გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები - „აქედან გამომდინარე“, „...-ის შედეგად“; მძიმე განკერძოებულ სიტყვებთან

<p>5. ტექსტის ინტერპრეტირება, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.</p> <p>6. სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით.</p> <p>7. წარმატებული კომუნიკაციის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<p style="text-align: center;"><i>საკომუნიკაციო სიტუაცია</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საკომუნიკაციო სიტუაციის ცოდნის გამოყენება დამეხმარება ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში. <i>კონტექსტი</i> <p>კონტექსტის ცოდნა მეხმარება ტექსტის სიღრმისეულად, მრავალმხრივად გაგება-გააზრებაში. <i>ინტერტექსტუალობა</i></p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების აღმოჩენა შესაძლებელია წინარე ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით. ▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების დადგენის შედეგად უფრო ღრმად/მრავალმხრივად გავიზარებ ტექსტის მნიშვნელობას, იდეებს, თემებსა და პერსპექტივებს. <i>ინტერპრეტაცია</i> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექსტის მნიშვნელობის ასახსნელად, ახალი კუთხით/ფორმით წარმოსაჩენად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა. <i>ტექსტის გაგება</i> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექსტის გაგება არის პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება. ▪ ტექსტის გაგების ხელშესაწყობად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო ცალკეული კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. <i>ტექსტის შედგენა-გაზიარება</i> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტექსტის შედგენა-გაზიარება არის კომპლექსური პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება. ▪ ტექსტის შედგენა-გაზიარებისას უნდა: 	<p>და გამოთქმებთან (დანართი, ჩართული სიტყვები/გამოთქმები).</p>
---	--	--

	<ul style="list-style-type: none"> ○ გამოვიყენო ქანობრივიმახასიათებლებისადა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა; შევარჩიო და გამოვიყენო კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. 	
--	--	--

შენიშვნები:

- საკითხების ჩამონათვალში წარმოდგენილი ენობრივ-გრამატიკული საკითხების გასააქტიურებლად მასწავლებელს შუძლია გამოიყენოს დ. თვალთვადის წიგნი, კერძოდ: ტიპობრივი შეცდომები მიზეზის- და მიზნისგარემოებითი დამოკიდებულების შემცველ რთულ წინადადებაში (ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, გვ. 235-248); მძიმე ჩართულ სიტყვებთან და გამოთქმებთან (დ. თვალთვადე, დასახ. წიგნი, გვ. 300-302). *კონკრეტული სავარჯიშოების რაობა და რაოდენობა უნდა შეირჩეს სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.*
- *ზეპირი ან წერითი შემაჯამებელი დავალებების მიცემისას მასწავლებელმა სტუდენტებს წინასწარ უნდა გააცნოს შეფასების სქემები.*

საკითხავი მასალა 1. აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“ (შემოკლებული ვერსია)

ნაბიჯი 1. კითხვის დაწყებამდე - ვარაუდების გამოთქმა ნაწარმოების შესაძლო შინაარსზე 3 მონაცემზე დაყრდნობით. ეს მონაცემებია: სათაური („გამზრდელი“), ავტორისეული შენიშვნა („ნამდვილი ამბავი“), მიძღვნა („ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს“).

დრო: 10-12 წუთი

მასწავლებელი სტუდენტებს აჩვენებს ტექსტს პროექტორზე (ან დაურიგებს სამუშაო ფურცლებზე ამობეჭდილი სახით) და სთხოვს, გამოთქვან ვარაუდები ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ. აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ვარაუდების გამოსათქმელად სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ ზემოთ აღნიშნული 3 მონაცემი - ამ ეტაპზე ტექსტი მათ არ უნდა წაიკითხოთ.

მასწავლებლის შეკითხვები (ზეპირი კითხვა-პასუხი):

- რას ნიშნავს „გამზრდელი“?

გონებრივი იერიში სიტყვაზე „გამზრდელი“ (მინიდიკუსია: შეიძლება თუ არა ეს სიტყვა აღნიშნავდეს „მშობელს“ (მოყვანა პარალელებისა: „გამზრდელი დედა“, „გამზრდელი ბებია“).

შესაძლო პასუხი: აქ მშობელი არ უნდა იგულისხმებოდეს - არ ითქმის „გამზრდელი დედა“ ან „გამზრდელი მამა“, რადგან დედ-მამას ბუნებრივად ევალებათ შვილის აღზრდა. სიტყვა „გამზრდელი“ უნდა აღნიშნავდეს ადამიანს, ვინც ზრდის ბავშვს, მაგრამ მისი მშობელი არ არის. დასკვნა: ეს სიტყვა უნდა აღნიშნავდეს აღმზრდელს ან მასწავლებელს.

- თქვენი აზრით, რას გვიამბობს/რაზე მოგვითხრობს ტექსტი?

შესაძლო ვარიანტები: გადმოცემული უნდა იყოს აღმზრდელის ან მასწავლებლის ამბავი. ავტორისეული შენიშვნით, ესაა რეალურად მომხდარი ამბავი - ან ავტორის პირადი გამოცდილება, ან სხვისი რეალური ისტორია. ავტორი პოემას პედაგოგებს უძღვნის, რაც მიგვითითებს, რომ სათაური „გამზრდელი“, კონკრეტულად, აღნიშნავს მასწავლებელს. მინი-დიკუსია: რა არის ავტორისეული მიძღვნის მიზანი? (შესაძლო პასუხი: როდესაც ადამიანს ან ადამიანებს რაიმეს ვუძღვნით, გვსურს, რომ გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული, პატივისცემა, მადლიერება. ავტორსაც, ალბათ, ეს სურს)²⁹.

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

²⁹ამ ვარაუდს მასწავლებელი უნდა დაუბრუნდეს მას მერე, რაც სტუდენტები სრულად გაეცნობიან თხზულებას და შეძლებენ ავტორისეული მიძღვნის გააზრებას ნაწარმოების კონტექსტში.

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1, 2, 3, 4

1-ლი კითხვის სესია

ინსტრუქცია:

შეწყვიტეთ კითხვა იმ სტროფზე, რომელშიც ავტორი მიგვანიშნებს - მთავარ გმირს წინ დიდი განსაცდელი ელის (სიტყვებზე: „მტრისას მისი გამოცანა“)

აკაკი წერეთელი

გამზრდელი

ნამდვილიამბავი
ვუძღვნიჩვენსპედაგოგებს

I

მთისმწვერვალზე, ცისმახლობლად,
მერცხლისბუდედრაღაცმოსჩანს;
თვალთისარი, შენატყორცნი,
ვერარჩევსმისიგრძესდაგანს.

ისფაცხაა, მღვიმისპირად
მოწნულიდამიგრებილი,
დროდაჟამისშესაფერად -
ზამთართბილი, ზაფხულგრილი...

ამშორეულფაცხა-მღვიმეს
ვინჰპატრონობს, ვისიარის?
დასაამოკარ-მიდამოს
ვინშესტრფისდავინშეჰხარის?

ერთივინმეახალგაზრდა
აფხაზია, ამმთისშვილი,
რთულცხოვრებისუარმყოფი,
მცირედითაცკმაყოფილი.

კარგითოფი, კარგიხმალი,
კარგიცხენიდანაზადი!...
რასინატრებსსხვას, ამისმეტს,

კაცი, მისებრდანაზადი?

მხოლოდერთსკი... დაისერთიც
არისმარტოსიყვარული,
რითაცმხოლოდეყენიური
ნეტარებაარისსრული.

ბედმაესეცარდააკლო,
განასხვავა, ვითრჩეული...
სიყვარულსა, მისმონაშუქს,
მიაშუქასიყვარული:

ერთითვეა, რაცრომცოლად
მიიყვანა, ვინცუყვარდა,
ვისაცგულშიცისქვეშეთი
შეუწონა, შეუფერდა...

ნაზიბროლა - სახელია,
სამეგრელოსასულია,
მოწყვეტილიცითვარსკვლავი
ედემსალვადასულია!...

ელფერობითვარდიარის,

სინაზითკი - მორცხვია...

ტრფობისათვისჯერპირველად

გულისკარიგაუღია.

ცადაქვეყნისშუამავლად

მიაჩნიამასაფხაზი!...

გულშიგულსსდებს, სულშისულსცვლის,

ხორცსეწმახვნის*სურო-ვაზი!...

ნეტავიმათ!... მათსიყვარულს

დამათუხმოაღსარებას!...

ერთადგრძნობენამქვეყნადვე

სასუფეველისნეტარებას...

მაგრამხანგრძლივესსოფელი

გაახარებსვისმესგანა?

თაფლშიურევსმწარენაღველს...

მტრისასმისიგამოცანა!...

სიტყვათა განმარტება

ფიანდაზი - ძირს დაგებული ვიწრო ქსოვილი/ხალიჩა სასიარულოდ

ეწმახვნის - ეკვრის

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. ავტორი აფხაზი ბათუს შესახებ ამბობს, რომ ის მცირედით კმაყოფილდება. მოიყვანეთ ტექსტიდან სტრიქონები, რომლებშიც დასახელებულია, რა მიაჩნია ბათუს ფასეულად.

„კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!“

2. ავტორის თქმით, რას ნატრობდა ბათუ?

სიყვარულს.

3. წაიკითხეთ მეშვიდე სტროფი. მოძებნეთ სტრიქონები, რომლებშიც ჩანს, რომ ბათუს რჩეული ქალი მის სიყვარულს სიყვარულით პასუხობს.

„სიყვარულსა, მისმონაშუქს,
მიაშუქასიყვარული“

4. ავტორი ამ სიტყვებით აგვიწერს ნაზიბროლას დამოკიდებულებას ბათუს მიმართ:

„ცა და ქვეყნის შუამავლად მიაჩნია მას აფხაზი“. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ სიტყვებიდან?

ნაზიბროლა ფიქრობს, რომ ბათუ:

ა) იდეალური ადამიანია:

ბ) კარგად არ იცნობს რეალობას;

გ) მოხერხებული ადამიანია;

დ) ოცნებებით ცხოვრობს.

4. რა არის ბოლო სტროფის დანიშნულება?

მომზადოს მკითხველი ბათუს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებისთვის. მკითხველი ხვდება, რომ მომავალში რაღაც ცუდი უნდა მოხდეს, ბათუს ბედნიერ ცხოვრებას ავი დაემუქრება.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

ამ აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოდულის შემდეგი შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგი, 1, 2, 6
- IV შედეგი, 1;

II

მე-2 კითხვის სესია

მითითება: წაიკითხეთ იმ სტროფამდე, რომელშიც ნაჩვენებია, როგორ მიემართება მთავარი გმირი სახიფათო დავალების შესასრულებლად (სიტყვებამდე: „და დაჰზუის თავზე ქარი“).

ერთ ავდრიან ღამეს, კოკისპირულ წვიმაში, როდესაც დედამიწას ჭექა-ქუხილი აზანზარებდა, ბათუს ფაცხის კარს ნაბადში გახვეული, ყაბალახით* თავმოზურული მგზავრი მოადგა. მან ხმამაღლა დაუძახა მასპინძელს და სახლში შეშვება ითხოვა. ბათუმ კარი გააღო და ფაცხაში შეიყვანა თავიდან ფეხებამდე დასველებული მგზავრი. სტუმარმა ყაბალახი მოიძრო თავიდან, ბათუსკენ შეტრიალდა და ხუმრობით უთხრა:

"მასპინძელო! სიცილითთქვა -

წახდა*ჩემიხუმრობაო!...

ვერმიცანი, თუგეწყინა

ესუდროოსტუმრობაო?"

- საფარ, შენხარ?... ენაცვალოს

ძიძისშვილი*მაგშენს თავსო...

ესთვალებირაღასნახვენ

შენსუკეთესსანახავსო?

მოეხვია, გადაკოცნა,

როგორცმდათვისიტოლი,

დამერეკიგააღვიძა

შიგნითმწოლიმისიცოლი.

შეხვეწა: "აბა, ჩქარა,

მოამზადევახშამიო,

შორიგზააქესგამოვლილი,

არექნებანაჭამიო".

- "არა, ბათუ, ვახშამსარგჭამ,
არმცალიაიმისთვისო!
მესხვამადამაქვსაშლილი,
სხვანაირიგულისთქმისო...

უპასუხადამოუყვა:
"მინდაგიოხრაჩემიჭირი:
დღემდისმტკიცეპირიანსა,
დღესმიტყდება, ძმაო, პირი!

აღმასხიტსხომკარგადიციოზ,
თავმომწონენალიფას?
მისცხენსადამისიარაღს
ვერვინდასდებსდირსეულფასს.

ვაჟკაციათვალ-ტანადი,
ცხენოსანიუებარი!...
მეტოქეაჩემიმხოლოდ,
ერთადერთისაშიშარი.

შორსგაისმისმისიქება,
ჩვენიცხშირისტუმარია;

ბიჭობით*დასილამაზით
ქალებიცკიგადარია.

ერთიმხოლოდზია-ხანუმ
არადაგდებს, არცუყურებს,
რადგანიცის, რომსხვებსავით
იმასისვერიმსახურებს.

ზია-ხანუმ, შენცკიცი,
რომმშვენებითგანთქმულია;
ბევრიკარგიახალგაზრდა
მისიეშხითდაბმულია;

მთვარესავითხელუხლები, -
სხივებსჰფენსდაარვისათბობს;
მომხიბლავიმორეულად
თანასწორადყველასატკობს.

ჯერგაჰლაღვს*, მიიბირებს*,
დაიმონებს, იგდებსხელში,
მერე უნდაგამოსცადოს:
ავდებსმისმსხვერპლსგანსაცდელში!

მეცმომხიბლაჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!...
და, თუქალიმაჯობებდა,
არვფიქრობდი, არმეგონა...

დამიჩემა: "თუგიყვარვარ
დახარჩემიმოგვარეო,
ინალიფასლურჯიცხენი*
ამსამდღეშიმომგვარეო!"

ინალიფამისბედაურს*
არდაუთმობსნებითგამჩენს
დათუვინმეძალასიხმარს,
შეაკვდება, არშეარჩენს!

სხვაგზაარმაქვს: მოპარვაა
მხოლოდერთადერთიღონე,
თუმც-კისხვადროსარიკადრებს
ამასკაციტავმომწონე.

აი, რისთვისმოვსულვარაქ,
ჩემოკარგომეგობარო!
მემინდა, რომალმასხიტის

ლურჯილაფმა*მოვიპარო".

მოუსმინაძიძიშვილმა,
ყველაკარგადგაიგონა,
მაგრამსაქმემუკუღმართმა
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: "ვწუხვარ, რომეგსაქმე
უკადრისიგიკისრია,
მაგრამ, რადგანსიყვარულის
ტკბილისენიშენცშეგყრია,

გზაადარგაქვს!... უნდაგული
დაუდვადამსახურო,
რომსატრფოსწინშენსირცხვილის
ოფლიადარმოიწურო:

მისოცნებას, მისგულისთქმას
უნდამიჰყვე, დაემონო,
გინდსიცოცხლეცშენიტკბილი
მწარესიკვდილსშეუწონო*.

ესშენციცი, - არხარქვეყნის
უცადიდაუმეცარი, -

სავაჟკაცოდგამოსული,
უდრეკიდაუშიშარი!

მაგრამმარტოუშიშრობა
ძლევსათვის*არაკმარა,
თუსიფრთხილეცგონივრული
დროზემასარდაეხმარა.

ერთმანეთისმინამსგავსი,
შიშისხვაა, სიფრთხილესხვა,
ისე, როგორცსხვადასხვაა
ღვთისწყალობადაღვთისრისხვა.

რომმიდიხარ, სადმიდიხარ?
მართალია, გიჟრისთვალი,
მაგრამჩვენში, როგორცუცხოს,
აგებნევაგზადაკვალი.

შენეგსაქმემომანდე,
მევიზამშენსმაგივრობას:
ანმოგიყვანიმცხენს, ანთავს
შევწირავშენსმეგობრობას!

შენაქდარჩი, დაიძინე,

გამოშუმდიცეცხლისპირას!...

და, თუ დამრჩაგამარჯვება,
მაშინმოგთხოვფეხისქირას".

გაეხუმრა, გამოეწყო

სამგზავროდდაგავლოკარი.

მიდის, ელვაგზასუნათებს

დადაჰზუისთავზექარი.

სიტყვათა განმარტება

ყაბალახი - მამაკაცის ტრადიციული თავსაბურავი საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში.

წახდა - აქ: ჩამეშალა

ძიძისშვილი - ძიძის, გამზრდელი ქალის შვილი. გაძიძავების ჩვეულებით, ძიძისშვილი ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი იყო ძიძის ოჯახში გაზრდილისთვის.

გაძიძავება - სხვისოჯახშიშვილისგასაზრდელადგაზარებისჩვეულება, რომელიცგავრცელებულიყოკავკასიაში, ასევე საქართველოში. წარჩინებული ოჯახები ახალდაბადებულ ვაჟებს გასაზრდელად მიაზარებდნენ ხოლმე თავიანთ აზნაურებს, გლეხებს ან მსახურებს. აღსაზრდელი დაჭაბუკებამდე ძიძის სახლში იზრდებოდა, შემდეგ კი ბრუნდებოდა მამის სახლში. აღსაზრდელსა და ძიძისშვილებს შორის მყარდებოდა ძალზე მჭიდრო, დამძური ურთიერთობა, რაც კრძალავდა მათ შორის საქორწინო ურთიერთობებს, სისხლის დაღვრას.

სხვამადამაქვსაშლილი - სხვა რაღაც მინდა.

უებარი - შეუდარებელი

ბიჭობით - ვაჟკაცობით

ლურჯი ცხენი - მოლურჯო ნაცრისფერი ცხენი, ლურჯა.

ლაფშა - დაკოდლილიცხენი, იაბო.

ბედაური - კარგიმარბენალიცხენი.

გაჰლაღავს - მოაჯადოებს

მიიბირებს - გადაიბირებს

შეუწონო - შეუსაბამო, გაუთანასწორო

ძლევისათვის - სხვისი მორევისთვის, დაძლევისთვის.

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. ვინ აღმოჩნდა ავდრიან ღამეს მოსული სტუმარი?

2. წაიკითხეთ პირველი სამი სტროფი. მათზე დაყრდნობით, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ბათუსა და საფარ-ბეგის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ?

საფარ-ბეგსა და მის ძიძიშვილს, ბათუს, ძმური ურთიერთობააქვთ: ერთმანეთის ნახვა ორივეს ახარებს, კარგ გუნება-განწყობილებაზე, ლაღობისა და ხუმრობის ხასიათზე აყენებს.

3. საიდან ჩანს, რომ ბათუ კარგი მასპინძელია?

ბათუ კერიაში ცეცხლს შეუკეთებს შეციებული მგზავრის გასათბობად, გააღვიძებს მძინარე ცოლს და სთხოვს, რომ სტუმარს ვახშამი მოუმზადოს.

3. წაიკითხეთ მე-7-მე-10 სტროფები. რა ინფორმაციას აწვდის საფარ-ბეგი ალმასხიტინალიფას შესახებ ბათუს? ამ ინფორმაციის მიხედვით, როგორია მისი დამოკიდებულება ალმასხიტინალიფას მიმართ? (დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით)

გამორჩეული გარეგნობის მქონე ალმასხიტინალიფა თავმომწონე ვაჟკაცი და შეუდარებელი ცხენოსანია. ალმასხიტინალიფას დაუდებელი ცხენი და იარაღი აქვს, მისი სახელი ფართოდაა ცნობილი და ყველგან ქებით მოიხსენიება. ქალები მოხიბლული არიან მისით, მაგრამ ულამაზესი ქალიც კი ვერ შეძლებს ალმასხიტინის მსახურად დაყენებას.

საფარ-ბეგი პატივს სცემს ალმასხიტს: დადებითად ახასიათებს მის თვისებებს („თავმომწონე“, „თვალტანადი ვაჟკაცი“, „უებარი ცხენოსანი“, რომელსაც აქვს „ბიჭობა და სილამაზე“); აღიარებს, როგორც ერთადერთ ანგარიშგასაწევ მეტოქეს („მეტოქეა ჩემი მხოლოდ/ერთადერთი საშიშარი“).

4. წაიკითხეთ 10-15 სტროფები. რა ინფორმაციას აწვდის საფარი ზია-ხანუმის შესახებ ბათუს? ამ ინფორმაციის მიხედვით, რა შეიძლება დავასკვნათ საფარის ხასიათის თვისებების შესახებ? (დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით)

შესაძლო ვარიანტი: ზია-ხანუმი ულამაზესი ქალია. მას ბევრი ეტრფის, მაგრამ თვითონ გულგრილია ყველას მიმართ. ზია-ხანუმი გაწაფულია სასიყვარულო მახის დაგებაში: შეყვარებულ ჭაბუკებს ჯერ იმედებს აძლევს და მთლიანად დაიმონებს, მერე კი განსაცდელის წინაშე აყენებს და სასტიკ გამოცდას უწყობს. თავისი შეყვარებულებისგან ზია-ხანუმი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს, მბრძანებლობს მათზე. ზია-ხანუმი შურისმაძიებელი ბუნებისაა: სურს, გული ატკინოს ალმასხიტინალიფასაყვარელი ცხენის წართმევით, რადგან იცის, რომ ამ ვაჟკაცს სხვებივით ვერ მოიმსახურებს. ქალი გარეგნულად არაფერს იმჩნევს, მეტიც, ზედ არ უყურებს ალმასხიტინალიფას, მაგრამ შინაგანად აფორიაქებულია, ვერ ისვენებს (ვერ პატიობს ალმასხიტს ხასიათის სიმტკიცეს). მიზნის მისაღწევად ზია-ხანუმი იყენებს საფარს, რომელსაც ალმასხიტის ცხენის მოყვანას დაავალბებს. საფარმა იცის, რომ ალმასხიტისაყვარელ ცხენს არავის დაანებებს, თავს შეაკლავს ცხენის წართმევის მსურველს, ამიტომ საფარისთვის ერთადერთი გამოსავალი ცხენის მოპარვაა.

საფარ-ბეგი სუსტი ნებისყოფის ადამიანია, რომელიც მთლიანად ვნებასაა აყოლილი. ის გაორებულია: ერთი მხრივ, საფარი კარგად იცნობს ზია-ხანუმის ვერაგულ ბუნებას, ესმის, რომ ქალის გულის მოსაგებად სრულიად შეუფერებელი, სამარცხვინო საქმეუნდა ჩაიდინოს („დღემდის მტკიცე პირიანსა/ დღეს მიტყდება, მმაო, პირი“, „...სხვა დროს არ იკადრებს / ამას კაცი თავმომწონე“), მაგრამ, მეორე

მხრივ, ძალა არ ყოფნის, რომ შეეწინააღმდეგოს ზია-ხანუმის სურვილს. საფარი აღიარებს თავის დამარცხებას, ქალს ჯადოსანს უწოდებს და თითქოს ამით ცდილობს თავისი მონური დამოკიდებულების ახსნას (პასუხისმგებლობას იხსნის).

5. წაიკითხეთ 19-23 სტროფები. რა რეაქცია ჰქონდა ბათუს საფარის ნათქვამზე?

ბათუ ძალიან შეწუხდა იმის გამო, რომ საფარს უკადრისი საქმე უნდა შეესრულებინა, მაგრამ იმით გაამართლა ძუძუმტე, რომ ამას სიყვარულის გამოსჩადიოდა. ბათუს თქმით, სატრფოს მსახურებისთვის, მისი ოცნებისა თუ სურვილის შესრულებისთვის შეყვარებული სიკვდილსაც არ უნდა მოერიდოს.

6. ბათუმ საფარ-ბეგს ფაცხაში დარჩენა შესთავაზა, სახიფათო დავალების შესრულება კი თავის თავზე აიღო. რით დაასაბუთა ბათუმ თავისი ნათქვამი?

ბათუს თქმით, საქმეში გამარჯვებისთვის მხოლოდ უშიშრობა არ არის საკმარისი, აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენაც. საფარს ადვილად დაებნეოდა გზა იმიტომ, რომ არემარეს არ იცნობდა (სიმამაცე ვერ დაეხმარებოდა გზის გაკვალვაში). სიფრთხილე მოითხოვდა, რომ საფარი ადგილზე დარჩენილიყო და სხვას გაეწია მისი მაგივრობა. ბათუ საფარს შეჰპირდა, რომ სიცოცხლეს არ დაზოგავდა მეგობრისათვის („ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს / შევწირავ ჩვენს მეგობრობას“).

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 6;
- IV შედეგი, 1,
- V შედეგი, 1, 5.

მე-3 კითხვის სესია

მითითება: დაასრულეთ კითხვა იმ სტროფზე, რომელშიც მთავარი გმირი დავალებას შესრულებულად აცხადებს (სიტყვებზე: „თუ რომ ვერა გემსახურე“).

III

ბათუმ პირნათლად შეასრულა საფარ-ბეგისთვის მიცემული სიტყვა - დილაადრიან დაბრუნდა და თან აღმასხიტ ინალიფას ბედაური მოიყვანა. ბათუ ფრთხილად შევიდა ფაცხაში, გვერდი აუარა მძინარე საფარ-ბეგს და პირდაპირ ნაზიბროლას სამყოფისკენ გაეშურა. ცოლთან შესულს თვალწინ შემზარავი სურათი წარმოუდგა თვალწინ - დაინახა არეულ-დარეული ლოგინი და სახედახოკილი, ყელდაკაწრული, მდუღარე ცრემლებით მტირალი ნაზიბროლა, რომელიც გამეტებით უტყამდა თავს კედელს.

მიხვდაქმარი, რაცმომხდარა,
ზარმადაჰკრა, ელდაეცა!...
და, რომკრინტიცარდაუძრავს,
იქვეუხმოდჩაიკეცა.

დიდხანსიჯდარეტდასხმული*,
უყურებდაცოლისტანჯვას;
ბოლოსღონემოიკრიფა
დამოეგოისეკჰუას.

მივიდადაუთხრამტირალს:

"ჩუ, ნუტირი, გენაცვალე!
რაცგინახავს - სიზმარია,
დაივიწყისევმალე!

ყოველგვარი მოსავალი
კაცისთავზეუნებური,
ღვთისრისხვაა, ტყუილადბედს
რასუჩივი, რითემდური?

გადაიგდეგულიდანეგ
ცრუზღაპარიდასიზმარი!...
მედაშენისიყვარული
წმინდაარის, ვითლამპარი".

მოეხვიადაცრემლები
ამოუშროთვალშიკოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსითდაბევრიხვეწნით.

მაშინმხოლოდგამობრუნდა
სტუმრისაკენდაუთხრავს:
"ადე, ძმაო, გაღვიძებას
არაპირებ, მგონია, დღეს!"

წამოვარდაზეზესაფარ,
შემკრთალიდადარცხვენილი!...
მაგრამროცამშვიდსახეზე
შეამჩნიამასლიმილი,

გაიფიქრა: "მადლობაღმერთს!
არაფერიშეუტყვია,
თვარაგულ-მკერდსგამიხვრეტდა
ხანჯლისწვერიდანტყვია!"

არუთქვამსქალს, რაცშევეცოდე,
ჩანს, ნამუსიშეუნახავს.
ჩემს საქციელსსამარცხვინოს
ვინგაიგებს, ვინდამძრახავს?"

მერეუთხრამისძიძიშვილს:
"გატყობ, რომხარკმაყოფილი,
შეასრულეგანაჩემი
ძნელინატვრადასურვილი?"

- "შევასრულე: მოგიყვანე,
დროა, აწ-კიგაეშურე!"

ნუდამპრახავ, საკმარისად
თურომვერაგემსახურე!"

მე-4 კითხვის სესია

მითითება: შეწყვიტეთ კითხვა იმ სტროფზე, რომელშიც მთავარი გმირის - ბათუს - მძიმე ფიზიკური მდგომარეობაა ნაჩვენები (სიტყვებზე „ძლივს ბარბაცით აიარა“).

სტუმარმა და მასპინძელმა ერთხანს ისაუბრეს. ბათუმ წყალი მოიტანა, ხელ-პირი დააბანინა საფარ-ბეგს. მოემსახურა მას, როგორც მასპინძელი, რომელიც ცდილობს, თავისი ოჯახიდან სტუმარი გულნაკლული არ გაუშვას. მერე ბათუმ ცხენი შეუკაზმა საფარ-ბეგს, თვითონ ნაქურდალ ცხენზე შეჯდა და თან გაჰყვა სტუმარს გასაცილებლად. მეგობრებმა თავდაღმართი ჭენებ-ჭენებით ჩაიარეს და მინდვრის პირას გავიდნენ. აქ ბათუმ ცხენი შეაჩერა და ხმამაღლა მიმართა სტუმარს:

- "საფარ-ბეგო! პირშავობა

შენივიცი, შემიტყვია!...

დადღეიდანჩვენორსშუა

მოციქული* არისტყვია!

არასთქვარა!... არცმეგკითხავ:

არისზოგიშეცოდება,

რომსათქმელადსამნელოა...

არცშენდობაუხერხდება!

ახლაწადი! დამეკარგე!

ფრთხილად! არსადშემეყარო,
რომცუდგულზეუცაბედად
შენისისხლიარდავღვარო!"

ესრომუთხრა, შეკრთასაფარ,
გაშრა, ფერიდაედვამკვდრის,
ჩაუვარდაენაპირში,
გაქვავდადაალარიძვრის...

ძლივსწარმოსთქვა: "მართალიხარ!...
აღარამაქვსმესათქმელი!...
შემაცდინათვითეშმაკმა
დადამრიაცოდვილსხელი!..."

შენიტყვევარ!... ჰა, ხომხედავ,
იარალიდამიყრია...
სასიკვდილოდჩემინებით
შენწინთავიდამიხრია...

ჩემს სიცოცხლესსიკვდილისჯობს,
მომკალ... ტანჯულსრამმიშველე,
მაზღვევინე*, რაცშეგცოდე,
სინიდისიგამიმრთელე!..."

- "არა! შენვერშეგეხება
სასიკვდილოდჩემიტყვია:
დედაჩემისგაზრდილიხარ,
მისიძუძუგიწოვია...

რაცქვეყანასმიაჩნია
რჯულზეუფროუმტკიცესად,
რომგასტეხე, ისგეყოფა
სიკვდილამდეშენსაკვნესად.

წადიჩემგანშენდობილი,
მაგრამშორსკი... დამშვიდობით!...
დღეიდანჩვენწმინდაგულით
ერთმანეთსვერმივენდობით!

მაგრამერთსკიდაგავალებ,
ამისრულეუქველად:
რომმხვიდეყაზარდომი,
იცოდე, რომსულპირველად,

წადი, ნახეისმომღვარი,
ვინცშვილივითგამოგზარდა,
დაუამბეშენიპირით,

რასირცხვილიდაგემართა!"

გადმოხტადალურჯილაფშა

მისცახელში, ჩააბარა,

მოტრიალდადააღმართი

ძლივსბარბაციითაიარა.

სიტყვათა განმარტება

რეტდასხმული - დარეტთანებული, თავბრუდახვეული.

ნუდამძრახავ - ნუ დამგმობ, ნუ შემარცხვენ, ნუ მისაყვედურებ

პირშავობა - უსინდისობა, უნამუსობა.

მოციქული - აქ: შუამავალი

მაზღვევინე - სანაცვლო გადამახდევინე.

ყაბარდო - მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში.

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. რა რეაქცია ჰქონდა ბათუს, როდესაც მიხვდა, რა ჩაიდინა საფარ-ბეგმა?

ბათუს ელდა ეცა, ვერაფერი თქვა და უხმოდ ჩაიკეცა. დიდხანს იჯდა ჩუმად და უყურებდა ცოლის ტანჯვას.

2. რა მოიქმედა ბათუმ, როდესაც „ჭკუას მოეგო“? რა სიტყვებით დაამშვიდა ცოლი?

ბათუმ ძალ-ღონე მოიკრიბა, ცოლთან მივიდა და ტკბილი სიტყვებით დაამშვიდა.

3. თქვენი აზრით, რით შეიძლება აიხსნას ბათუს დამოკიდებულება სასოწარკვეთილი ნაზიბროლას მიმართ?

ნაზიბროლა ძალადობის მსხვერპლია. მომხდარში მას ბრალი არ მიუძღვის/დამნაშავე არ არის, ამიტომ ის მხოლოდ თანაგრძნობას იმსახურებს. ბათუ არაფერს ეკითხება ცოლს, ალერსით ეპყრობა და სთხოვს, რომ მომხდარი ცრუ სიზმარივით დაივიწყოს.

3. ბათუს რა თვისებები იკვეთება ცოლთან მის დამოკიდებულებაში?

თანაგრძნობის უნარი და სულის სიმტკიცე: ბათუ თანაგრძნობს ცოლს, რომელიც ძალადობის მსხვერპლია; მას შეუძლია მღელვარების დაოკება, ემოციების მართვა („მოეგო ისევ ჭკუას“).

4. როგორ ექცევა ბათუ ახლად გამოღვიძებულ საფარ-ბეგს? როგორ ახასიათებს ეს ბათუს?

ელაპარაკება მშვიდად, ღიმილით; ემსახურება, როგორც კარგი მასპინძელი. ეს მეტყველებს, რომ ბათუს თავშეკავების უდიდესი უნარი, მტკიცე ნებისყოფა აქვს.

5. მოიყვანეთ 2 სტროფი, რომლებშიც ჩანს, რომ საფარ-ბეგი არ აპირებდა თავისი დანაშაულის გამხელას და მონანიებას იმ შემთხვევაში, თუკი მისი შეცოდება დაფარული დარჩებოდა.

ა) „გაიფიქრა: მადლობა ღმერთს... ან ტყვია“ ბ) „არ უთქვამს ქალს... ვინ დამძრახავს?“

6. გადაიკითხეთ მე-8 და მე-10 სტროფები. მიუთითეთ სიტყვები, რომლებიდანაც ჩანს, რომ საფარ-ბეგი აცნობიერებდა თავის დანაშაულს.

მე-8 სტროფი: „შემკრთალი და დარცხვენილი“, მე-10 სტროფი: „შევცოდე“, „ჩემს საქციელს სამარცხვინოს“, „ვინ დამძრახავს?“ (აცნობიერებს, რომ მისი საქციელი დასაგმობია).

7. საფარ-ბეგის ხასიათის რა თვისებები იკვეთება მე-8-მე-10 სტროფებში?

შესაძლო ვარიანტი: საფარ-ბეგი ემოციებით მოქმედებს. გონებით იცის, რომ ძიძიშვილის ცოლზე ძალადობა მიუღებელი და დასაგმობი საქციელია, მაგრამ ნაზიბროლასთან მარტო დარჩენილი სურვილს აჰყვას, ვნება ვერ დაძლია.

8.რა შეიძლება დავასკვნათ საფარ-ბეგის ხასიათის თვისებებზე ზია-ხანუმთან და ნაზიბროლასთან მისი დამოკიდებულების მიხედვით?

შესაძლო ვარიანტი: საფარ-ბეგი ემოციებს ვერ მართავს/აკონტროლებს, ადვილად ემორჩილება ვნებებს, არ ყოფნის ხასიათის სიმტკიცე. იგი გაორებული/წინააღმდეგობრივი ბუნების კაცია: ზია-ხანუმის გულის მოსაგებად ალმასხიტ ინალიფას ცხენის მოპარვას გადაწყვეტს, ძიძიშვილის ცოლზე კი ძალას იხმარს, თუმცა ორივე შემთხვევაში აცნობიერებს, რომ უკადრის საქციელს სჩადის (პირველ შემთხვევაში ქურდობას ირჩევს, ხოლო მეორე შემთხვევაში არღვევს ძუძუმტეობის ტრადიციას).

8. როდის გაუმყდავნა ბათუმ საფარ-ბეგს, რომ იცოდა მისი შეცოდების შესახებ?

როდესაც სტუმარი და მასპინძელი საკმაო მანძილით გასცდნენ ბათუს ფაცხას, საფარ-ბეგთან განშორების წინ.

9. რას უწოდებს ბათუ საფარის საქციელს?

პირშავობას (/დალატს, უნამუსობას)

10. „არა სთქვა რა! არც მე გკითხავ“ - ეუბნება ბათუ საფარს. რით ხსნის ბათუ თავის ნათქვამს?

ბათუს სიტყვებით, საფარმა ჩაიდინა ისეთი მიუტევებელი დანაშაული (/შეცოდება), რომლის თქმაც კი სამწუხაროა (მწუხარად შესასრულებელია).

11. რა რეაქცია ჰქონდა საფარს, როდესაც შეიტყო, რომ ბათუმ იცოდა მისი დანაშაულის შესახებ?

საფარი გაშრა, მკვდრის ფერი დაედო, ენა ჩაუვარდა.

12. რით ამყდვენებს საფარი სინანულის გრძნობას? რას თხოვს ბათუს საკუთარი ცოდვის გამოსასყიდად?

საფარი ეთანხმება ბათუს იმაში, რომ სათქმელი, თავის გასამართლებელი არაფერი აქვს („აღარა მაქვს მე სათქმელი“). ამბობს, რომ მის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს და სინანულის განცდით დატანჯული ბათუს მოკვლას სთხოვს: ძიძიშვილის ხელიდან

სიკვდილი მას შველად, დახმარებად მიაჩნია. საფარი იარაღს აიყრის, ევედრება ბათუს, სიკვდილით გამოასყიდვინოს ჩადენილი ცოდვა, რადგან აცნობიერებს, რომ ასეთი მძიმე დანაშაული უმკაცრეს დასჯას იმსახურებს. ჩადენილი დანაშაულის განცდისგან გათავისუფლება და შეცოდების ჩამორეცხვა კი მხოლოდ სისხლითაა შესაძლებელი („...მომკალ, ტანჯულს რამ მიშველე, / მაზღვევინე, რაც შეგცოდე, /სინიდისი გამიმრთელე“).

13. რით ხსნის საფარი თავის დანაშაულს?

საფარი ამბობს, რომ ის ეშმაკმა შეაცდინა, ცოდვა ჩაადენინა.

14. რატომ ამბობს ბათუ უარს შურისძიებაზე, საფარ-ბეგის მოკვლაზე?

იმიტომ, რომ საფარი ბათუს დედის მიერაა აღზრდილი, ბათუს ძუძუმტეა („არა! შენ ვერ შეგეხება / სასიკვდილოდ ჩემი ტყვია; / დედიჩემის გაზრდილი ხარ, /მისი ძუძუ გიწოვია“). ამით ბათუ ძუძუმტეობის ტრადიციას იცავს: ამ ტრადიციის თანახმად, საფარ-ბეგი (ძუძუმტე) და ბათუ (ძიძუშვილი) ერთმანეთის უახლოეს ადამიანებად, ძმებად ითვლებოდნენ, რაც კრძალავდა მათ შორის სისხლის დაღვრას (იხ. ზემოთ, განმარტება სიტყვისა „გადიძავება“).

15. ბათუ ამ სიტყვებით მიმართავს საფარ-ბეგს: „წადი ჩემგან შენდობილი“, მშვიდობიანად გაუშვებს საფარს, მაგრამ ურიგდება თუ არა დანაშაულს? მომავალში როგორ წარმოუდგენია მას ურთიერთობა საფართან?

ბათუ ამბობს, რომ წყვეტს ურთიერთობას საფარ-ბეგთან, მტრად მიიჩნევს მას მომავალში: აფრთხილებს, რომ მოერიდოს და არსად შეეყაროს, რადგან მეორედ შეხვედრისას აღარ დაზოგავს („დღეიდან ჩვენ ორს შუა / მოციქული არის ტყვია“; „ახლა წადი! დამეკარგე! ფრთხილად! არსად შემეყარო, /რომ ცუდ გულზე უცაბედად / შენი სისხლი არ დავღვარო“, „წადი ..., მაგრამ შორს კი ... და მშვიდობით, / დღეიდან ჩვენ წმინდა გულით / ერთმანეთს ვერ მივენდობით“).

16. ბათუს თქმით, რა იქნებოდა საფარისთვის უფრო მძიმე - მორალური სასჯელი თუ ფიზიკური?ეთანხმებით თუ არა ბათუს აზრს და რატომ?

ბათუს აზრით, საფარისთვის მორალური სასჯელი - სინანულის განცდით ცხოვრება, შერცხვენილი სიცოცხლე - უფრო დიდი ტანჯვა იქნებოდა, ვიდრე ფიზიკური სასჯელი (სიკვდილი): საფარს სიკვდილამდე არ მოასვენებდა და დატანჯავდა სინანულის

განცდა, იმის შეგნება, რომ რჯულზე უფრო მტკიცე ჩვეულებას უღალატა („...ის გეყოფა / სიკვდილამდე შენ საკვნესად“). ამას აცნობიერებდა საფარიც, როდესაც ის ტყვიას მოითხოვდა ბათუსგან სინდისის „გასამრთელებლად“.

პირადი პოზიციის გამოხატვის დროს მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

17. ვისი ნახვა დაავალა ბათუმ საფარ-ბეგს და რა მიზნით?

ბათუმ საფარს სთხოვა, ყაზარდოში ჩასვლისას ენახა თავისი მასწავლებელი/გამზრდელი და მოეყოლა თავისი შეცოდების შესახებ.

18. თქვენი აზრით, რატომ სთხოვა ბათუმ საფარ-ბეგს თავისი გამზრდელის ნახვა?

პირადი პოზიციის გამოხატვის დროს მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო ვარიანტი: ბათუმ შეუნდო საფარ-ბეგს, მაგრამ არ ურიგდება მის დანაშაულს. საფარ-ბეგის მიერ ჩადენილი უმძიმესი შეცოდებისთვის კი საკმარისი არ იქნება უბრალო შურისძიება - დამნაშავის (საფარის) მოკვლა და ამით მისთვის სამაგიეროს გადახდა, ანუ ბოროტების აღმოფხვრა მეორე ბოროტებით.

ბათუ თვლიდა, რომ აღმზრდელი ზნეობრივად პასუხისმგებელია აღზრდილზე, ამიტომ საფარის ბრძენ გამზრდელს მიანდო იმის გადაწყვეტა, თუ რას იმსახურებდა საფარი რჯულზე უფრო მტკიცე ტრადიციის ღალატისთვის.

19. საფარ-ბეგთან განშორების შემდეგ ბათუ ძლივძლივობით, ბარბაცით აივლის აღმართს. რაზე მიგვანიშნებს ბათუს ფიზიკური უძლურება?

ბათუს მძიმე სულიერ მდგომარეობაზე - უძლიერესი სულიერი სტრესის გამო ის იმდენად გამოფიტულია, რომ მოძრაობა უჭირს.

20. ბათუს რა თვისებები იკვეთება მოღალატე საფარ-ბეგთან მის დამოკიდებულებაში?

სულის სიმტკიცე, სიბრძნე, ზნეობრიობა.

21. როგორ შეაფასებთ ბათუს ქმედებას?

პირადი პოზიციის გამოხატვის დროს მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 4, 6;
- IV შედეგი, 1,
- V შედეგი, 1, 2, 3

მე-5 კითხვის სესია

IV

არცგვართ, არცვაჟკაცობით,

არცსიმდიდრით, არცქონებით,
ჰაჯი-უსუბცნობილია
მხოლოდჭკუითდაგონებით.

ჭირში, ლხინშისაზოგადოდ
უმისობაარიქნება;
ხელისგულზეუწერია
თვითმაჰმადისწმინდამცნება.

ზღვადახმელიმოვლილიაქვს,
მნახველიაცადაქვეყნის;
ჯერისევექანმაკია*,
თუმცარარისკიმცირეხნის.

ხელ-ფეხსერჩის, თვალსაცუჭრის, -
არტყულიიქადილია;
სადაცკიაგვარიშვილი,
ყველამისიგაზრდილია.

საფარ-ბეგიცმანგაზარდა
ისე, როგორცხვებიყველა,
მაგრამმარტოწვრთნა*რასიზამს,
თუბუნებამც*არუშველა?

აი, სწორედამუსუბთან
მიდისახლასაფარ-ბეგი,
მორღუობის*გამტეხიდა
ჩვეულებისგადამდეგი.

ეუბნებაყოველიფერს,
უნებურადრაცშემთხვა;
ცრემლებისდისდაეჩრება
ბურთადყელშიმწარესიტყვა.

ყურსუგდებდაჰაჯი-უსუბ,
სახემონადვლიანა:
სიდიადეამმუხთლობის
თვალწინგაისიგრძეგანა.

ოხვრითჰკითხა: "მერე? მერე?
რომგაიგო, რასთქვაქმარმა?"
- "მაჰატივაშეცოდება,
როგორცმამდამეგობარმა!...

მხოლოდეს-კიდანავალა:
ნახემენიგამზრდელიო
დამაგშენისაქციელის

პასუხსმისგანმოველიო!"

- "მესმის, მესმისდაპასუხიც
ჩემიმხოლოდესარიო,
რომნამუსისგასაწმენდად
ჩემიხელითსისხლსდავღვრიო!.."

შეაყენაზედაფეხზე*
მანდამბაჩაგატენილი;
მორჩილებითგულ-მკერდსუშვერს
საფარ, მისიგამოზრდილი.

მაგრამუსუბეუბნება:
"შენსიკვდილისრაღირსიხარ?!"
სასიკვდილომევარმხოლოდ,
რომკაცადვერგამიზრდიხარ!"

წარმოსთქვადასაფეთქელში
მიიჭედაცხელიტყვია!...
ჩაიკეცასულთამზრძოლი,
წამლისკვამლშიგაეხვია...

სიტყვათა განმარტება

ჰაჯი - საპატიო წოდება იმ მუსლიმებისთვის, რომლებმაც მოსალოცად იმოგზაურეს მაჰმადიანთა წმინდა ქალაქ მექაში (მდებარეობს ამჟამინდელი საუდის არაბეთის სამეფოს ტერიტორიაზე). ამ წოდებას, ჩვეულებრივ, პირის სახელის წინ მოიხსენიებენ: მაგ., ჰაჯი უსუბი, ჰაჯი მუსტაფა, ჰაჯი მურატი.

ჰანმაკი - ხანშიშესული, ვაჟკაცური იერისმქონე მხნე მამაკაცი.

ქადილი - ტრახხი, კვეხნა.

წვრთნა - აღზრდა.

ბუნება - აქ იგულისხმება ადამიანის შინაგანი ბუნება, თანდაყოლილი ხასიათი.

მორღუობა - ძუძუმტეობა. წარმოდგება აფხაზური სიტყვისგან „მორღუ“, რომელიც ნიშნავს გამზრდელს, ძიძის ქმარს.

მუხთლობა - ღალატი, გაუტანლობა; ვერაგობა.

გაისიგრძეგანა - შეაფასა.

შეაყენა ზედა ფეხზე - სასროლად მოამზადა.

სულთამბრძოლი, სულთმობრძავი - მომაკვდავი.

წამალი - აქ: ტყვია-წამალი.

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. რითია ცნობილი ყაზარდოში მცხოვრები ჰაჯი-უსუბი?

ჰკუითა და გონებით.

2. როგორ ახასიათებს ავტორი ჰაჯი-უსუბს? რაში გამოიხატება საზოგადოების პატივისცემა მის მიმართ?

ჰაჯი-უსუბი ასაკოვანია, მაგრამ ჯანმრთელობას არ უჩივის, ჯერ კიდევ მხნე კაცია. ესაა მაღალი მორალის/ზნეობრივად წმინდა ადამიანი („ხელის გულზე უწერია/ თვით მაჰმადის წმინდა მცნება), რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს - მრავალი ქვეყანა მოუვლია და ძალზე ბევრი უნახავს.

ჰაჯი-უსუბი ყველა ჭირისა თუ ლხინის უცვლელი მონაწილეა, წარჩინებული გვარის ოჯახები მას ანდობენ თავიანთი შვილების აღზრდას.

3. ტექსტში ვკითხულობთ: „მარტოწვრთნარასიზამს, თუბუნებამცარუშველა“. რის თქმა სურს ავტორს ამ სიტყვებით?

ა) თუკი ადამიანის ბუნება არ იცი, მის აღზრდას ვერ შეძლებ;

ბ) მხოლოდ აღზრდითაა შესაძლებელი ადამიანის ბუნების დამარცხება;

გ) ადამიანის ბუნება ყოველთვის ეწინააღმდეგება აღზრდას;

დ) ადამიანის ბუნება უფრო ძლიერია, ვიდრე აღზრდა.

4. ჰაჯი-უსუბთან საუბრის დროს რაში ვლინდება საფარის სინანულის გრძნობა?

საფარს ცრემლები სდის, ლაპარაკი უჭირს (სიტყვები ყელში ეჩხირება), მორჩილად უშვერს მკერდს დამბაჩას - სიცოცხლე აღარ უნდა, მზადაა მოკვდეს, რათა სისხლით ჩამოირეცხოს ცოდვა.

5. თქვენი აზრით, ეტყობა თუ არა საფარ-ბეგს, რომ ბრძენი და ზნეობრივი გამზრდელი ჰყავდა? (პასუხი დაასაბუთეთ)

მისაღები იქნება პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

შესაძლო პასუხი: დიახ, ეტყობა. საფარ-ბეგს აცნობიერებს, რა არის კარგი, რა-ცუდი. მართალია, საფარი არ იქცევა ამ წარმოდგენების შესაბამისად, მაგრამ შეუძლია სწორად შეაფასოს საკუთარი ქმედებები, მოინანიოს საკუთარი შეცოდება. კონკრეტულ შემთხვევებში საფარი ამჟღავნებს ვალდებულების გრძნობასაც: ზია-ხანუმისთვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად მიემართება უაღრესად სახიფათო საქმეზე, ხოლო ყაბარდოში ჩასული ბათუს თხოვნას ასრულებს - მაშინვე გამზრდელთან მიდის და გულახდილად უყვება თავის შეცოდებაზე (მიუხედავად იმისა, რომ ბათუ ვერ გაიგებდა, შეასრულა თუ არა საფარმა მისი თხოვნა).

5. რა თქვა ჰაჯი-უსუბმა ბათუს შემონათვლის პასუხად? (გადმოეცით თქვენი სიტყვებით)

გაიგო, რას გულისხმობდა ბათუ და ჰქონდა ერთადერთი პასუხი - ნამუსის გასაწმენდად საკუთარი ხელით უნდა დაეღვარა სისხლი.

6. რით შეიძლება აიხსნას ჰაჯი-უსუბის მიერ საკუთარი თავისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი?

ჰაჯი-უსუბს მიაჩნდა, რომ იგი, როგორც გამზრდელი, ზნეობრივად პასუხისმგებელი იყო/ ზნეობრივად პასუხს აგებდა გაზრდილის ქმედებებზე. შესაბამისად, მან საფარის დანაშაულის საფუძველი საკუთარ თავში მოძებნა, თანამონაწილედ ჩათვალა საკუთარი თავი.

7. პოემაში ორი საპირისპირო აზრია გამოთქმული:

1. „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“ (ავტორის პოზიცია);
2. „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“ (ჰაჯი-უსუბის პოზიცია).

რომელი მათგანია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ?

პასუხები შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

7. თქვენი აზრით, როგორ წარიმართებოდა საფარის ცხოვრება ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობის შემდეგ? (როგორ გაგრძელდებოდა მისი ურთიერთობა ზია-ხანუმთან, შეიტყობდნენ თუ არა სხვები საფარის ღალატს, რამდენად შეიცვლებოდა საფარის ცხოვრების წესი, გადასხვაფერდებოდა თუ არა საფარი ბუნებით)

პასუხები შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღები იქნება ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

8. თქვენი აზრით, რომელი სასჯელი უფრო მძიმე იყო საფარისთვის - ფიზიკური თუ მორალური? (პასუხი დაასაბუთეთ)

პირადი პოზიციის გამოხატვისას მისაღები იქნება პასუხი, რომელიც იქნება სათანადოდ ახსნილი და დასაბუთებული.

9. გადაიკითხეთ ავტორისეული მიძღვნა: „ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს“. თქვენი აზრით, რის ხაზგასმა სურს ავტორს ამ მიძღვნით? (იმსჯელეთ ტექსტზე დაყრდნობით)

შესაძლო ვარიანტები: ავტორს სურს, რომ პედაგოგებმა აღზრდისას გაითვალისწინონ ადამიანის ბუნების მნიშვნელობა; ავტორს სურს გამოკვეთოს პედაგოგების ზნეობრივი პასუხისმგებლობა.

გამოსაკვეთი: მიძღვნა პოემის კონტექსტში არ უნდა გავიაზროთ ისე, თითქოს ავტორი თვითმკვლევლობისკენ მოუწოდებს პედაგოგებს იმ შემთხვევაში, თუკი აღზრდილი უღალატებს აღზრდისას ჩანერგილ პრინციპებს - ამ მიძღვნით ხაზგასმულია/გამოკვეთილია პედაგოგების მორალური პასუხისმგებლობა.

9. გაიხსენეთ ო'პენის მოთხრობა „მოგვთა საჩუქრები“ და გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის ბალადა“. თქვენი აზრით, რომელი მათგანის მთავარ გმირს ჰგავს ბათუ? (პასუხი დაასაბუთეთ).

ო'პენის მოთხრობის გმირს. ბათუსთვის, ისევე როგორც ჯეიმსისთვის, სიყვარული არის საყვარელი ადამიანის მსახურება, მასთან სულიერი ერთობა. ორივე პირად ინტერესებზე მაღლა საყვარელი ადამიანის ინტერესებს აყენებს.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 4, 5, 6;
- IV შედეგი, 1,
- V შედეგი, 1, 2, 3, 5, 6

მასწავლებელი სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით განმავითარებელი შეფასებისათვის იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

იდეები წერითი ნამუშევრებისთვის:

- ✓ თხზულების შინაარსი;
- ✓ ბათუს დახასიათება;
- ✓ საფარ-ბეგის დახასიათება;
- ✓ თხზულების ანალიზი;
- ✓ სწორად მოიქცა თუ არა ჰაჯი-უსუბი? (პირადი თვალსაზრისი გამოხატვა)
- ✓ წერილი აკაკი წერეთელს (პირადი თვალსაზრისის გამოხატვა ავტორის პოზიციის მიმართ)

შენიშვნა: მასწავლებელს, სტუდენტების კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებით, შეუძლია შეარჩიოს და სტუდენტებს შესთავაზოს ერთი წერითი დავალება.

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

ზემოთ წარმოდგენილი **დავალებები** ემსახურება V შედეგით გათვალისწინებული უნარების განვითარებას. ამდენად, ამ უნარებზე დაკვირვებისა და/ან შეფასებისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს მეხუთე შედეგის შესრულების კრიტერიუმები.

შეფასების სქემები განმავითარებელი შეფასებისათვის:

სასურველია წერითი დავალებისათვის ურთიერთშეფასების სქემები მომზადდეს. გთავაზობთ შეფასების სქემის ერთ-ერთ შესაძლო ნიმუშს დავალებისათვის „პერსონაჟის დახასიათება“.

	მე	თანაჯგუფელი	მასწავლე ბელი
	სრულად /ნაწილობრივად/ საერთოდ არ		

	+ კომენტარი		
დახასიათება ეყრდნობა ტექსტში მოცემულ ინფორმაციას.			
გამოკვეთილია პერსონაჟის თვისებები			
პერსონაჟის თვისებები და დახასიათება ერთმანეთს შეესაბამება (თუ არა, მიუთითეთ, სად არის შეუსაბამობა)			
მოყვანილია სათანადო ციტატები (თუ შეუსაბამო ციტირებაა, მიუთითეთ, რომელი)			
სათქმელი გასაგებად არის ჩამოყალიბებული (ბუნდოვან, გაუგებარ წინადადებებს ტექსტში გაუსვი ხაზი)			
ნაწერში გვხდება ტავტოლოგია (მიუთითეთ კონკრეტული მაგალითი)			

- შევამჩნიე შემდეგიშეცდომები: _____

- ჯგუფელის რჩევები ნაწერის გასაუმჯობესებლად: _____

- მასწავლებლის რჩევები ნაწერის გასაუმჯობესებლად _____

- გთავაზობთ შეფასების სქემის ერთ-ერთ შესაძლო ნიმუშს დავალებისათვის „წერილი აკაკი წერეთელს (პირადი თვალსაზრისის გამოხატვა ავტორის პოზიციის მიმართ)“

წერილი ავტორს	
კრიტერიუმები	მასწავლებლის შეფასება
	სრულად /ნაწილობრივად/ საერთო არა + კომენტარი
შინაარსობრივი მხარე	
1. ნათლად აყალიბებს წერილის დაწერის მიზეზს	
2. აყალიბებს სათქმელს გასაგებად და თანამიმდევრულად	
3. ავლენს საკითხის ცოდნას	
4. მოჰყავს კონტარგუმენტები, <i>ან</i> : მოჰყავს დამატებითი მხარდამჭერი	

არგუმენტები	
5. ასაბუთებს ნათქვამს ფაქტებით/მაგალითებით ³⁰ , მონაცემებით	
6. დასასრულს შეაჯამებს ნათქვამს, <i>ან:</i> წამოაყენებს რეკომენდაციას	
სტრუქტურა, კომპოზიცია	
7. იცავს წერილის ტრადიციულ ფორმატს (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა)	
ლექსიკა, სტილი	
8. შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას, იყენებს სათანადო ენობრივ ფორმულებს მიმართვისას, დამშვიდობებისას (მაგ., პატივცემულო რედაქტორო, პატივისცემით/საუკეთესო სურვილებით, მისთ.)	
9. იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	

³⁰პირადი გამოცდილება, ლიტერატურული გამოცდილება, ავტორიტეტების დამოწმება, მისთ.

10. იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს

- შევამჩნიე შემდეგიშეცდომები:
- მასწავლებლის რჩევები ნაწერის გასაუმჯობესებლად

საკითხავი მასალა 2. დანიელ პენაკი, „სკოლის სევდა“

ინფორმაცია ავტორის შესახებ

დანიელ პენაკი (დაიბ. 1944 წელს) - ცნობილი ფრანგი მწერალი და აღიარებული მასწავლებელი. ის ბავშვობაში ჩამორჩენილი მოსწავლე იყო, რომელსაც მასწავლებელთა უმრავლესობა წარუმატებელი, შეუძდგარი ადამიანის მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

დანიელ პენაკი, როგორც მასწავლებელი, უამრავ მოსწავლეს დაეხმარა ჩამორჩენის დაძლევაში. მისი თქმით, ბავშვს ეგრეთ წოდებულ ოროსან მოსწავლედ აყალიბებს მოუქნელი და სევდისმომგვრელი სასკოლო სისტემა - სისტემა, რომელიც მოსწავლეებს ერთგვაროვან მასად აღიქვამს, ვერ ამჩნევს, რომ ყოველი მათგანი უნიკალური თვისებების მქონე ინდივიდია. პენაკის აზრით, მთავარია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ მათი მომავალი თითოეული მათგანის პირად არჩევანზეა დამოკიდებული.

2007 წელს დანიელ პენაკმა გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული რომანი „სკოლის სევდა“. ამ რომანში პენაკი გვიყვება სკოლაზე ორი - მოსწავლისა და მასწავლებლის - პოზიციიდან:

მოსწავლის პოზიცია - პენაკი იხსენებს თავისი მოსწავლეობის ხანას, სიძნელეებს, რომლებსაც ის (ჩამორჩენილი მოსწავლე) აწყდებოდა სწავლისას, იხსენებს თავის მასწავლებლებს. მწერლის სიტყვებით, სკოლაში სწავლისას მას ჰყავდა რამდენიმე ჭეშმარიტი მასწავლებელი, რომლებმაც საკუთარი ძალების რწმენა შესძინეს პატარა დანიელს და ამით ძირფესვიანად შეცვალეს მისი ცხოვრება.

მასწავლებლის პოზიცია - პენაკი მოგვითხრობს თავის მოწაფეებსა და კოლეგებზე, ასევე იმ მეთოდებზე, რომლებსაც იყენებს ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის დროს.

ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტები დანიელ პენაკის ავტობიოგრაფიული რომანიდან „სკოლის სევდა“ (იხ. ქართ. თარგმანი, გამომც. დიოგენე, 2007 წ.).

სასწავლო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ფრაგმენტების ტექსტი ზოგიერთ შემთხვევაში ადაპტირებულია.

კითხვის 1-ლი სესია

კითხვის მიზნები:

მითითება: შეწყვიტეთ კითხვა იმ ნაწყვეტზე, რომელშიც მოთხრობილია, რა განაჩენი გამოუტანა სასკოლო სისტემამ პენაკს სკოლაში სწავლისას (მეორე თავის პირველი ფრაგმენტი)

სკოლის სევდა

1

დიდი ვერაფერი მოსწავლე ვიყავი. არაფერი გამომდიოდა, და მაინც სკოლა მუდამ ფეხდაფეხ დამდევდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. მაშინაც კი, როცა ყოველ საღამოს შინ ვბრუნდებოდი, აშკარად ვგრძნობდი, რომ სკოლა არაფრის დიდებით არ აპირებდა ხელიდან ჩემ გაშვებას.

ჩემი დღიურის შინაარსი მხოლოდ მასწავლებლების მუდმივ უკმაყოფილებაზე მეტყველებდა. მათემატიკისთვის უიმედოდ ვიყავი დაგმანული.³¹ უკიდევანოდ³² უმეცარს, გამოუსწორებლად უწიგნურს, თარიღების დამახსოვრების მიმართ მყარი იმუნიტეტის მქონეს³³, რუკაზე ადგილმდებარეობის განსაზღვრაში დაუჯერებლად უუნაროს, უცხო ენების შესწავლაში სრულიად უნიჭოს, ზარმაცსა და უქნარას შინ ჩემი სიჩლუნგის დამადასტურებელი გულისგამხეთქავი შედეგები მიმქონდა, რომლებსაც ვერც მუსიკაში, ვერც სპორტში და ვერც კლასგარეშე საქმიანობაში მიღწეული წარმატებები ვერ გამოისყიდოდა.

- გაიგე, ცოტათი მაინც თუ გესმის, რასაც გიხსნი?

მე ვერაფერსაც ვერ ვიგებდი ... ოჯახში ხშირად მახსენებდნენ, რომ ასობგერა ა-ს დამახსოვრებას მთელი წელი მოანდომეო. წარმოგიდგენიათ? - ერთ წელიწადში მხოლოდ ანი.

როგორც ჩანს, ყველა ყველაფერს ჩემზე ბევრად სწრაფად იგებდა.

- შენ თავი ტვინით კი არა, ჩალით გაქვს გამოტენილი...

³¹საგულდაგულოდ დახურული, ჩარაზული.

³²უკიდევანოდ - უსაზღვროდ

³³იმუნიტეტი - ადამიანის ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა. იგულისხმება, რომ ავტორი თარიღების დამახსოვრებას ვერაფრით ახერხებდა.

2

მიუხედავად ყველაფრისა, მთლად აწყვეტილი ბავშვი კი არ ვიყავი, უფრო ცოცხალი, მოძრავი და მოთამაშე მეთქმოდა. კოჭაობაში ჩემზე მოხერხებულს კაცი ძნელად მიაგნებდა, დაუმარცხებელი ვიყავი, მსოფლიო ჩემპიონი ბალიშებით ორთაბრძოლაშიც, - მოკლედ, მაგრად ვთამაშობდი, რა! ლაქლაქა და მუდამ მხიარული, შეიძლება ითქვას, კომიკოსი და ოხუნჯი, ადვილად ვუმეგობრდებოდი ყველა დონის მოსწავლეს, უქნარებს -უპირველეს ყოვლისა...

თამაში იყო ჩემი მხსნელი იმ მომაკვდინებელი სევდისგან, რომელიც მიპყრობდა, როგორც კი საკუთარ სირცხვილთან მარტო დავრჩებოდი. ღმერთო ჩემო, რა საშინელი ტანჯვაა ეს მარტოსულობა და გამუდმებული სირცხვილის შეგრძნება იმის გამო, რომ ვერაფერს აკეთებ ისე, როგორც საჭიროა. პირდაპირ მოგინდება, დაჰკრა ფეხი და სადმე გადაიკარგო, მაგრამ სად უნდა გაექცე საკუთარ თავს.

3

იმ მასწავლებლებს, რომლებმაც მიხსნეს და ჩემგან მასწავლებელი გამოიყვანეს, საერთოდ არ შეუწუხებიათ თავი ჩემთვის ჭკუის სწავლებითა და დარიგებებით. ამ გამოცდილ ადამიანებს უკვე ჰქონდათ შეხება დაღუპვის გზაზე დამდგარ ჩემნაირ წყალწაღებულ მოზარდებთან და მათ თავიანთ თავს უთხრეს: საჭიროა სასწრაფო რეაგირება, მოქმედება. ისკუპეს და ჩემ ამოსაყვანად ფსკერზე ჩაყვინთეს... ვერ ამომათრიეს... მაინც არ დამანებეს თავი, კიდევ სცადეს - ისევ უშედეგოდ... იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს³⁴. კიდევ და კიდევ... და ბოლოს, იმდენი ქნეს, რომ ნაპირზე გამომიყვანეს... ჩემთან ერთად - ბევრი სხვაც. შეიძლება ითქვას, ანკესზე წამომაგეს. აი, იმ მეთევზეებს უნდა ვუმადლოდე.

4

ბავშვები მომავლის გარეშე.

³⁴იხტიბარი არ გაიტეხეს - იმედი არ დაკარგეს

ბავშვები, რომლებსგანაც არასდროს არაფერი გამოვა.

წყალწაღებული ბავშვები.

თავიდან, დაწყებით კლასებში, მოგვიანებით კი ლიცეუმში³⁵, მამაზეციერი ვერ დამარწმუნებდა, რომ საერთოდ რამე მომავალი მექნებოდა.

უმომავლო ცხოვრება! ...

- რის იმედი შეიძლება გქონდეს ასეთი ნიშნებით?
- შენ ფიქრობ, რომ მეექვსე კლასში გადასვლას შეძლებ? მერე - მეხუთეში, მეოთხეში, მესამეში, მეორეში, პირველში?³⁶ მიაღწევ კი ოდესმე გამოსაშვებ კლასამდე? ...

ან სკოლის დირექტორის ისტერიკული წივილ-კვილი:

- ატესტატი? თქვენ? არც იფიქროთ... თქვენ მას ვერასდროს მიიღებთ, გესმით თუ არა ჩემი: ვე-რას-დროს!

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. წაიკითხეთ პირველი ფრაგმენტი. როგორ ახასიათებს დანიელ პენაკი საკუთარ თავს, როგორც მოსწავლეს? მიუთითეთ, რა სიტყვებს იყენებს ავტორი ამისთვის და რა მიზნით?

ნელა ითვისებდა ახალს, დიდი დრო სჭირდებოდა ახსნილის გასაგებად (ერთი ასოს შესასწავლად მთელი წელი დასჭირდა), ძალიან ცუდი შედეგები ჰქონდა არითმეტიკასა და მათემატიკაში, ისტორიაში (ვერ იმახსოვრებდა თარიღებს), გეოგრაფიაში (რუკის გამოყენება უჭირდა), უცხო ენებში.

³⁵ლიცეუმი - საშუალო სკოლა საფრანგეთში.

³⁶საფრანგეთის ლიცეუმში კლასები ითვლება შებრუნებული რიგითობით. იწყება მეექვსე კლასიდან და მთავრდება გამოსაშვები კლასით, რომელიც მოსდევს პირველს.

უიმედოდ დაგმანული, უკიდევანოდ უმეცარი, გამოუსწორებლად უწიგნური, დაუჯერებლად უუნარო, სრულიად უნიჭო, ზარმაცი, უქნარა, ჩლუნგი.

ამ სიტყვებს ავტორი იყენებს მკითხველზე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად.

3. წაიკითხეთ მეორე აბზაცი. გამოიყენეთ ლექსიკონი და სხვა სიტყვებით ჩამოაყალიბეთ პატარა პენაკის მახასიათებლები.

4. რა საგნებში ჰქონდა ავტორს წარმატებები?

მუსიკაში, სპორტში, ასევე კლასგარეშე საქმიანობაში.

5. ავტორი წერს, რომ მისი წარმატებები ვერ გადაწონიდა წარუმატებლობებს. თქვენი აზრით, რატომ?

შესაძლო ვარიანტები: წარმატებები მხოლოდ ორ საგანში ჰქონდა, კლასგარეშე საქმიანობა კი საგანი საერთოდ არ არის. შესაძლებელია, მშობლების და მასწავლებლების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ე.წ. ძირითად სასკოლო საგნებში მიღწეული წარმატებები (მათემატიკაში, გეოგრაფიაში და ა.შ.), სხვ.

6. წაიკითხეთ მეორე ფრაგმენტი. რა ინფორმაციას გვაწვდის პენაკი თავისი პიროვნული მახასიათებლების შესახებ?

პენაკი იყო ცოცხალი და მოძრავი ბავშვი, ეხერხებოდა სწრაფი და მოძრავი თამაშები (კოჭაობა, ბალიშებით ორთაბრძოლა), იყო მხიარული, კარგი იუმორის მქონე, ლაპარაკის მოყვარული ბავშვი, სწრაფად და ადვილად ამყარებდა ურთიერთობას ნებისმიერ თანატოლთან.

7. პენაკის თქმით, რატომ ეჭირა თამაშს განსაკუთრებული ადგილი მის ცხოვრებაში?

თამაში მას ეხმარებოდა სინამდვილიდან გაქცევაში (/სინამდვილის, რეალობის დავიწყებაში).

8. რას განიცდიდა პატარა პენაკი სწავლაში თავისი წარუმატებლობის გამო?

რცხვენოდა, რადგან ვერაფერს აკეთებდა ისე, როგორც საჭირო იყო; მართლ გრძნობდა თავს, ჰქონდა სევდიანი განწყობა.

9. წაიკითხეთ მესამე ფრაგმენტი. როგორ მოიქცნენ ის მასწავლებლები, რომლებიც დაეხმარნენ პენაკს? რა გზა გაიარეს მათ, სანამ დადებით შედეგებს მიაღწევდნენ?

მათ დრო არ დაკარგეს პენაკისთვის ჭკუის სწავლებაზე და გადავიდნენ სასწრაფო ქმედებებზე. ხელი არ ჩაუქნევიათ/იმედი არ დაკარგეს, როდესაც თავდაპირველად შედეგი ვერ მიიღეს - იმეორებდნენ თავიანთ მცდელობებს ისევ და ისევ, მანამდე, სანამ პენაკს არ უშველეს.

10. რა სიტყვებით მოიხსენიებს პენაკი საკუთარ თავსა და თავის მხსნელ მასწავლებლებს? როგორ უნდა გავიგოთ „ანკესზე წამოგება?“

„წყალწალეული“, „მეთევზეები“. მათ ანკესზე წამოაგეს წყალწალეული პენაკი და ნაპირზე გამოიყვანეს.

შენიშვნა: საჭიროა ყურადღების გამახვილება სიტყვა „წყალწალეულის“ ორ მნიშვნელობაზე: 1) პირდაპირი მნიშვნელობა - ადამიანი, რომელიც წყალმა გაიტაცა, წყალს მიაქვს; 2) გადატანითი მნიშვნელობა - უიმედო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი.

ავტორი ამ სიტყვას მეორე, გადატანითი მნიშვნელობით იყენებს: „დალუპვის პირას მდგარი წყალწალეული მოზარდები“, მაგრამ შემდეგში გაათამაშებს ამ სიტყვის პირველ მნიშვნელობასაც - მასწავლებელთა ქმედებების აღწერისას იყენებს „წყალწალეულის“ პირველი მნიშვნელობის შესაბამის კონტექსტს, სიტყვებს, ფრაზებს - „ისკუპეს და ჩემ ამოსაყვანად ფსკერზე ჩაყვინთეს“, „ვერ ამომათრიეს“, „ნაპირზე გამომიყვანეს“, „ანკესზე წამომაგეს“, „მეთევზეები“.

„ანკესზე წამოგებაში“ აქ იგულისხმება მოსწავლის დაინტერესება, ინტერესის გაღვიძება სწავლის მიმართ.

11. ფრაგმენტის ტექსტზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა თვისებები უნდა ჰქონდეს მასწავლებელს „წყალწალეულ მოსწავლეთა“ გადასარჩენად? როგორ უნდა იმოქმედოს მასწავლებელმა ამ მოსწავლეთა „ანკესზე წამოსაგებად?“

არ დაკარგოს დრო (ჭკუის სწავლებით), დაუყოვნებლივ იმოქმედოს; უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინების უნარი: არ დაკარგოს იმედი, თუნდაც ბევრჯერ არ გამოუვიდეს, სცადოს კიდევ და კიდევ.

12. წაიკითხეთ მე-4 ფრაგმენტი. როგორ მოიხსენიებს ავტორი ჩამორჩენილ მოსწავლეებს?

წყალწალეულები, ბავშვები, რომლებისგანაც არასდროს არაფერი გამოვა, ბავშვები მომავლის გარეშე.

13. როგორ ფიქრობთ, გამოხატავს თუ არა თავად პენაკის დამოკიდებულებას ის სიტყვები, რომლებითაც ის მოიხსენიებს ჩამორჩენილ მოსწავლეებს?

არა, ავტორის დამოკიდებულებას არ გამოხატავს. როგორც ვიცით, პენაკი თვითონ იყო ჩამორჩენილი მოსწავლე, მაგრამ ცხოვრებაში დიდ წარმატებას მიაღწია და ძალიან ბევრ ბავშვს დაეხმარა ჩამორჩენის დაძლევაში (იხ. ინფორმაცია ავტორის შესახებ). ამდენად, ის არ უნდა თვლიდეს, რომ ჩამორჩენილ ბავშვებს მომავალი არ აქვთ. ეს სხვების დამოკიდებულებაა (მაგ., სკოლის დირექტორის).

14. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება გავიგოთ სიტყვები: „უმომავლო ბავშვები“, „უმომავლო ცხოვრება“?

შესაძლო ვარიანტი: ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ განვითარების უნარი; რომლებიც ვერ შეძლებენ განვითარებას და წინსვლას („რომლებისგანაც არაფერი გამოვა“); ცხოვრება, რომელიც მომავლის იმედს არ იძლევა, არ ექნება კარგი/ღირსეული გაგრძელება

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 6;
- IV შედეგი, 1,
- V შედეგი, 1, 2, 3;

სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით, განმავითარებელი შეფასებისთვის მასწავლებელი იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

კითხვის მე-2 სესია

კითხვის სესიის დაწყებამდე მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს ე.წ. ჩამორჩენილი მოსწავლის ერთი დღის აღწერა („ჩამორჩენილი მოსწავლის ერთი დღე სკოლაში“) - ერთობლივი წერის სტრატეგიით. სტუდენტები აყალიბებენ აზრებს, მასწავლებელი დაფაზე წერს. შემდეგ სტუდენტები თათბირობენ მომდევნო წინადადებაზე და ა.შ. პროცესის უკეთ წარსამართავად მასწავლებელი უსვამს კონკრეტულ შეკითხვებს - როგორ იქცევა გაკვეთილზე, დასვენებაზე? რით ხსნის დავალებების არქონას და ა.შ.

მითითება: შეწყვიტეთ კითხვა იმ მონაკვეთზე, რომელშიც ავტორი სინანულს გამოთქვამს ბავშვობაში დაკარგული წლების გამო („ვინ იცის, დაწყებითი კლასებიდანვე რომ ესწავლებინათ, თავიდანვე რომ დავდგომოდი მათ მიერ მითითებულ გზას, ჩემს მეხსიერებას ბავშვობის წლებზე განა ბევრად უფრო სასიამოვნო მოგონებები არ შემორჩებოდა?“)

5

მივადევნოთ თვალი ბედოვლათ³⁷ ოროსანს ერთი სასწავლო დღის განმავლობაში. დღეს მოხდა სასწავლო და სკოლაში დროზე გამოცხადდა, მაგრამ მისი ზურგჩანთა თითქმის ცარიელია: წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო მასალა ისევ სახლში დარჩენია, საშინაო დავალებები არ შეუსრულებია. აქ სამი მიზეზიდან ერთ-ერთი უნდა იყოს:

პირველი - დავალება არ შეუსრულებია იმიტომ, რომ სხვა რამით იყო დაკავებული და ამისთვის არ სცხელოდა (დახეტილობდა ძმაკაცებში, ოთახში ჩაკეტილი დაძვრებოდა კომპიუტერში და ღმერთმა უწყის, რას უყურებდა);

მეორე - ღონემიხდილი და სასოწარკვეთილი ლოგინზე გაიშხლართა და ხმაურიანი მუსიკით გაბრუებული თავდავიწყების მორევმა ჩაითრია;

მესამე, ყველაზე ოპტიმისტური ვერსია - ერთი-ორი საათის განმავლობაში მაინც დიდი მონდომებით ცდილობდა ამოცანების გაკეთებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

³⁷ბედოვლათი - უხეირო, უწყსო

ნებისმიერ ვარიანტში, მოსწავლემ საშინაო დავალებების ცარიელი რვეული რაღაც საპატიო მიზეზით უნდა ჩაანაცვლოს, რის გამოც მან დავალება ვერ შეასრულა. ყველაზე რთული ამ სიტუაციაში გულწრფელი, მარტივი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტების მიცემაა: ბატონო, ვერ შევასრულე დავალება, რადგან ღამის დიდი ნაწილი ინტერნეტში, ბოროტების მხედრებთან ბრძოლაში გავატარე და, თუ დამიჯერებთ, მთელ ლაშქარს მუსრი გავავლე, ცოცხალი ერთიც კი ვერ გადამირჩა; ან: ბატონო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დავალება ვერ შევასრულე. არ ვიცი, რა მეტაკა. ისეთი რეტი დამესხა, ისე დავუძლურდი, რომ თითიც ველარ გავანძრიე. ძალა მხოლოდ იმისთვის მეყო, რომ ყურსასმენები გამერჭო და ფლეიერზე ხელი დამეჭირა.

მე ვერ გავაკეთე საშინაო დავალება - ასეთი აღიარების შემდეგ ყველაზე მძიმეა ნამდვილი მიზეზის დასახელება, რომელსაც მაშინვე სადამსჯელო ქმედებები მოჰყვება. ამიტომაც ჩვენი მოსწავლე ნამდვილ მიზეზს უფრო მისაღებ ვერსიას ამჯობინებს. მაგალითად, ასეთს: „ჩემი მშობლები გაცილებული არიან. მე დედასთან ვცხოვრობ. გუშინ მამასთან ვიყავი სტუმრად და სახლში დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ რვეული მამასთან დამრჩენია“, „სწორედ დავალებას ვაკეთებდი, როცა მოულოდნელად გათბობის ქვაბი აგვიფეთქდა“.

სკოლაში მთელი დღის განმავლობაში სიცრუის რომის³⁸ შემდეგ, პირველი კითხვა, რომელსაც შინ დაბრუნებული ჩვენი ცუდი მოსწავლე მოისმენს, აუცილებლად შემდეგი იქნება:

- აბა, კარგად ჩაიარა დღემ?
- უკეთესს ვერც ინატრებ.

ისევ სიცრუე!

6

გაინტერესებთ, მე როგორ გამოვძვერი?... ყველაფერში უნიჭო როდი ვიყავი. როცა მასწავლებელი გავხდი, თავადაც არ გამჭირვებია ჩემს ოროსნებში მსგავსი ნიჭის აღმოჩენა.

შემდეგ გამოჩნდა ის ღვთისწიერი, ჩემი პირველი მხსნელი.

³⁸როშა - უთავბოლო ლაპარაკი.

ფრანგული ენის მასწავლებელი.

მესამე კლასში.³⁹

მან ჩემში დაინახა ის, ვინც სინამდვილეში ვიყავი - უშუალო და ჭკუამხიარული ფანტაზიორი.

ის გაოგნებული იყო ჩემი საოცარი ნიჭით - „გამომეცხო“ ერთიმეორეზე უფრო მახვილგონივრული, დახვეწილი და დამაჯერებელი ტყუილები, რომელთაც ვიგონებდი შეუსრულებელი დავალებებისა და შეუსწავლელი გაკვეთილების გასამართლებლად. მან საერთოდ გამათავისუფლა ყოველდღიური თემების წერისგან და პირდაპირ რომანი შემიკვთა. ეს რომანი სემესტრის მიწურულს მაგიდაზე უნდა დამედო, რაც კვირაში თითო თავის შეთხზვას ნიშნავდა. თემის არჩევაში სრული თავისუფლება მომცა. ერთი თხოვნა წამიყენა მხოლოდ: გამზადებული ნაწილები გრამატიკული შეცდომების გარეშე უნდა ჩამებარებინა.

ეს იყო ძველმოდურ ყაიდაზე გაზრდილი, გასაოცრად ზრდილობიანი მოხუცი მასწავლებელი, რომელმაც ჩემში მთხრობელი აღმოაჩინა. ის მიხვდა, რომ ჩემი მორჯულება და უმეცრების ჭაობიდან ამოთრევა მხოლოდ თხრობას შეეძლო. მეტიც, ეს მას ერთადერთ შანსად მიაჩნდა ჩემში მეცადინეობისა და ცოდნის შეძენის სურვილის გასაღვივებლად. რომანის წერას დიდი ენთუზიაზმით შევუდექი. ყოველი სიტყვის სისწორეს ორთოგრაფიულ ლექსიკონში ვამოწმებდი და ყოველი კვირის ბოლოს თითო თავს ვაბარებდი.

ვეჭვობ, რომ იმ წელს სწავლაში რაიმე არსებითი პროგრესი დამტყობოდა. ეს კია, რომ მასწავლებელმა, პირველად ცხოვრებაში, გარკვეული სტატუსი მომანიჭა. მე ვიღაცის თვალში უკვე ვარსებობდი, როგორც მოსწავლე, როგორც პიროვნება თავისი მომავლით...

მოკლედ, პედაგოგიკის გენიოსი იყო! შესაძლოა, მხოლოდ ჩემს თვალში და ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ მაინც გენიოსი!

³⁹ იგივეა, რაც მე-7 კლასი საქართველოს სკოლებში.

დანარჩენ სამ მსგავს გენიოსს მეორე და მესამე კლასებში შევხვდი ... ვინ იცის, დაწყებითი კლასებიდანვე რომ ესწავლებინათ, თავიდანვე რომ დავდგომოდი მათ მიერ მითითებულ გზას, ჩემს მეხსიერებას ბავშვობის წლებზე განა ბევრად უფრო სასიამოვნო მოგონებები არ შემორჩებოდა?

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 6;
- IV შედეგი, 1,
- V შედეგი, 1, 2, 3;

სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით, განმავითარებელი შეფასებისთვის მასწავლებელი იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. წაიკითხეთ მე-5 ფრაგმენტი. ავტორის თქმით, რა დამახასიათებელი ნიშანი გამოარჩევს ჩამორჩენილ მოსწავლეს?

ცარიელი ზურგჩანთა.

2. დაასახელეთ, დავალების შეუსრულებლობის რომელ შესაძლო მიზეზებზე საუბრობს ავტორი? რომელი მიაჩნია ყველაზე ოპტიმისტურ ვარიანტად და რატომ?

დასახელებულია სამი მიზეზი: სხვა რამით იყო დაკავებული, არაფერი გაუკეთებია (წამოწოლილი იყო და მუსიკას უსმენდა), ვერ შეძლო გაკეთება.

ყველაზე ოპტიმისტურად მიიჩნევს მესამე ვარიანტს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მოსწავლე შეეცადა მაინც დავალების გაკეთებას.

3. ავტორის აზრით, რატომ გაურბის მოსწავლე დავალების შეუსრულებლობის ნამდვილი მიზეზის დასახელებას?

მაშინვე დასჯიან.

4. თქვენი აზრით, პენაკის ცხოვრების რომელ პერიოდს ასახავს ეს ნაწილი - მოსწავლეობას თუ მასწავლებლობას? (პასუხი დაასაბუთეთ).

მასწავლებლობის პერიოდს. დასახელებულია კომპიუტერი, ინტერნეტი, ვიდეოთამაშები, რომლებიც პენაკის ბავშვობაში არ იქნებოდა.

5. წაიკითხეთ მე-6 ფრაგმენტი. პენაკი ბავშვობაში ცუდად სწავლობდა, მაგრამ უნიჭო არ იყო. რაში დაეხმარა მას, როგორც მასწავლებელს, ეს გამოცდილება?

ჩამორჩენილ მოსწავლეებთან ურთიერთობაში. როცა პენაკი მასწავლებელი გახდა, არ უძნელდებოდა ჩამორჩენილ მოსწავლეებში ნიჭის აღმოჩენა.

6. ვინ იყო პენაკის პირველი მხსნელი სკოლაში?

ფრანგულის მასწავლებელი, რომელიც პენაკს მე-3 კლასში ასწავლიდა.

7. რით მოახდინა პენაკმა ძლიერი შთაბეჭდილება ფრანგულის მასწავლებელზე? რა დადებითი თვისება დაინახა მან თავისი მოსწავლის უარყოფით ქმედებებში?

ტყუილების მოგონების ნიჭით. პენაკი ახალ-ახალ საოცარ ტყუილებს იგონებდა იმისათვის, რომ გაემართლებინა დავალების შეუსრულებლობა.

მასწავლებელმა ამ ტყუილების მეშვეობით აღმოაჩინა მოსწავლის ძლიერი მხარე - ძალიან მდიდარი ფანტაზია.

8. როგორ მოახერხა მასწავლებელმა პენაკის ძლიერი მხარის სწავლაში გამოყენება? საიდან ჩანს, რომ მასწავლებელმა სწორი მიდგომა გამოიყენა პენაკის მიმართ?

მასწავლებელმა გაათავისუფლა პენაკი საშინაო დავალებებისგან და რომანის დაწერა შეუკვეთა. ერთადერთი პირობა წაუყენა - რომანი უნდა ყოფილიყო გრამატიკული შეცდომების გარეშე.

პენაკმა დიდი მონდომებით შეასრულა მასწავლებლის დავალება: კვირაში ერთ თავს წერდა და აბარებდა მასწავლებელს, ყველა სიტყვას ლექსიკონში ამოწმებდა, რათა შეცდომები არ დაეშვა.

9. როგორ ახასიათებს ავტორი ფრანგულის მასწავლებელს?

ძველებურად აღზრდილი, საოცრად თავაზიანი მოხუცებული.

10. იპოვეთ მე-6 ფრაგმენტში წინადადება, რომელიც აღნიშნავს გარდატეხას დანიელ პენაკის წარმოდგენებში, მის გადანაცვლებას ადამიანთა ერთი კატეგორიიდან მეორეში?

მე ვიღაცის თვალში უკვე ვარსებობდი, როგორც მოსწავლე, როგორც პიროვნება თავისი მომავლით...

11. რით იყო პენაკისთვის განსაკუთრებული ფრანგულის მასწავლებლის დამოკიდებულება მის მიმართ?

ეს იყო პირველი მასწავლებელი, რომელმაც აღიარა პენაკი, როგორც მოსწავლე; როგორც პიროვნება, რომელსაც ჰქონდა მომავალი (/განვითარების უნარი დაშესაძლებლობა).

12. პენაკი ფრანგულის მასწავლებელზე წერს: „პედაგოგიკის გენიოსი იყო! შესაძლოა, მხოლოდ ჩემს თვალში და ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ მაინც გენიოსი!“.

რატომ უწოდებს პენაკი ფრანგულის მასწავლებელს გენიოსს? რაზე მიგვანიშნებს, როდესაც ამბობს, რომ შესაძლებელია, მასწავლებელი გენიოსი იყო მხოლოდ მისთვის და მხოლოდ ერთ შემთხვევაში?

შესაძლო ვარიანტი: პენაკი მასწავლებელს პედაგოგიკის გენიოსს უწოდებს იმიტომ, რომ მან შეძლო მოსწავლის სუსტ მხარეში (ტყუილებში) ძლიერი მხარის (მდიდარი ფანტაზიის, თხრობის უნარის) აღმოჩენა და სწავლაში გამოყენება - პენაკის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, რომანის დაწერა დაავალა მას და გაათავისუფლა დავალებების კეთებისგან, რაც მისთვის რუტინული და უინტერესო სამუშაო იყო; მისცა თავისუფლება იმაშიც, რომ პენაკს თვითონ შეერჩია თემა რომანისთვის.

ეს იყო სამუშაო, რომელიც სრულად შეესატყვისებოდა პენაკის ინტერესებს, უნარებსა და ინდივიდუალურ მახასიათებლებს; იმავდროულად, აღიარებდა მას, როგორც პიროვნებას, როგორც მოსწავლეს, სწავლის პროცესის აქტიურ მონაწილეს. ამან საოცრად აამაღლა მოსწავლის მოტივაცია - პენაკი, რომელიც დავალებებს არასდროს აკეთებდა, კვირაში ერთ თავს წერდა და ზრუნავდა იმაზეც, რომ შეესრულებინა მასწავლებლის მიერ წაყენებული ერთადერთი პირობა - არ დაეშვა გრამატიკული შეცდომები. ამისთვის პენაკმა დამოუკიდებლად შეასრულა სერიოზული სამუშაო (მუშაობა ლექსიკონებზე).

მეორე წინადადებით პენაკი მიგვანიშნებს, რომ შესაძლებელია, მასწავლებელმა ყველა შემთხვევაშიან ყველა მოსწავლესთან ვერ გამოძებნოს სწორი მიდგომა.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 6;
- IV შედეგი, 1,
- V შედეგი, 1, 2, 3;

ხშირად ერთი მასწავლებელიც კი საკმარისია, რომ საკუთარი თავისგანაც გვიხსნას⁴⁰ და ვაიმასწავლებლებისგანაც. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი მოგონება შემომრჩა ბატონ ბალიზე.

ის მათემატიკას გვასწავლიდა პირველ კლასში... შესვლას ვერავინ დაასწრებდა. მიუჯდებოდა საკუთარ მაგიდას და მოთმინებით გველოდა. პირველი სიტყვებიდანვე მათემატიკის სამყაროში ამოგვაყოფინებდა თავს. და მაინც, რისგან შედგებოდა ეს ერთსაათიანი გაკვეთილი, რომელიც ასე გვითრევდა და ყველაფერს გვავიწყებდა? თვით იმ საგნისგან, რომელსაც ბატონი ბალი გვასწავლიდა და რომლითაც მთელი მისი არსება იყო მოცული. ეს მას საოცრად ხალისიანს, მშვიდს, გულისხმიერსა⁴¹ და დაუჯერებლად კეთილს ხდიდა. ცოდნით შობილი ეს უცნაური სიკეთე ბუნებრივად ბადებდა მასში სურვილს, გაეზიარებინა ჩვენთვის ცოდნა. ამ ადამიანისთვის, ალბათ, წარმოუდგენელი იყო, რომ მისი საგანი უსიამოვნო, უცხო და გაუგებარი ყოფილიყო ჩვენთვის... აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ვინმეს მისთვის გაკვეთილის არევა გაეელო გულში. არც ჩვენ გვიფიქრია ოდესმე მისი აბუჩად აგდება ან გამასხარავება. ცოდნის გადაცემით მინიჭებული ბედნიერება, სახეზე რომ აღბეჭდვოდა, ჩვენ ამის უფლებას არასდროს მოგვცემდა...

პირველი შეხვედრის დროს რამდენიმე უმარტივესი შეკითხვა დაგვისვა. ჩვენს ელემენტარულ პასუხებზე გაგიჟდა და გადაირია, ლამის გენიოსებად მოგვიხსენია. თვითნაბადი ოქროები ხართო, იძახა. ჩვენც, იცოცხლე, მაგრად ვიხალისეთ. ბოლოს დაფასთან მივიდა, ციფრი 12 მიაწერა და გვკითხა, ეს რა არისო.

ყველაზე თავხედებმა, რასაკვირველია, სიტუაციიდან თავის დაძვრენა ანგლობით სცადეს.

- 12 თითი ხელებზე.
- 12 მცნება.

⁴⁰გვიხსნას - გადაგვარჩინოს, გაგვათავისუფლოს.

⁴¹გულისხმიერი - ყურადღებიანი, თანამგრძობი.

ბალის მიამიტმა⁴² ღიმილმა ბოლო მოგვიღო.

- ეს თქვენი მინიმალური შეფასებაა გამოსაშვებ გამოცდაზე.⁴³ მცირეოდენი პაუზის შემდეგ კი დასძინა:
- რა თქმა უნდა, თუ შიშისგან გათავისუფლდებით.

და კიდევ დაამატა:

- მგონი, საკმარისია ამის შესახებ საუბარი იმიტომ, რომ ჩვენ აქ გამოსაშვები გამოცდებით კი არა, მათემატიკით უნდა დავკავდეთ.

თქვა და შეასრულა. ბალი გამოსაშვები გამოცდების თემას არასდროს მიბრუნებია. მთელი წელი, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენ ამოთრევას ცდილობდა უმეცრების ჭაობიდან. თუ რამე იცოდი, აუცილებლად დაგიფასებდა, ქებით მეცხრე ცაზე აგიყვანდა.

- თქვენ გგონიათ, რომ არაფერი იცით, მაგრამ, დამიჯერეთ, ცდებით. თქვენ უამრავი რამ იცით, უამრავი. აი მაგალითად, აზრად მოგივიდოდათ, რომ ეს იცოდით?

მართალია, ბალის მათემატიკამ ჩვენგან გენიოსები ვერ გამოიყვანა, მაგრამ ის კი მოახერხა, რომ ეროვნულ გამოცდაზე ყველანი გამსვლელ ქულებამდე ავექაჩეთ. დაბოლოს, ყველაზე მთავარი: ბატონ ბალის სიტყვა არ დასცდენია იმ უბადრუკ მომავალზე, რომელიც, ბევრი მასწავლებლის ღრმა რწმენით, წინ გველოდა.

რას წარმოადგენდნენ ჩემი მოსწავლეები? როგორები იყვნენ? ზოგიერთები - ზუსტად ისეთები, როგორიც მე თავად ვიყავი მათ ასაკში. კერძო სასწავლებლები პირდაპირ გატენილია მსგავსი მოსწავლეებით. ეს გოგო-ბიჭები პრესტიჟული და ფრიად

⁴²მიამიტი - გულუბრყვილო, ბავშვური.

⁴³საფრანგეთის სკოლებში მოსწავლეთათვის უმაღლესი შეფასებაა 20 ქულა. გამსვლელად ითვლება 10-ზე მეტი ქულა.

დაფასებული ლიცეუმიდან გამობუნძულების⁴⁴ შემდეგ პირდაპირ ჩვენს სასწავლებელში ამოყოფდნენ თავს. ბევრი მათგანი ერთსა და იმავე კლასში წლების განმავლობაში „ხეხავდა“ მერხს. ვერ ვიტყვი, რომ ასეთები საკუთარ თავზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა იყვნენ. სხვები, უბრალოდ, თავს ზედმეტებად, სისტემიდან გარიყულებად თვლიდნენ. ზოგს საერთოდ ჰქონდა დავიწყებული, რას ნიშნავს მეცადინეობა - ელემენტარულ ძალისხმევაზე თავბრუ ეხვეოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა დროის განაწილებაზე და საკუთარი თავის იძულებაზე. ასეთებს ყველაფერი თავის ნებაზე ჰქონდათ მიშვებული, ცხოვრობდნენ ისე, როგორც ეცხოვრებოდათ.

ჩემთვის ვინმეს ჩვენი გაკვეთილების დახასიათება რომ ეთხოვა, ვეტყოდი, რომ ამ დროს მე და ჩემი ეგრეთ წოდებული ოროსნები გააფთრებული ვებრძოდით იმ ჯადოს, რომელიც მომავლის გზას გვიკეტავდა... გრამატიკაში უარყოფითი შეფასების დაძლევა ჩვენთვის ჯადოს მოხსნის ტოლფასი იყო - დაამარცხო ბედისწერა, დაეხსნა მოჯადოებულ წრეს, გამოიღვიძო, ცალი ფეხი მაინც შედგა რეალობაში, დაიწყო გაგება და გააზრება.

აუცილებლად უნდა დადგეს ის დღე, როცა ჩვენ ყველანი გავიღვიძებთ. დღე, საათი, როცა თვალი აგვეხილება. არავინ დაბადებულა მარადიული უმეცრებისთვის, არავინაა განწირული მუდმივი სიმტერისთვის! მართლა და მართლა, ჩვენ არც ზღაპარში ვცხოვრობთ და არც ჯადოთი ვართ შეკრული.

იქნებ პედაგოგობის არსიც ამაში მდგომარეობს? - ჯადო მოხსნა ისე, რომ ყოველი გაკვეთილი გამოღვიძების სიგნალად გადაიქცეს.

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. წაიკითხეთ მე-7 ფრაგმენტი. ავტორის თქმით, როგორი იყო მათემატიკის მასწავლებელი ბატონი ბალი?

მომთმენი, საოცრად ხალისიანი, მშვიდი, გულისხმიერი და დაუჯერებლად კეთილი.

2. რა დამოკიდებულება ჰქონდათ ბალის მოსწავლეებს მათემატიკის გაკვეთილის მიმართ?

⁴⁴გამობუნძულება - გაგდება

ყველას იტაცებდა ბალის გაკვეთილები: ამ დროს მათემატიკის გარდა, არაფერზე ფიქრობდნენ / მთლიანად მათემატიკით იყვნენ დაკავებული.

3. რა ხერხს მიმართავდა ბატონი ბალი მოსწავლეების გასამხნეებლად? თქვენი აზრით, რატომ იყო ეს მნიშვნელოვანი?

აქებდა ელემენტარული პასუხების გაცემის დროსაც. არწმუნებდა, რომ მათ ბევრი იციან.

შესაძლო ვარიანტი პირადი პოზიციის გამოხატვისას: ამით მოსწავლეებს საკუთარი ძალების რწმენა (/თვითრწმენა) ემატებოდათ, რაც მათ გაუადვილებდა სირთულეების დაძლევას.

4. ბალის თქმით, რა იყო აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ მოსწავლეებს წარმატებით ჩაებარებინათ გამოსაშვები გამოცდა? როგორ უნდა გავიგოთ ბალის სიტყვები?

აუცილებელი იყო შიშისგან გათავისუფლება. აქ იგულისხმება საკუთარი უუნარობის შიში (მე ამას ვერ შევძლებ, მე ეს არ ვიცი, მე ამას ვერასდროს ვისწავლი)

5. მოიყვანეთ წინადადება, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ბატონ ბალის სწავლებისას არასდროს შეუწყვეტია ზრუნვა მოსწავლეების განვითარებაზე.

მთელი წელი, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენ ამოთრევას ცდილობდა უმეცრების ჭაობიდან.

6. წაიკითხეთ მე-8 ფრაგმენტი. როდის გადადიოდნენ მოსწავლეები პენაკის სასწავლებელში?

პრესტიჟული ლიცეუმებიდან გარიცხვის, ერთსა და იმავე კლასში ჩარჩენის შემდეგ.

7. როგორ ახასიათებს პენაკი თავის მოსწავლეებს?

საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ ჰქონდათ; თავს ზედმეტებად გრძნობდნენ; არ იცოდნენ, როგორ უნდა იმეცადინო; ვერ ანაწილებდნენ დროს, არ ჰყოფნიდათ ნებისყოფა (ელემენტარულ ძალისხმევაზე თავბრუ ეხვეოდათ, წარმოდგენა არ ჰქონდათ საკუთარი თავის იმულებაზე), არ ჰქონდათ არაფრის ძალა - ცხოვრობდნენ თავის ნებაზე მიშვებული ცხოვრებით.

8. პენაკი წერს, რომ მისი ბევრი მოსწავლე ერთსა და იმავე კლასში წლების განმავლობაში „ხეხავდა“ მერხს. როგორ უნდა გავიგოთ ეს წინადადება?

რამდენიმე წლის განმავლობაში ერთსა და იმავე კლასში ჩარჩნენ/ვერ გადავიდნენ მომდევნო კლასში.

შენიშვნა: საჭიროა სტუდენტთა ყურადღების გამახვილება აქ გამოყენებული ბრჭყალების ფუნქციაზე (აღნიშნავს, რომ სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი).

9. პენაკი თავის გაკვეთილებს გააფთრებულ ბრძოლას ადარებს. ვინ იყვნენ და რისთვის იბრძოდნენ ამ ბრძოლის მონაწილეები?

ბრძოლის მონაწილეები იყვნენ პენაკი და მისი ჩამორჩენილი მოსწავლეები. ისინი იბრძოდნენ, რათა მოსწავლეებს გასჩენოდათ მომავალი / მომავლის პერსპექტივა.

10. თქვენი აზრით, რატომ იყენებს პენაკი გაკვეთილების აღწერისას მრავლობითი რიცხვის ფორმებს: „ვებრძოდით“, „გვიკეტავდა“, „ჩვენთვის“?

ამით ხაზს უსვამს, რომ მოსწავლესა და მასწავლებელს საერთო მიზნები აქვთ; მათ მისაღწევად მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთად უნდა იმუშაონ, ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე მიზანს ვერ მიაღწევენ.

11. ავტორი წერს, რომ აუცილებელია გამოღვიძება. თქვენი აზრით, რის ხაზგასმა სურს პენაკს ამ სიტყვით?

შესაძლო ვარიანტი: „გამოღვიძება“ აქ პირდაპირი მნიშვნელობით არ გამოიყენება. ამ სიტყვით ავტორი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია გააქტიურება (უმოქმედობაზე, ნებაზე მიშვებულ ცხოვრებაზე უარის თქმა), რეალობის ფხიზლად შეფასება, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რათა დრო ტყუილად არ დაიკარგოს.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 6;
- IV შედეგი, 1,
- V შედეგი, 1, 2, 3;

სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით, განმავითარებელი შეფასებისთვის მასწავლებელი იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

კითხვის შემდეგ (მესამე ფაზა)

12. ტექსტიდან ჩანს, რომ არსებობს ორგვარი წარმოდგენა ჩამორჩენილ მოსწავლეებზე. დააჯგუფეთ პერსონაჟები მათი წარმოდგენების მიხედვით (ჩაწერეთ მეორე სვეტში პერსონაჟთა აღმნიშვნელი ასოები)

წარმოდგენები	პერსონაჟები
წარმოდგენა 1: ჩამორჩენილ მოსწავლეებს არ აქვთ სწავლის უნარები, არ შეუძლიათ გონებრივად ზრდა-განვითარება და ცოდნის შეძენა. ამის გამო მათ არ ექნებათ ღირსეული მომავალი.	ბ
წარმოდგენა 2: ნებისმიერ ჩამორჩენილ მოსწავლეს შეუძლია სწავლა, გონებრივი ზრდა-განვითარება და ცოდნის შეძენა. მათ შეუძლიათ, შეიქმნან ღირსეული მომავალი.	ა, ბ, დ, ე

ა) მოსწავლე პენაკი, რომელიც ამბობს: „მამაზეციერი ვერ დამარწმუნებდა, რომ საერთოდ რამე მომავალი მექნებოდა“.

ბ) ზრდასრული პენაკი - მასწავლებელი და მწერალი - რომელიც ამბობს: „არავინ დაბადებულა მარადიული უმეცრებისთვის, არავინაა განწირული მუდმივი სიშტერისთვის!“

გ) სკოლის დირექტორი, რომელიც ამბობს: „ ატესტატი? თქვენ? არც იფიქროთ... თქვენ მას ვერასდროს მიიღებთ, გესმით თუ არა ჩემი: ვე-რას-დროს!“

დ) მასწავლებლები, რომლებმაც „იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს.. კიდეც და კიდეც... და ბოლოს, იმდენი ქნეს, რომ ნაპირზე გამომიყვანეს...“

ე) მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც „მთელი წელი, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვენ ამოთრევას ცდილობდა უმეცრების ჭაობიდან“.

ვ) მასწავლებელი პენაკი, რომელსაც არ უჭირდა „ოროსნებში მსგავსი ნიჭის აღმოჩენა“.

ზ) ფრანგულის მასწავლებელი, რომელმაც მოსწავლე პენაკის ძლიერი მხარეები დაინახა და გამოიყენა.

13. ტექსტის საფუძველზე, რომელი დებულებაა მართებული?

ა) დანიელ პენაკს არ ჰქონდა სწავლისათვის საჭირო უნარები და შესაძლებლობები;

ბ) დანიელს პენაკს ჰქონდა სწავლისათვის საჭირო უნარები და შესაძლებლობები, მაგრამ ვერ ავლენდა მათ.

14. თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს წარმოდგენები ადამიანის განვითარების პროცესში: შეიძლება თუ არა, განვითარდეს მოსწავლე, რომელსაც მიაჩნია, რომ ამის უნარები არა აქვს? შეიძლება თუ არა, მოსწავლე განავითაროს მასწავლებელმა, რომელსაც მიაჩნია, რომ მოსწავლეს ამის უნარები არა აქვს?

(დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება ტექსტიდან მაგალითების მოხმობით)

15. ისაუბრეთ, პირადად თქვენ რა წარმოდგენა გაქვთ „წყალწაღებულ მოსწავლეებზე“? რამ მოახდინა გავლენა თქვენი წარმოდგენის ჩამოყალიბებაზე? (სურვილის შემთხვევაში, თქვენი ფიქრები ზეპირად ან წერილობით გაუზიარეთ ჯგუფელებს, მასწავლებელს)

16. ავტორი ახსენებს ორი ტიპის მასწავლებელს. ერთ მათგანს უწოდებს „ვაიმასწავლებელს“, მეორეს - „მხსნელ მასწავლებელს“. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები და გაანაწილეთ ისინი შესაბამის სვეტებში.

„მხსნელი მასწავლებელი“	„ვაიმასწავლებელი“
ა, ბ, დ, ვ, თ, ლ, მ	გ, ე, ზ, კ.

- ა) განსჯის მოსწავლის უნარებს და შესაძლებლობებს;
- ბ) ფიქრობს, რომ მოსწავლის უნარები დათრგუნულია და მათ გამოსავლენად მოსწავლეს მხარდაჭერა სჭირდება;
- გ) გაუთავებლად ასწავლის მოსწავლეს ჭკუას და აძლევს დარიგებებს;
- დ) აძლიერებს მოსწავლის თვითრწმენას;
- ე) არყევს მოსწავლის თვითრწმენას, უკარგავს წინსვლის იმედს;
- ვ) ავლენს დიდი მოთმინების უნარს;

- ზ) მალე კარგავს მოთმინებას;
- თ) სწავლა-სწავლებას იმ დონიდან იწყებს, რომელზედაც დგას მოსწავლე;
- ი) ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის სუსტ მხარეებზე და იმაზე, თუ რა არ შეუძლია მას;
- კ) მისდევს მხოლოდ პროგრამის მოთხოვნებს;
- ლ) ითვალისწინებს მოსწავლის მოთხოვნებს; ეფუძნება იმას, რაც მოსწავლეს ეხერხება.
- მ) თავდადებით იბრძვის მოსწავლის დასაინტერესებლად, ასამოქმედებლად;

17. მე-7 ფრაგმენტის დასაწყისში ვკითხულობთ: „ხშირად ერთი მასწავლებელიც კი საკმარისია, რომ საკუთარი თავისგანაც გვიხსნას და ვაიმასწავლებლებისგანაც“. თქვენი აზრით, რას შეიძლება გულისხმობდეს საკუთარი თავისგან ხსნა, გადარჩენა?

შესაძლო ვარიანტები: საკუთარი სუსტი მხარეებისგან გათავისუფლებას, ბრძოლას საკუთარ სისუსტეებთან; გათავისუფლება იმ წარმოდგენებისაგან, რომელიც გვაქვს საკუთარ უუნარობაზე (მე არაფერი ვიცი, ეს არ შემიძლია, მომავალი არ მაქვს); მასწავლებლის გათავისუფლება იმ წარმოდგენისგან, რომელიც მას აქვს მოსწავლის უუნარობაზე (ის ამას ვერასდროს შეძლებს).

18. რა ნიშნავს ავტორისთვის პედაგოგობა? იზიარებთ თუ არა ავტორის თვალსაზრისს? (პასუხი დაასაბუთეთ)

ბრძოლას ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეთა გადასარჩენად, გამოსადვიებლად.

პოზიციის გამოხატვისას მისაღებია ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

19. მიუთითეთ, რა ჟანრისაა დანიელ პენაკის ნაწარმოები.

- ა) ისტორიული;
- ბ) სატირული;
- გ) ფენტეზი;

დ) ავტობიოგრაფიული.

20. წაკითხულ ტექსტსა და თქვენს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით ისაუბრეთ, რა მსგავსება-განსხვავებაა საფრანგეთისა და საქართველოს სკოლებს შორის.

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მისაღებია ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.

21. დაფიქრდით თქვენს ძლიერ მხარეებზე და იმაზე, სრულად იყენებთ თუ არა მათ სწავლის დროს. მოიფიქრეთ დავალება, რომელიც მოერგება თქვენს ძლიერ მხარეებს და ინტერესით შეასრულებთ.

მისაღებია ნებისმიერი პასუხი, რომელიც იქნება სათანადოდ ახსნილი.

შენიშვნა: პასუხების გაცემისას გამოთქმული იდეების/მოსაზრებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს და სტუდენტებს შესთავაზოს დავალებები/აქტივობები თუ პროექტები, რომლებიც აამაღლებს მათ მოტივაციას - შეესატყვისება სტუდენტების ინტერესებს და წარმოჩენს მათ ძლიერ მხარეებს.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 3, 4, 5, 6;
- IV შედეგი, 1, 3
- V შედეგი, 1, 2, 3; 6

სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით, განმავითარებელი შეფასებისთვის მასწავლებელი იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

იდეები დავალებებისთვის

წერითი დავალებები

1. დავალება, რომელსაც ინტერესით შევასრულებ.

მითითებები:

- ✓ დაასახელეთ თქვენთვის საინტერესო/სასურველი კონკრეტული დავალება ან საქმიანობა;
- ✓ წარმოაჩინეთ კავშირი საკუთარ ძლიერ მხარეებს, ინტერესებსა და შერჩეულ დავალებას შორის;
- ✓ მიუთითეთ, რა დადებითი შედეგი მოჰყვებოდა თქვენთვის ამ დავალების/დავალებების შესრულებას (მაგ., სწავლის შედეგების გაუმჯობესება, სწავლის მოტივაციის ამაღლება).

2. მე რომ მასწავლებელი ვიყო

მითითებები:

- ✓ ისაუბრეთ, როგორ გაკვეთილებს ჩაატარებდით, როგორი დამოკიდებულება გექნებოდათ მოსწავლეების მიმართ;
- ✓ აღწერეთ, როგორი იქნებოდა თქვენი მიდგომა ე.წ. ჩამორჩენილი მოსწავლეების მიმართ, როგორ და რით ეცდებოდით მათ დაინტერესებას, გააქტიურებას, სასწავლო პროცესში ჩართვას.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:


- V შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6.
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6.

სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით, განმავითარებელი შეფასებისთვის მასწავლებელი იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

წერთი ნამუშევრისთვის გადავაზოთ თვითშეფასების სქემის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს.

	მე	მასწავლებლის კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
დავიცავი პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მითითებები)	კი - ნაწილობრივ - არა	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
გასაგებად და თანამიმდევრულად ჩამოვყალიბებ სათქმელი	უმეტესწილად, ნაწილობრივად, ნაწერის გაგება ჭირს	
ვასაბუთებ ნათქვამს ფაქტებით/მაგალითებით	კი - არა	
ენობრივი უნარ-ჩვევები		

თავი ავარიდე ტავტოლოგიებს	კი-არა	
წინადადებები სინტაქსურად გამართულია	უმეტესწილად, ნაწილობრივად	
ვიცავ მართლწერისა და პუნქტუაციის წესები	კი - არა	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
მოყვანილი მოსაზრებები საინტერესოა; ვიყენებ საინტერესო მხატვრულ ხერხებს;	კი - არა	
<p>უნდა გავაუმჯობესო:</p> <p>შემჩნეული შეცდომები:</p> <p>მასწავლებლის რჩევები ნაწერის გასაუმჯობესებლად:</p>		



საკითხავი მასალა 3

სტივენ ჯობსის გამოსვლა სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წინაშე

სტივენ ჯობსი (1955-2011 წწ.) - ამერიკელი მეწარმე, რომელიც საქმიანობდა ციფრული ტექნოლოგიების სფეროში, გიგანტი კომპანიების: Apple, NeXT, Pixar თანადამფუძნებელი. ამ კომპანიების მიერაა შექმნილი პერსონალური კომპიუტერები, აიფონები, აიპედები და სხვ. ამის გამო ჯობსს „ციფრული რევოლუციის მამას“ უწოდებენ. მას მიღებული აქვს მრავალი პრესტიჟული ჯილდო ტექნოლოგიების სფეროს განვითარებისთვის.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში სტივ ჯობსმა და მისმა მეგობარმა, სტივ ვოზნიაკმა შექმნეს ერთ-ერთი პირველი პერსონალური კომპიუტერი; სტივ ჯობსმა აღმოაჩინა გრაფიკული ინტერფეისის განვითარების გზები, რის შედეგადაც შექმნა კომპიუტერი „მაკინტოში“, იგივე „მაკი“ (Macintosh, Mac).

უღარიბეს ოჯახში გაზრდილი სტივ ჯობსი, რომელსაც უმაღლესი განათლება არ ჰქონია მიღებული, გიგანტურ კომპანიებს ხელმძღვანელობდა და გარდაცვალების დროს პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლებოდა.

სტივ ჯობსი პოპულარული და ფართო საზოგადოების ცნობილი პირი იყო. მისი ტრადიციული სამოსი - შავი სვიტერი, გახეხილი ჯინსები და ბოტასები - ადვილად ამოსაცნობი იყო ყველასთვის. ჯობსი აღიარებულია, როგორც ბრწყინვალე ორატორი. მისი საჯარო გამოსვლები დაუვიწყარი იყო მსმენელებისთვის.

2005 წელს სტივენ ჯობსი მიწვეული იყო სტენფორდის - ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ძვირადღირებული უნივერსიტეტის - კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიებაზე. სტივ ჯობსმა კურსდამთავრებულებს მიმართა სიტყვით, რომელიც თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭქდავ საჯარო გამოსვლადაა მიჩნეული.

როგორ უნდა იმოქმედო, თუკი სწავლა ვერ გეხმარება მომავალი ცხოვრების დაგეგმვაში, საქმიანობის არჩევაში? ამ კითხვაზე პასუხი სტივენ ჯობსს აქვს.

სტივენ ჯობსის სიტყვა სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიმართ

ჩემთვის პატივია ვიყო თქვენ შორის, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის გამოსაშვებ ღონისძიებაზე. მე კოლეჯი არ დამიმთავრებია და, სიმართლე გითხრათ, ესაა ყველაზე ახლო ურთიერთობა, რომელიც კი მქონია გამოსაშვებ ღონისძიებებთან.

მე მსურს მოგიყვებ სამი ისტორია ჩემი ცხოვრებიდან. მხოლოდ სამი ისტორია, მეტი არაფერი.

პირველი ისტორია - წერტილების შეერთების შესახებ

რიდ კოლეჯში სწავლა ჩარიცხვიდან სამი თვის შემდეგ მივატოვე, თუმცა კიდევ 18 თვის განმავლობაში ვაგრძელებდი ლექციებზე სიარულს და სტუდენტულ ცხოვრებას - მანამდე, სანამ საერთოდ არ მივანებე თავი ამ საქმეს. მაინც, რატომ მივატოვე სწავლა? ...

გულუბრყვილობის გამო ძალიან ძვირადღირებული კოლეჯი ავირჩიე - თითქმის ისეთივე ძვირი, როგორცაა სტენფორდი. ამგვარად, მთელი დანაზოგი ჩემი მშობლებისა, რომლებიც მშრომელთა კლასს მიეკუთვნებოდნენ, კოლეჯში სწავლას ხმარდებოდა. 6 თვის შემდეგ მივხვდი, რომ ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა: წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ რის კეთება მსურდა ცხოვრებაში, არც იმაზე, თუ რანაირად დამეხმარებოდა კოლეჯი ამის გაგებაში. თანაც ვხარჯავდი მთელ ფულს, რომელიც ჩემმა მშობლებმა მოაგროვეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამიტომ გადავწყვიტე, მიმეტოვებინა სწავლა და მჯეროდა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა.

მაშინ ამის გამო აფორიაქებული ვიყავი, მაგრამ ახლა, როცა უკან ვიხედები, მესმის, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება ჩემს ცხოვრებაში. მე გამრიცხეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მე აღარ მჭირდებოდა სიარული სავალდებულო კურსებზე და შემდეგ მეველო მხოლოდ იმაზე, რაც საინტერესოდ მეჩვენებოდა.

ცხადია, ყველაფერი ასე რომანტიკულად არ იყო. საერთო საცხოვრებელში ოთახი აღარ მქონდა და ღამის გათენება ჩემი მეგობრების ოთახებში, იატაკზე მიწევდა. ვაბარებდი კოკა-კოლას ბოთლებს, ერთ ცალს 5 ცენტად, რომ საჭმელი მეყიდა. ყოველი კვირადღის საღამოს ფეხით გავდიოდი 7 მილს⁴⁵ მთელი ქალაქის გავლით, რათა კვირაში ერთხელ მაინც მეჭამა კარგად კრიშნაიტების⁴⁶ ტაძარში. მომწონდა ის საჭმელი.

იმდროინდელი აღმოჩენებიდან, რომლებიც ჩემი ცნობისმოყვარეობისა და ინტუიციის წყალობით გავაკეთე, მრავალი ფასდაუდებელი აღმოჩნდა შემდგომში. მოვიყვან ერთ მაგალითს. იმ დროს რიდ-კოლეჯი იძლეოდა ქვეყანაში საუკეთესო განათლებას კალიგრაფიის სფეროში... მე გამრიცხეს, ჩვეულებრივ მეცადინეობებზე სიარული აღარ მჭირდებოდა და კალიგრაფიის შესწავლა გადავწყვიტე. გავიგე ბევრი რამ ფონტებზე, მანძილის ცვლილებებზე ასოთა სხვადასხვა კომბინაციას შორის ... - მე ეს მხიბლავდა.

მაშინ მეგონა, რომ ამ ყველაფერს პრაქტიკაში გამოყენების არავითარი შანსი არ ექნებოდა, მაგრამ 10 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენ მაკინტოშის (Macintosh) პირველ კომპიუტერზე ვმუშაობდით, ეს ყველაფერი უკან დამიბრუნდა. და ჩვენ ეს ყველაფერი Mac-ში გამოვიყენეთ. მაკინტოში იყო პირველი კომპიუტერი, რომელსაც ჰქონდა მშვენიერი ტიპოგრაფია. მე რომ არ მეველო კოლეჯის ამ ერთადერთ კურსზე, „მაკს“ არასდროს ექნებოდა ასეთი ფონტები; ხოლო რადგანაც „ვინდოუსი“ (Windows) მაკინტოშის უბრალო ასლს წარმოადგენს, ეს ყველაფერი არ ექნებოდა არცერთ კომპიუტერს მსოფლიოში. ამდენად, კოლეჯი რომ არ მიმეტოვებინა და კალიგრაფიის კურსებზე არ წავსულიყავი, თანამედროვე კომპიუტერებს, ალბათ, არ ექნებოდათ ის შესანიშნავი ფონტები, რომლებიც დღეს აქვთ.

რა თქმა უნდა, კოლეჯში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მომავალში ყველა წერტილი შეერთებოდა, მაგრამ 10 წლის შემდეგ, უკან მოხედვისას, ეს უკვე ძალიან, ძალიან ცხადი იყო. მართლაც, შეუძლებელია წერტილების შეერთება მაშინ, როდესაც

⁴⁵ 11 კილომეტრზე ცოტა მეტი.

⁴⁶ კრიშნაიტები - ინდოეთის ერთი-ერთი რელიგიური მიმდინარეობის, კრიშნაიზმის, მიმდევრები.

მომავლისკენ იყურები - მათი შეერთება მხოლოდ წარსულისკენ მოხედვისას არის შესაძლებელი. ამგვარად, უნდა გჯეროდეთ, რომ თქვენს მომავალში წერტილები რაღაცნაირად შეერთდება. უნდა გჯეროდეთ რაღაცის: ღმერთის, ზედისწერის, სიცოცხლის, კარმის - რომელიც გენებოთ. ამ მიდგომას არასოდეს უღალატია ჩემთვის, ამ მიდგომამ მრავალფეროვანი გახადა ჩემი ცხოვრება.

ჩემი მეორე ისტორია სიყვარულსა და დანაკლისზე

მე გამიმართლა. ადრე ვიპოვე ჩემი საყვარელი საქმე. 20 წლის ვიყავი, როდესაც მე და „ვოზმა“ (სტივენ ვოზნიაკმა) ჩემი მშობლების გარაჟში „ეფლი“ (“Apple”) დავაარსეთ. ბევრს ვმუშაობდით და 10 წლის განმავლობაში ჩვენი „საგარაჟე საწარმო“ გადაიქცა 2 მილიარდი დოლარის ღირებულების კომპანიად, სადაც მუშაობდა 4 ათასზე მეტი ადამიანი. ერთი წლით ადრე კი, როდესაც 30 წლის გავხდი, შევქმენით ჩვენი საუკეთესო ქმნილება - მაკინტოში. სწორედ ამ დროს გამიშვეს სამსახურიდან.

კი მაგრამ, როგორ შეიძლება გაგიშვან იმ კომპანიიდან, რომელიც შენ თვითონ დააარსე? ეს ასე იყო: რადგანაც „ეფლი“ გაიზარდა, სამუშაოდ ავიყვანეთ ერთი ადამიანი. ჩემი აზრით, ის საკმაოდ ნიჭიერი იყო იმისთვის, რომ ერთად გვემართა კომპანია. პირველ წელს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ თანდათანობით მომავლის ჩემი და მისეული ხედვა ერთმანეთს დასცილდა და ერთხელაც საბოლოოდ ვიჩხუბეთ. დირექტორთა საბჭომ მისი მხარე დაიჭირა, ასე რომ 30 წლის ასაკში მე დიდი ხმაურით გამათავისუფლეს. გაქრა ის ყველაფერი, რასაც შევწირე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება. სიცარიელეს ვგრძნობდი. რამდენიმე თვე საერთოდ არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა...

თანდათანობით გონს მოვეგე. ვგრძნობდი, რომ კვლავინდებურად მიყვარს ჩემი საქმე. იმან, რაც „ეფლიდან“ მომივიდა, არაფერი შეცვალა ჩემში. მე უარმყვეს, მაგრამ კვლავინდებურად ვგრძნობდი სიყვარულს. და მე გადავწყვიტე, თავიდან დამეწყო ყველაფერი.

იმ წუთას, ცხადია, არ მესმოდა, რომ „ეფლიდან“ ჩემი გათავისუფლება იყო ყველაზე კარგი რამ, რაც შეიძლება მომსვლოდა. წარმატების მიმღე ტვირთი სიმსუბუქის განცდამ შეცვალა: მე ისევ ახალბედა ვიყავი, ხოლო იმის გამო, რაც მოხდა - ნაკლებად თავდაჯერებულად. ამ განცდით დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე შემოქმედებითი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში...

დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, მე რომ „ეფლიდან“ არ გავეთავისუფლებინე. წამალი საზიზღარი გემოსი გამოდგა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის საჭირო იყო პაციენტისთვის. ზოგჯერ ცხოვრება თავში აგურს ჩაგარტყამთ, მაგრამ რწმენა არ უნდა დაკარგოთ. მჯერა, რომ ერთადერთი, რის წყალობითაც ვაგრძელებდი წინსვლას, იყო ჩემი საქმის სიყვარული.

უნდა იპოვოთ ის, რაც გიყვართ - ეს სიმართლეა როგორც სამუშაოსთვის, ისე პირადი ცხოვრებისთვის. სამუშაო დიდ ადგილს დაიკავებს თქვენს ცხოვრებაში, ამიტომაც ერთადერთი გზა, რომ ცხოვრებით მართლაც კმაყოფილი იყოთ, არის ის, რომ აკეთოთ საქმე, რომელიც ღირებულად მიგაჩნიათ. ღირებული საქმის კეთების ერთადერთი ხერხი კი ისაა, რომ გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ.

თუ ჯერ არ მიგიჩნიათ იმისთვის, რაც გიყვართ, გააგრძელეთ ძებნა, ნუ დაიმშვიდებთ თავს...

კითხვები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის

1. წაიკითხეთ პირველი ისტორია. როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები: „ესაა ყველაზე ახლო ურთიერთობა, რომელიც კი მქონია გამოსაშვებ ღონისძიებებთან“?

ჯობსი პირველად ესწრება გამოსაშვებ ღონისძიებას.

2. ჯობსის თქმით, რა იყო კოლეჯის მიტოვების მიზეზები?

ასახელებს სამ მიზეზს: 1. არ იცოდა, რის კეთება სურდა ცხოვრებაში, 2. დარწმუნებული არ იყო, რომ ამის გაგებაში კოლეჯი დაეხმარებოდა, 3. სწავლაში იხარჯებოდა მშობლების მთელი დანაზოგი.

3. გააგრძელა თუ არა ჯობსმა სწავლა კოლეჯიდან გარიცხვის შემდეგ? როგორ გამოიყენა მან გარიცხვა?

დიახ, გააგრძელა. გარიცხვის გამოყენება: დადიოდა მხოლოდ იმ კურსებზე, რომლებიც მას აინტერესებდა.

4. როგორი იყო ჯობსის ცხოვრება კოლეჯიდან გარიცხვის შემდეგ?

მეგობრების ოთახებში, იატაკზე, ათევდა ღამეს, კოკა-კოლის ბოთლებს აბარებდა, სადილობდა მხოლოდ კვირაობით.

5. ჯობსი ამბობს, რომ გარიცხვის შემდეგ „მრავალი ფასდაუღებელი აღმოჩენა“ გააკეთა. რა თვისებების წყალობით მოახერხა ეს ჯობსმა?

ცნობისმოყვარეობისა და ინტუიციის.

6. როდის და რაში გამოიყენა ჯობსმა კალიგრაფიაში მიღებული ცოდნა?

გამოიყენა 10 წლის შემდეგ, კომპიუტერის ფონტებისა და შრიფტების შექმნაში.

7. დაასახელეთ, რა უღალატო მიდგომას მიაკვლია ჯობსმა?

უნდა გჯეროდეს რაღაცის, გქონდეს რწმენა, რომ მომავალი გაამართლებს იმას, რასაც ახლა აკეთებ.

8. წაიკითხეთ მეორე ისტორია. რა წარმატებას მიაღწია ჯობსმა და რით ხსნის ამ წარმატებას?

მშობლების გარაჟში დაარსებული საწარმო 10 წლიწადში გადაიქცა 2 მილიარდის ღირებულების გიგანტურ კომპანიად, რომელშიც 4 ათასი ადამიანი მუშაობდა, მიზეზი: ჯობსმა ადრევე, 20 წლის ასაკში, გამოძებნა საყვარელი საქმე.

9. წაიკითხეთ მეორე აბზაცი. რით დასრულდა ჯობსის პირველი წარმატებული პერიოდი? რა იყოს ამის მიზეზი?

ის გაუშვეს კომპანიიდან, რომლის დამაარსებელი თვითონ იყო. ამის მიზეზი იყო ჯობსის კონფლიქტი მოწვეულ მმართველთან, რომელსაც განსხვავებული ხედვა ჰქონდა კომპანიის მომავლის შესახებ. დირექტორთა საბჭომ მმართველის მხარე დაიჭირა, რის შედეგადაც ჯობსი კომპანიიდან გაუშვეს.

10. რა განცდა ჰქონდა ჯობსს კომპანიიდან გათავისუფლების შემდეგ?

რამდენიმე თვე არ იცოდა, რა გაეკეთებინა, შინაგან სიცარიელეს გრძნობდა.

11. რის წყალობით მოახერხა ჯობსმა მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა?

საქმისადმი სიყვარულის წყალობით

12. ჯობსის თქმით, რატომ იყო ის უკეთეს მდგომარეობაში ახალი საქმის წამოწყებისას?

არ აწვებოდა პასუხისმგებლობა, რომელსაც ავალებდა წარმატებულ კომპანიაში ყოფნა, ამის გამო უფრო მეტ თავისუფლებას გრძნობდა. ამასთან, მარცხმა მას ფრთხილად ყოფნაც ასწავლა.

13. წაიკითხეთ ბოლო აბზაცი. ჯობსის თქმით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი იმისთვის, ადამიანი კმაყოფილი იყოს თავისი ცხოვრებით?

საყვარელი საქმის პოვნა.

14. რა გაკვეთილს გვაძლევს სტივენ ჯობსის ცხოვრებისეული გამოცდილება?

პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

შესაძლო ვარიანტი: წარმატებული ცხოვრების საიდუმლოა აკეთო ის, რაც გიყვარს. როდესაც ადამიანი საყვარელი საქმიანობითაა დაკავებული, ის კმაყოფილია ცხოვრებით. საყვარელი საქმის მოძებნაში შეიძლება საერთოდ ვერ დაგვეხმაროს ფორმალური სწავლა-განათლება (სკოლა ან უმაღლესი). ამის გამო გული არ უნდა გაიტეხო, მიენდო საკუთარ ინტუიციას, გულისთქმას, გააგრძელო ძებნა და გწამდეს, რომ ეს ძებნა უაზრო არ არის - როდესაც დრო გაივლის და უკან, წარსულისკენ მიიხედები, დაინახავ, რომ თურმე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდი საყვარელი საქმიანობისკენ ისე, რომ ვერც კი აცნობიერებდი ამას (=ხაზები შეერთდა).

რეკომენდაციები შეფასებისათვის: ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება III, IV, V შედეგებით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

იდეა ზეპირი აქტივობებისთვის:

- **ზეპირი გამოსვლა თემაზე „ცხოვრების გაკვეთილი“**
მასწავლებელი სტუდენტებს შესთავაზებს, მოამზადონ 3-5-წუთიანი ზეპირი გამოსვლა, რომელშიც თანაჯგუფელებს გაუზიარებენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას: მოუყვებიან მათ რაიმე საგულისხმო ამბავს, რომელიც მათთვის გაკვეთილი გახდა (იმის აღნიშვნით, თუ, კონკრეტულად, რა ასწავლა მათ ამ გამოცდილებამ).

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- II შედეგები, 1, 2, 3, 5, 6;

შეფასების სქემები ურთიერთშეფასებისათვის შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია დაკვირვების ფურცლის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი გამომსვლელთა შეფასებისათვის. მასწავლებელი თავად გადაწყვეტს, რომელ სტუნდენტს, შეფასების რომელი სქემა მისცეს:

სქემა 4.

შეფასების სქემა I. ყოველთვის, იშვიათად, არასდროს

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2

თანამიმდევრულად გადმოსცემს ამბავს, იყენებს ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის აღმნიშვნელ სიტყვებს (პირველად, ჯერ, მერე/შემდეგ, ბოლოს, დასასრულს და სხვ.).		
ჩაინიშნეთ, თქვენი შეფასების დამადასტურებელი მაგალითები		

სქემა 4.

შეფასების სქემა I. ყოველთვის, იშვიათად, არასდროს

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
მონათხრობი ამბავი და დასკვნა აზრობრივად შეესაბამება ერთმანეთს		

ჩაინიშნეთ, თქვენი შეფასების დამადასტურებელი მაგალითები		
--	--	--

სქემა 5. დავალება

შეფასების სქემა I.ხშირად, იშვიათად, საერთოდ არა (თხრობა მონოტონურია)

	გამომსვლელი 1	გამომსვლელი 2
<p>საუბრისას იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების შემდეგ არავერბალურ საშუალებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მხედველობითი კონტაქტი: • ხმის აწევ-დაწევა: • საუბრის ტემპის შეცვლა: • პაუზა მეტყველებაში: • მიმიკა და ქესტიკულაცია: 		
<p>დასკვნა: მოსაუბრე იპყრობდა მსმენელის ყურადღებას;</p>		

მულტიმედიური რესურსი: „ძნელად აღსაზრდელი ბავშვები“ (შემოკლებული ვერსიის სახით)

დასახელებული ფილმის სასწავლო მიზნებით დემონსტრირება მიზანშეწონილია მხოლოდ შემოკლებული ვერსიის სახით. აღნიშნული ვერსია, რომელშიც არ გვხვდება არანორმატიული ლექსიკის გამოყენების შემთხვევები, ჩაწერილია წინამდებარე ვებმკვლევის თანმხლებ DVD-დისკზე.

ფილმის ნახვის შემდეგ დისკუსიის გამართვა.

სადისკუსიო შეკითხვები:

- 1) ვინ არიან ფილმის მთავარი გმირები?
- 2) რა არის ძირითადი პრობლემა?
- 3) დაასახელეთ ყველა კონფლიქტი, რომელიც ასახულია ფილმში.
- 4) თქვენი აზრით, რა არის ძნელად აღსაზრდელების დაბალი მოტივაციისა და ქცევის პრობლემების მიზეზი?
- 5) რამდენად და რატომ შეიცვალნენ მოსწავლეები? რამ მოახდინა მათზე ზეგავლენა?
- 6) რამდენად და რატომ შეიცვალა მასწავლებელი ქალი? (მაგ., მისი დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ. პირველი რეაქცია: „ეს მოსწავლეები ჯოჯოხეთიდან არიან?“)
- 7) მოგაგონებთ თუ არა ფილმის რომელიმე პერსონაჟი ან ეპიზოდი სხვა ნანახ ფილმებს, წაკითხულ ამბავს, პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას?
- 8) ვისი თვალითაა მოთხრობილი ამბავი / (მასწავლებელი ქალის, რომელიმე მოსწავლის, ფილმის დირექტორის, გარე მაყურებლის)
- 9) თქვენი აზრით, როგორია რეჟისორის პოზიცია? რის თქმა უნდა რეჟისორს ძნელად აღსაზრდელებზე ან მასწავლებლებზე?
- 10) იზიარებთ თუ არა რეჟისორის/ფილმის შემქმნელების თვალსაზრისს და რატომ?
- 11) ფილმის ყურების შედეგად, რამდენად შეიცვალეთ/არ შეიცვალეთ თქვენ და რატომ? (მაგ., თქვენი წარმოდგენების დამოკიდებულებების შეცვლა/არ შეცვლა, ცოდნის/ინფორმაციის მიღება).

ფილმის გმირი მასწავლებელი ქალის სტრატეგიაზე საუბრისას პარალელების გატარება დანიელ პენაკის წიგნთან:

ა) მასწავლებელი ქალი: „ანკესზე უნდა წამოვავო“ - პენაკი: „[მხსნელმა მასწავლებლებმა] ანკესზე წამომაგეს (ფრაგმენტი # 3);

ბ) მასწავლებელი ქალი ყოველ გაკვეთილზე თავიდან იწყებს ბრძოლას მოსწავლეთა გადასარჩენად; გამუდმებით იმაზე ფიქრობს, რით დააინტერესოს მოსწავლეები - დანიელ პენაკი: [მხსნელმა მასწავლებლებმა] ისკუპეს და ჩემ ამოსაყვანად ფსკერზე ჩაყვინთეს... ვერ ამომათრიეს... მაინც არ დამანებეს თავი, კიდევ სცადეს - ისევ უშედეგოდ... იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს.. კიდევ და კიდევ... და ბოლოს, იმდენი ქნეს, რომ ნაპირზე გამომიყვანეს (ფრაგმენტი # 3).

გ) მასწავლებელი ქალი: „თქვენ გაქვთ არჩევანი“, „არჩევანი უნდა გააკეთოთ“ - დანიელ პენაკი „საკუთარი თავისგანხსნა“ (ფრაგმენტი #7); „ბედისწერის დამარცხება“, „თვალის ახელა“, „ჯადოს მოხსნა“, „ყოველი გაკვეთილი - გამოღვიძების სიგნალი“ (ფრაგმენტი # 8).

დ) მასწავლებელი ქალი: ცდილობს აამაღლოს მოსწავლეთა თვითრწმენა: „ამ ლექსებს კოლეჯში სწავლობენ“ - პენაკი, ბატონი ბალი: „თქვენ გგონიათ, რომ არაფერი იცით, მაგრამ, დამიჯერეთ, ცდებით. თქვენ უამრავი რამ იცით, უამრავი“ (ფრაგმენტი #7);

იმ ადგილზე საუბრისას, როდესაც მასწავლებელი ქალი კლასის მიტოვებას აპირებს, შესაძლებელია პარალელის გავლება ჰაჯი-უსუბთან - ორივე უდიდეს ზნეობრივ პასუხისმგებლობას გრძნობს მოსწავლეების მიმართ, თუმცა სრულიად განსხვავებულია მათი ქმედებები:

მასწავლებელი ქალმა ჩათვალა, რომ ვერ შეძლო მოსწავლეების გადარჩენა/დახსნა, ამიტომ სურს, მიატოვოს კლასი; მოსწავლის უღირსი საქციელის გამო ჰაჯი-უსუბმა საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი და თავი მოიკლა - ჩათვალა, რომ თვითონაა დამნაშავე, რადგან ვერ შეძლო მოსწავლის ადამიანად აღზრდა.

მასწავლებელი ქალი სახლში მიაკითხავს ორი მოსწავლეს, რომლებმაც სკოლა მიატოვეს; ესაუბრება მათ მოხუც ბებიას, რომელიც თვლის, რომ მის შვილიშვილებს სწავლა არ სჭირდებათ. მოდულის მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შეახსენოს მღვდლის საუბარი გლახ პეტრესთან (თავი 3, ფრაგმენტი „გლახის ნამშობიდან“). ამ საუბრის დასაწყისში პეტრეც უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს სწავლის მიმართ („რა ჩვენი საქმეა წიგნი“), თუმცა მღვდელი მოახერხებს მის დარწმუნებას სწავლის აუცილებლობაში. ორივე შემთხვევაში უარყოფითი დამოკიდებულება უმეტესწილად სოციალური ფაქტორებით შეიძლება აიხსნას.

ფილმში გამოყენებულ სიტყვათა განმარტებები:

ტამბურინი - მუსიკალური დასარტყმელი ინსტრუმენტი, ერთგვარი გრძელი ფორმის დოლი.

მისტერ ტამბურინი - იგულისხმება ტამბურინზე დამკვრელი მუსიკოსი კაცი.

მისტერ ტამბურინზე დაწერილი ლექსი წარმოადგენს ამერიკული როკ-მუსიკის ვარსკვლავის - ბობ დილანის - სიმღერის ტექსტს. დილანი ფართოდაა ცნობილი, როგორც მწერალი. 2016 წელს მან ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურის დარგში.

რეკომენდაციები შეფასებისათვის

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგები, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8
- III შედეგები, 1, 2, 3, 4, 5
- V შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6

სასწავლო პრიორიტეტების და სტუდენტების საჭიროებების მიხედვით, განმავითარებელი შეფასებისთვის მასწავლებელი იხელმძღვანელებს დასახელებული შედეგების შესრულების კრიტერიუმებით.

შემაჯამებელი აქტივობები

შემაჯამებელი დავალება 1. არგუმენტირებული ესე (მაგ. „არსებობს მოსაზრება, რომ სწავლას არ შეუძლია ადამიანის შეცვლა, მისი ბუნების გარდაქმნა. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი“)⁴⁷.

შემაჯამებელი დავალება 2. პირადი თვალსაზრისის გამოხატვა ერთაზრაციან ტექსტში თემაზე: ნამდვილი მასწავლებელი (შეიძლება შევთავაზოთ დასაწყისის სქემა: „მე მყავდა მასწავლებელი, რომელიც...“, სხვ.)

შემაჯამებელი დავალება 3. წერილი მომდევნო თაობის წლის სტუდენტებს (რჩევები იმის თაობაზე, თუ რაზე გაამახვილონ ყურადღება, თუკი კარგი შედეგების მიღწევა სურთ).

შემაჯამებელი დავალება 4. თხრობითი ტექსტი „ერთხელ სკოლაში“ - ამბავი სტუდენტის პირადი გამოცდილებიდან: შემთხვევა, როდესაც მასწავლებელმა დადებითი გავლენა მოახდინა სტუდენტზე ან მის ამხანაგზე.

შემაჯამებელი დავალება 5. ინტერვიუ „დაუვიწყარი მასწავლებელი“ - ინტერვიუ უფროსი თაობის წარმომადგენელთან მასწავლებელზე, რომელმაც მასზე ზეგავლენა მოახდინა (კითხვები: რით იყო ეს მასწავლებელი თქვენთვის განსაკუთრებული? რა შეცვალა თქვენში? რამდენად გამოგადგათ ცხოვრებაში ის, რაც მისგან ისწავლეთ? სხვ.). ინტერვიუებს სტუდენტები წარადგენენ დასრულებული სახით (შესავალი, თავად ინტერვიუ, დასასრული).

შემაჯამებელი დავალება 6. პოსტერი „ნამდვილი მასწავლებელი“

სტუდენტი დიდი ზომის ფურცელზე ჩამოწერს თვისებებს, რომლებიც, მისი აზრით, გამოარჩევს ნამდვილ მასწავლებელს. თვისებები შეიძლება შეირჩეს შემდეგი 4 კატეგორიის მიხედვით:

- ხასიათის თვისებები (მაგ., მომთმენი, მეგობრული, მხიარული, ენერგიული, სანდო)
- კვალიფიკაცია (მაგ., კარგად იცის და უყვარს თავისი საგანი);
- გაკვეთილები (მაგ., ხსნის გასაგებად, ატარებს საინტერესო გაკვეთილებს, ამუშავებს ყველა მოსწავლეს)
- ქცევა მოსწავლეებთან (მაგ., არის თავაზიანი, არ გამოარჩევს არცერთ მოსწავლეს, ითვალისწინებს მოსწავლეების მახასიათებლებს)

⁴⁷არგუმენტირებული ესეს შესავსებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული შეფასების სქემა (იხ. ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასების სქემები, ქართული ენისა და ლიტერატურის შეფასების სქემა, არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები, <http://www1.naec.ge/images/doc/EXAMS/kart.ena.da.lit-shefasebis-skema-2017-abit.pdf>).

პოსტერის დიზაინს მოიფიქრებს თავად სტუდენტი (ასობის ფორმა, ზომა, სახელწოდებისა და სიტყვების განაწილება, გაფორმება).

შემაჯამებელი დავალება 7. პრეზენტაცია: მე რომ განათლების მინისტრი ვიყო

მითითებები პრეზენტაციისთვის:

- ისაუბრეთ, როგორ შეცვლიდით/რა რეფორმებს გაატარებდით პროფესიულ სასწავლებლებში ან სკოლებში (მაგ., მოდულების ან სასკოლო საგნების სწავლებაში, სასწავლო ინფრასტრუქტურაში, საათობრივ ბადეში/ცხრილში). დაასაბუთეთ შეთავაზებული ცვლილებების საჭიროება; ისაუბრეთ, რა დადებითი შედეგები მოჰყვება ამ ცვლილებებს.
- ისაუბრეთ, რას გააკეთებდით მოსწავლეების/სტუდენტების მოტივაციის გასაზრდელად (მაგ., პროექტული სწავლება; საგნების, დავალებების არჩევითობა, სხვ.).
- ისაუბრეთ, რას გააკეთებდით კვალიფიციური მასწავლებლების მოზიდვისათვის (მაგ., ხელფასების ამაღლება, ტრენინგები, სხვ.).
- *სურვილისამებრ, შეგიძლიათ მოიფიქროთ ახალი საგანი, რომელსაც დანერგავდით პროფესიულ სასწავლებელში ან სკოლაში (აჩვენეთ, რატომაა ეს მნიშვნელოვანი და რა დადებითი შედეგები მოჰყვება მის დანერგვას).*

შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებელი დავალება 8. წაკითხულის გაზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი

ყურადღებით წაკითხეთ ფრაგმენტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი“. მასში გაბრიელი გვიყვება მღვდელზე, რომელიც მისი მასწავლებელი იყო.

დერეფანშიერთიუბრალოტახტიდამხვდა, ზედისხდაშვიდიოდეპატარაბიჭი. შუაშითავმოხდილიიჯდაჩვენიმღვდელი. ზოგსაწერინებდა, ზოგსაკითხებდა. მემალემიმახვედრაწიგნს. სამ-ოთხთვეუდარამცთუწიგნისკითხვაშემემძლო, ლოცვებიცგავიზეპირე...მემალთანმოვწონდიიმდალოცვილს. მიქებახოლმეგულისყურსდამიხვედრასა: „ვიციო, — ზედდაატანდახოლმე, — შენმაგითითავსარგაიზვიადებ, ჭკვიანიბიჭიხარ, იმიტომპირშიგეუბნები“.

გავიდარამდენიმედრო...ერთხელ, როცაწიგნისკითხვაგავათავედანაწერიცმომიწონა, მომისვაგვერდითდადამიწყითავისებურადლაპარაკი. ეგიმანხშირადიცოდახოლმე, როცაკიდავაჯერებდი, რომმაგითიშინსაქმესარმოვცდებოდი. მეც, როგორცმოგეხსენებათამამებულიკაცისამზავი, ვკითხავდი, ვებასებოდი, და, — არვიცი, ჩემისიტყვა-პასუხიმოეწონა, თურა, — მიბრძანა: „შენ, ჩემოგაბრიელ, ერთიკაიწიგნიმინდაგაჩუქო“. ადგა, გამოალოპატარათახჩისკარიდაგადმოილოერთიდაბეჭდილიწიგნი. — აი, ძმაო, ესწიგნიარისქართველებისგულისსაუნჯე. რაცკირამგვაქვსჩვენსენაზედ, ამასჯერარასჯობია-რა...

იმდღიდანდავიწყეთმედიამან „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. მაშინვიქნებოდიჩვიდმეტ-თვრამეტისწლისა... ბევრგანშემამჩერებდახოლმემდამკითხავდა: „გესმისო“? თუვეტყოდი „მესმის“, ხომრაკარგი, თურადამომიყვებოდადათვითონიმწიგნზეუარესადარმელაპარაკებოდა. იმდღილთანრომმოვედი, საცასწერია: „რასაცაგასცემ, შენია, რაცარა — დაკარგულია“, — მახსოვს,დიდხანსშემამჩერა. ამისთანასიტყვებზეუყვარდიამასშედგომდაბაასი. მაშინდელისიტყვები, რამაშინდელი! რაცრამუთქვამსჩემთვის, დღევანდლამდინსიზმარივითდამახსოვდა.

როცაიმადგილასმივედით, საცასწერია: „...სჯობსსიცოცხლესანამძრახსასიკვდილისახელოვანი“, სწორედიმდროსქუჩიდანერთიყალმაყალისდაალიაქოთისხმაშემოვიდა...

მღვდელიგაფითრდადაისე, როგორციყო, უცბადეცაქუჩისკარებს. მეცგამოვედიგარეთ. სადამოხანიყო. ხალხი — დიდითუპატარა —მტკვრისკენ მიბრბოდა. — რამზავია, ძმებო, რამზავია? — დაუყვირახალხსმღვდელმა. — რადარამზავია, შენიჭირიმე! კაციხრჩობა, — დაუმახავილაცამ. ამისთქმადამღვდლისფეხისმოსხლეტაერთიყო. ისეთავშიშველიგაფრინდაგაფოთებული. მეცუკანგამოვუდექი. ჩავედით. ხალხიდადედაკაცობაშეგროვილიყომტკვრისგადასახედზედ. იმათიჟღავი-ჟღუვი, ალიაქოთიკაცსდააყრუებდა. დედაკაცებისსაცოდაობასკინულარმკითხავთ, სულ „ვიშ! ვიშ!“ გაჰქონდათ. რომდანიხესმღვდელიმოდისო, ერთობსიხარულითდაიგრიალეს: „მღვდელიმოვიდა, მღვდელი! მადლოზაღმერთსა, ქრისტიანისულიადარდაირჩობაო!“ სჩანს, შენიჭირიმე, იმღვდლისაგანკვლავაცბევრიმაგისთანაებინახათ, რომეგრეთიმედიყველასმოეცა.

მღვდელმა... სწრაფადგადაისახაპირჯვარი, ახსენასახელიღვთისა, იშვირაფეხიდაგადავარდაწყალში. მაშინკითანგადაჰყვატყაპატყუპითშვიდიოდებიჭი, თითქოსმღვდლისსაქციელმაწახალისაო.

ცოტახანსთვალისადავკარგემღვდელი. მეიმისიდახრჩობისშიშიმომეცა. „რავქნა, ხომარდაიხრჩო“ — წამოვიძახეერთავად. „ჰმ, — ჩაიცინაჩემგვერდითერთმაკაცმა, — მაშშენევერგიცვინა, — მიპასუხამედაგაშტერებითთვალისწყალსაყოლა, — მაგასლვთისკაცსემახიან, არცწყალიერევაგადლოცვილს, არცცეცხლიეკიდება. აგე, თუარაგჯერა, სადამოჰყოთავი!“ — გამიშვირათითიდადამანახვაგახარებულმამღვდელი. მივიხედე, თითოხელისმოქნევაზეისდალოცვილისშვილიერთდიდალაგსგადანაცვლებდა, როგორცგემი, ისეარღვევდაწყალს. მღვდლისშორიახლოსუბედური - მუშა ყოფილიყო, საწყალი -ქანცგაწყვეტილიფართხალებდა. ხანჩაიძირებოდა, ხანმალაამოვარდებოდახოლმე. — ნუგემინია! — ეძახოდახალხი, — არშეუშინდეწყალსა, ცოტაკიდევთავიშეიმარე, შენიდამხსნელიმოდის. აი, მიდისდაებრძვისწყალსმღვდელი, ხალხიაქედამწასახალისებლადხმასამღვდელს, ... მაგრამმღვდელსარსჭირდებოდაარცერთისთქმა, არცმეორისა ... რასბრძანებ? სიკეთეკაცსგულშივერეტეოდა, სხვისწახალისებააქრასაჭიროა! სიკეთისქმნა, რომიტყვიან, სწყუროდა... როცანაპირზე მუშა გამოიყვანეს, როგორცმძას, ისე დასტრიალებდაგონებამიხდილს.

— გლახავ! — მიუბრუნდავიღაცამღვდელი, — თულმერთიგწამს, ამაღამშენსახლშიბინამიეციამსაცოდავსა, მადლია! — ბატონიბძანდები, — უპასუხაიმანაცა, — მაგასრალათქმაუნდა, შენიჭირიმე! შენკინაღამმაგისგულისათვისთავიარდაიხრჩედამებინასროგორარმივცემ. აბაბიჭებო, მიშველეთ! დაუძახახალხსა. ხალხიმოსცვივდა, ასწიესმუშადაციმციმითწაიღეს, მღვდელიცუკანაედევნა.

— შენკიშინწამობრძანდი, შენიჭირიმე! — ვუთხარიმე, — დაღლილიხარ, კანკალებ.

— მუშასშველაუნდაკიდევ, — მითხრაპასუხად.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

1. როგორ უნდა გავიგოთ გაბრიელის სიტყვები: „მე მალე მიმახვედრა წიგნს“?

გაბრიელმა სწრაფად:

- ა) გაიგო წიგნის მნიშვნელობა;
- ბ) შეისწავლა კითხვა;
- გ) გაარკვია წიგნის ღირებულება;
- დ) შეიყვარა წიგნი.

2. რატომ არ ერიდება მღვდელი გაბრიელის პირში ქებას?

იმიტომ, რომ:

- ა) გაბრიელი კითხვას სწრაფად სწავლობდა;
- ბ) გაბრიელი მიხვედრილობით გამოირჩევა;
- გ) ძალიან მოსწონს გაბრიელი;
- დ) გაბრიელის გონიერების იმედი აქვს.

3. მღვდელი ხშირად ესაუბრებოდა გაბრიელს, როცა მას საშინაო საქმეები არ ჰქონდა გასაკეთებელი. რა უმთავრესი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან?

- ა) მღვდელს ხშირად ჰქონდა თავისუფალი დრო;
- ბ) მღვდელს მიაჩნდა, რომ ერთმა საქმემ მეორეს ხელი არ უნდა შეუშალოს;
- გ) გაბრიელს იშვიათად ავალებდნენ საშინაო საქმეებს;
- დ) მღვდელი ღელავდა, რომ უსაქმოდ მყოფ გაბრიელს თავი მარტო არ ეგრძნო.

4. „ვებასებოდი“ იგივეა, რაც:

- ა) კითხვებს ვუსვამდი;

- ბ) ვეკამათებოდი;
- გ) დახმარებას ვთხოვდი;
- დ) ვესაუბრებოდი.

5. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში: „ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე“?

- ა) ჰიპერბოლა;
- ბ) ეპითეტი;

გ) მეტაფორა;

დ) შედარება.

6. ტექსტში ვკითხულობთ: „ბევრგანშემჩაერებახოლმედამკითხავდა: „გესმისო“? თუვეტყოდი „მესმის“, ხომრაკარგი, თუ არადამომიყვებოდა“.

რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

ა) მღვდელს უნდოდა, გამოეტეხა გაბრიელი უვიცობაში;

ბ) მღვდელს ეჭვი არ ეპარებოდა გაბრიელის გულწრფელობაში;

გ) მღვდელი ცდილობდა, ბევრი დრო არ დაეხარჯა გაბრიელზე;

დ) მღვდელი ცდილობდა, ბევრი არ ელაპარაკა „ვეფხისტყაოსანზე“.

7. რომელ ხერხს არ იყენებს მღვდელი „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას?

- ა) კითხვას შეჩერებებით;
- ბ) შეკითხვების დასმას;
- გ) ზეპირობას;
- დ) ახსნა-განმარტებას.

8. რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ მღვდელი შესანიშნავი მოსაუბრე იყო?

- ა) ამისთანასიტყვებზეუყვარდაიმასშედგომდაბაასი;
- ბ) რაცრამუთქვამსჩემთვის, დღევანდლამდესიზმარივითდამამახსოვრდა;
- გ) თვითონიმწიგნზეუარესადარმელაპარაკებოდა;
- დ) თუვეტყოდი „მესმის“, ხომრაკარგი, თუარადამომიყვებოდა.

9. რა აზრია გამოხატული ფრაზაში: „სჯობსსიცოცხლესანადრახსასიკვდილისახელოვანი“?

- ა) სახელგატეხილ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს;
- ბ) უიმედო სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს;
- გ) უმოქმედო ცხოვრებას სახელოვანი სიკვდილი სჯობს;
- დ) უჩინარ ცხოვრებას სახელოვანი სიკვდილი სჯობს.

10. გარეთ ხმაურის ატეხვისთანავე მღვდელი გაფითრდა და ქუჩის კარს ეცა გასაღებად. რა შეიძლება დავასკვნათ ამ ფაქტიდან?

- ა) მღვდელი ნერვიული ადამიანია;
- ბ) მღვდელი მშიშარაა;
- გ) მღვდლის ყველას ეშინია;
- დ) მღვდელს სხვებზე გული შესტკივა.

11. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება: „ფეხის მოსხლეტა?“

- ა) სწრაფად გაქცევას;
- ბ) ფეხის გაცურებას;
- გ) ფეხის გადაბრუნებას;
- დ) ძირს დავარდნას.

12. რატომ გაუხარდათ მღვდლის დანახვა მდინარესთან შეკრებილებს?

- ა) იმედი მოეცათ, რომ მღვდლის იქ ყოფნა ქრისტიანს სასწაულებრივად გადაარჩენდა;
- ბ) სჯეროდათ, რომ მღვდელი შემლებდა წყალწალეხის გადაარჩენას;
- გ) იმედი მოეცათ, რომ ქრისტიანი უზიარებელი არ მოკვდებოდა;
- დ) დარწმუნებული იყვნენ, რომ მღვდელი ბიჭებს წახალისებდა წყალში შესასვლელად.

13. რომელ წინადადებაშია გამოთქმული გაბრიელის დასკვნა მღვდლის შესახებ?

- ა) „მადლობამერთს, ქრისტიანისულიადარდაირჩობაო!“;
- ბ) „არცწყალიერევამაგდალოცვილს, არცცეცხლიეკიდება“;
- გ) „სჩანს ... იმმღვდლისაგანკვლავაცხევრთაგისთანებენახათ“;
- დ) „ცოტაკიდევთავიშეიმაგრე, შენიდამხსნელიმოდის“.

14. რა სახელით იყო მღვდელი ხალხში ცნობილი?

- ა) დამხსნელი;
- ბ) დალოცვილი;
- გ) ღვთის კაცი;
- დ) დალოცვილის შვილი.

15. მღვდელმა ვერ მოასწრო, სიტყვიერად აეხსნა გაბრიელისთვის რუსთველის შეგონება: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი. რით გააგებინა მღვდელმა თავის მოსწავლეს ამ შეგონების არსი?

ა) წყალწაღებულის ნაპირზე გამოყვანით;

- ბ) მუშისთვის ღამის გასათევის გამოძებნით;
- გ) სახლში დაბრუნებაზე უარის თქმით;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

16. აღნიშნეთ, რა ჟანრისაა მოყვანილი ფრაგმენტი.

- ა) მოთხრობა;
- ბ) პიესა;
- გ) მითი;
- დ) პოემა.

კავშირი მოდულის შედეგებთან

ზემოთ წარმოდგენილი აქტივობები ემსახურება III და IV შედეგით გათვალისწინებული უნარების განვითარებას.

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულებაზე;
- იმსჯელეთ მღვდლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე;
- იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!⁴⁸

შეფასების სქემები

1. ზეპირი გამოსვლა

კრიტერიუმები	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 - 0,5 - 1
ადეკვატურად პასუხობს პირობას	0 - 0,5 - 1
შინაარსობრივი მხარე, ორგანიზება	
მოჰყავს საჭირო ინფორმაცია, გასაგებად აყალიბებს სათქმელს,	

⁴⁸ თხზულების შესაფასებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული შეფასების სქემა (იხ. ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასების სქემები, ქართული ენისა და ლიტერატურის შეფასების სქემა, წერთი დავალების შეფასების კრიტერიუმები, <http://www1.naec.ge/images/doc/EXAMS/kart.ena.da.lit-shefasebis-skema-2017-abit.pdf>).

მოწყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 0,5 - 1
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 - 0,5 - 1
წარმოადგენს ინფორმაციას ლოგიკური თანამიმდევრობის დაცვით	0 - 0,5 - 1
ცდილობს აუდიტორიის დაინტერესებას	0 - 0,5 - 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ამყარებს მხედველობით კონტაქტს, იყენებს ქესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.)	0 - 0,5 - 1
მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით, შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას	0 - 0,5 - 1
ლაპარაკობს მკაფიოდ, გარკვევით, იცავს სალიტერატური ენის ნორმებს	0 - 0,5 - 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)	

2. ინტერვიუს შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ქულები
--------------	--------

წინასწარი სამუშაო	
19. შერჩეულია ადეკვატური რესპონდენტი (ინტერვიუს თემის, მიზნისა და ამოცანების შესაბამისად)	0 - 0.5 - 1
შინაარსობრივი მხარე	
20. დასმულია ღიადაბოლოებიანი კითხვები	0 - 0.5 - 1
21. კითხვები გამიზნულია რესპონდენტისაგან საჭირო ინფორმაციის მიღებისთვის	0 - 0.5 - 1
22. კითხვები დასმულია ლოგიკური თანამიმდევრობის დაცვით	0 - 0.5 - 1
23. წარმოდგენილია კონკრეტული ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ (მაგ., მოკლე პერსონალური ინფორმაცია, სახასიათო დეტალები)	0 - 0.5 - 1
სტრუქტურა, კომპოზიცია, დიზაინი	
24. აქვს ორნაწილიანი სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი)	0 - 0.5 - 1

25. შერჩეულია სათანადო დიზაინი (ერთმანეთისგან გამოყოფილია კითხვები და პასუხები, ინტერვიუერის ტექსტი)	0 - 0.5 - 1
ლექსიკა, სტილი	
26. შერჩეულია სათანადო სტილი, ლექსიკა; გამოყენებულია სათანადო ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები (მაგ., მისაღმებისას, მიმართვისას, დამშვიდობებისას)	0 - 0.5 - 1
27. დაცულია ენობრივ-გრამატიკულ ნორმები	0 - 0.5 - 1
28. დაცულია პუნქტუაციის წესები	0 - 0.5 - 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალდება მოსწავლის სასარგებლოდ)	

1. რჩევები მომავალ სტუდენტებს

პირობასთან შესაბამისობა	

1. შეესაბამება პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 0.5 - 1
შინაარსობრივი მხარე	
2. ნათლად გამოკვეთს წერილის დაწერის მიზეზს	0 - 0.5 - 1
3. აყალიბებს სათქმელს გასაგებად და თანამიმდევრულად	0 - 0.5 - 1
4. რჩევების საფუძვლიანობას ასაბუთებს პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მოყვანილი მაგალითებით.	0 - 1- 2
5. დასასრულს შეაჯამებს ნათქვამს	0 - 0.5 - 1
სტრუქტურა, კომპოზიცია	
6. იცავს წერილის ტრადიციულ ფორმატს (მიმართვა, ძირითადი ტექსტი, ხელმოწერა)	0 - 0.5 - 1
ლექსიკა, სტილი	
7. შეარჩევს სათანადო სტილს, ლექსიკას, იყენებს სათანადო ენობრივ ფორმულებს მიმართვისას, დამშვიდობებისას (მაგ., პატივცემულო რედაქტორო, პატივისცემით და ა.შ.)	0 - 0.5 - 1 0 - 0.5 - 1

8. იცავს ენობრივ-გრამატიკულ ნორმებს	0 - 0.5 - 1
9. იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს	0 - 0.5 - 1
ჯამური ქულა (ჯამური ქულა დამრგვალებულია მოსწავლის სასარგებლოდ)	

ფუნქციური კომუნიკაცია:

აქტივობები

აქტივობა # 1. ქვიზი

სამუშაო ფურცელი. მიზეზშედეგობრიობა

I. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები. თითოეული წინადადების შემდეგ მიუთითეთ, რა არის მიზეზი, რა-შედეგი.

1. გიორგის გვიან გაეღვიძა და პირველ გაკვეთილზე დააგვიანდა.

მიზეზი: გიორგის გვიან გაეღვიძა

შედეგი: მას პირველ გაკვეთილზე დააგვიანდა.

2. ანამ ორი კვირა თავაუღებლად იმეცადინა და მაღალი ნიშანი მიიღო.

მიზეზი: ანამ ორი კვირა თავაუღებლად იმეცადინა.

შედეგი: მან მაღალი ნიშანი მიიღო.

3. თავსხმა წვიმამ ქალაქის ქუჩები დატბორა.

მიზეზი: თავსხმა წვიმა წამოვიდა

შედეგი: ქალაქის ქუჩები დაიტბორა.

4. მეხდაცემულ ხეს ცეცხლი გაუჩნდა.

მიზეზი: ხეს მეხი დაეცა

შედეგი: მას ცეცხლი გაუჩნდა

5. ფერმაში მთელ ზაფხულს უხვად რწყავდნენ პომიდვრის ჩითილებს და პომიდვრის კარგი მოსავალი მიიღეს.

მიზეზი: მთელ ზაფხულს უხვად რწყავდნენ პომიდვრის ჩითილებს

შედეგი: პომიდვრის კარგი მოსავალი მიიღეს

6. ბენზინის ჩასხმა დამავიწყდა და მანქანა შუა გზაში გამიჩერდა.

მიზეზი: ბენზინის ჩასხმა დამავიწყდა

შედეგი: მანქანა შუა გზაში გამიჩერდა

II. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შედეგები. თითოეული მათგანის ზემოთ მიუთითეთ შესაძლო მიზეზი.

1. მიზეზი: დაგდებულ ქალღმერთზე ფეხი გაუსრიალდა

შედეგი: სანდრო კიბეზე დაგორდა.

2. მიზეზი: ეზოში ვიღაც შემოვიდა

შედეგი: ძალი ხმამალა აყეფდა.

3. მიზეზი: ძლიერი წვიმა და ჭექა-ქუხილია

შედეგი: თვითმფრინავის რეისი ორი საათით გადაიდო

4. მიზეზი: ელექტროგადამცემი ხაზი დაზიანდა

შედეგი: შუქი მთელ ქუჩაზე გამოირთო.

5. მიზეზი: ძმა ანეკდოტს მოუყვა.

შედეგი: სალომემ ხმამალა გაიცინა.

6. მიზეზი: შუქნიშანზე წითელი შუქი აინთო.

შედეგი: მანქანა გაჩერდა.

7. მიზეზი: მოსალოდნელია შტორმი.

შედეგი: დღეს ზღვაში შესვლა აკრძალულია.

8. მიზეზი: ნინის კომპიუტერში ვირუსმა შეაღწია.

შედეგი: ნინის პერსონალური კომპიუტერი დაბლოკილია.

აქტივობა # 2. როგორ დავწეროთ თეზისი

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს დასაბუთებული მსჯელობის უნარების განვითარებაში.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი გააცნობს სტუდენტებს აზრის დასაბუთების, ლოგიკური არგუმენტების შემუშავების ერთ-ერთ ეფექტურ გზას, რომელიც გულისხმობს თეზისის შემუშავებას 3 ნაბიჯის „გადადგმით“.

ნაბიჯი 1. კითხვის დასმა თემის შესახებ

რა არის თქვენი თემა? - სპორტსმენები

ჩამოაყალიბეთ შეკითხვა სპორტსმენების შესახებ

რატომ არიან სპორტსმენები ასე პოპულარული?

ნაბიჯი 2. იპოვეთ მიზეზები

მოიფიქრეთ სპორტსმენების პოპულარობის მიზეზები.

შეეცადეთ, მოძებნოთ სულ მცირე, 3 მიზეზი.

მიზეზი 1. სპორტსმენები არიან წარმატებული ადამიანები

მიზეზი 2. სპორტსმენების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადამიანს ბევრი შეუძლია.

მიზეზი 3. სპორტსმენებს აქვთ ძლიერი ნებისყოფა.

ნაბიჯი 3. გაააერთიანეთ ეს ყველაფერი ერთ წინადადებაში.

გავაერთიანოთ ის ინფორმაცია, რომლებიც მივიღეთ პირველი ორი ნაბიჯის გადადგმით და უპასუხეთ თქვენს მთავარ შეკითხვას: რატომ არიან სპორტსმენები პოპულარული?

ამ ინფორმაციის გაერთიანების შედეგად მივიღებთ თეზისს.

თეზისი: სპორტსმენები წარმატებული და ძლიერი ნებისყოფის ხალხია, რომლებიც გვიჩვენებენ, რამდენად ბევრის მიღწევა შეუძლია ადამიანს.

ამის შემდეგ მასწავლებელი დააწყვილებს სტუდენტებს და შესთავაზებს, მოიფიქრონ თეზისი შემდეგ თემებზე: ჩემი პროფესია, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება (თემებს შეარჩევენ თავად სტუდენტები).

სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი ამყარებს უკუკავშირს (კომენტარებით, ზეპირი შეფასებებით, შენიშვნებით).

აქტივობა # 3. მოვიფიქროთ არგუმენტები (3 კითხვა)

აქტივობის შესახებ. აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს დასაბუთების, ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარებაში. სტუდენტები გააცნობიერებენ, რომ დამაჯერებელი და ლოგიკური არგუმენტების შემუშავება შესაძლებელია მარტივი კითხვების მეშვეობით. აქტივობის შესრულების შედეგად სტუდენტები შეიქმნიან წარმოდგენას არგუმენტის სამი ძირითადი ნაწილის შესახებ.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი

ორგანიზების ფორმა: მცირე ჯგუფებში, წყვილებში.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი გაესაუბრება სტუდენტებს აზრის დასაბუთების, ლოგიკური არგუმენტების შემუშავების ერთ-ერთ ეფექტურ გზაზე, რომელსაც 3 კითხვის სტრატეგია ეწოდება. თითოეულ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საშუალებას მოგვცემს, ჩამოვაცალიბოთ და დავასაბუთოთ ნებისმიერი მოსაზრება. მასწავლებელი დაფაზე წერს ამ სამ კითხვას.

კითხვა 1 - რას ფიქრობთ მოცემულ თემაზე/საკითხზე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გულისხმობს თეზისის შემუშავებას.

კითხვა 2 - რატომ ფიქრობთ ასე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გულისხმობს მიზეზების ჩვენებას, ანუ არგუმენტების წამოყენებას.

კითხვა 3 - საიდან იცით, რომ რასაც ამბობთ, სიმართლეა? /რით დაამტკიცებთ, რომ მართალი ხართ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გულისხმობს მტკიცებულებების, დამადასტურებელი მასალის მოყვანას (ავტორიტეტების დამოწმება, სტატისტიკა, კვლევების თუ გამოკითხვის შედეგები, სხვ.).

ამის შემდეგ მასწავლებელი მცირე ჯგუფებად გაანაწილებს სტუდენტებს და შესთავაზებს, ერთმანეთს გაუზიარონ ისტორიები იმ მასწავლებლის შესახებ, რომელზეც არ დარჩენიათ საუკეთესო მოგონებები. შემდეგ გამოიკითხავს, ვისი მონათხრობი იყო ყველაზე შთამბეჭდავი/საინტერესო.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე გამოსახავს ცხრილს და შეავსებს მას საუკეთესო ისტორიის ავტორის, ასევე სხვა სტუდენტების თანამონაწილეობით.

ნიმუში.

1. თეზისი	რას ფიქრობთ?	ამ საგანს სკოლის მასწავლებელი ძალიან უინტერესოდ გვასწავლიდა.
2. მიზეზი (არგუმენტი)	რატომ ფიქრობთ ასე?	<ul style="list-style-type: none">➤ გვადღევდა ერთგვაროვან და მოსაწყენ დავალებებს.➤ საგნის სწავლებით თავს არ იწუხებდა

3. მტკიცებულება	საიდან იცით, რომ მართალი ხართ?	<ul style="list-style-type: none"> ➤ თითქმის ყველა გაკვეთილზე გვაკეთებინებდა საგამოცდო სტანდარტულ ტესტებს. ➤ ტესტებში ხშირად გვხვდებოდა შეკითხვები იმ მასალაზე, რომელიც არ გვქონდა გავლილი.
-----------------	--------------------------------	---

ცხრილის შევსების შემდეგ მასწავლებელი დააწყვილებს სტუდენტებს და შესთავაზებს, შეავსონ იგივე ცხრილი საწინააღმდეგო პოზიციიდან - „სკოლაში ამ საგნის მასწავლებელი ძალიან საინტერესო გაკვეთილებს გვიტარებდა (/ამ საგანს სკოლის მასწავლებელი ძალიან საინტერესოდ ვვასწავლიდა)“.

ცხრილი 2.

1. თეზისი	რას ფიქრობთ?	სკოლაში ამ საგნის მასწავლებელი ძალიან საინტერესო გაკვეთილებს გვიტარებდა.
2. მიზეზი (არგუმენტი)	რატომ ფიქრობთ ასე?	

3. მტკიცებულება	საიდან იცით, რომ მართალი ხართ?	

სამუშაოდ სტუდენტებს ეძლევათ 10 წუთი. ამ დროის დასრულების შემდეგ სტუდენტები წარადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელი ამყარებს უკუკავშირს (კომენტარებით, შენიშვნებით, ზეპირი შეფასებით).

იდეები დამატებითი აქტივობებისთვის:

მცირე ზომის წერილობითი ტექსტი: (პროფესია, რომელსაც სტუდენტები სწავლობენ) საინტერესო და პერსპექტიული პროფესიაა“ (მაგ., „მეხილეობა საინტერესო და პერსპექტიული პროფესიაა“).

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1, 2, 3, 4
- II შედეგი, 4
- V შედეგი, 1, 4;
- VI შედეგი, 3, 5.

აქტივობა # 4. ჩამოვყალიბოთ არგუმენტები

აქტივობის შესახებ: აქტივობა დაეხმარება სტუდენტებს დასაბუთებული მსჯელობის უნარების განვითარებაში.

რესურსები: დაფა, ცარცი/მარკერი

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სტუდენტებს შესთავაზებს, ჩამოაყალიბონ არგუმენტები თეზისისთვის, რომელსაც შესთავაზებს მათ. სასურველია, თეზისი უკავშირდებოდეს სტუდენტებისთვის კარგად ნაცნობი თემას, რათა სტუდენტებმა აქტივობის შესრულება შეძლონ წინარე ცოდნის აქტუალიზების გზით.

მასწავლებელი შესთავაზებს სტუდენტებს თეზისს, შეახსენებს სტუდენტებს, რომ ნებისმიერ თეზისთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს ორი პოზიცია (1. ვეთანხმები; 2. არ ვეთანხმები).

თეზისი: სკოლებში საჭიროა სასკოლო ფორმის შემოღება

თავდაპირველად მასწავლებელი და სტუდენტები ერთობლივად ჩამოწერენ არგუმენტებს (იდეების გენერირების გზით). არგუმენტების მოფიქრების შემდეგ დაფაზე გამოსახავს ცხრილს და სტუდენტებს შესთავაზებს მის შევსებას. სტუდენტებისთვის მოდელის საჩვენებლად, მასწავლებელი ავსებს პირველი და მეორე არგუმენტის მეორე სვეტს (დაკავშირება).

ამის შემდეგ აწყვილებს სტუდენტებს და სთხოვს, შეავსონ ცხრილის დანარჩენი ნაწილი (დაკავშირების სვეტი 3-5 არგუმენტებისთვის).

ცხრილი

პოზიცია 1.

თეზისი: სკოლებში საჭიროა სასკოლო ფორმის შემოღება

პოზიცია	არგუმენტი (მიზეზი)	დაკავშირება
ვეთანხმები (+)	დისციპლინის ამაღლება	ფორმის ტარება მოსწავლეებს უქმნის სწავლისთვის საჭირო განწყობას, ამაღლებს მათ მზაობას
	ყურადღების გადატანა მხოლოდ სწავლაზე	მოსწავლეებს ყურადღება არ ეფანტებათ ერთმანეთის ტანსაცმლის თვალთვლებაზე
	თანაბრობა მოსწავლეთა შორის	მოსწავლეები არ განასხვავებენ ერთმანეთს იმის მიხედვით, ვის აცვია ძვირი და მოდური სამოსი, ვის არა.
	მოსწავლეების დროის დაზოგვა	მოსწავლეები ნაკლებ დროს ხარჯავენ სკოლაში წასასვლელად მზადებაზე, ჩასაცმელის შერჩევაზე
	მშობლების ფულის დაზოგვა	მშობლებს არ სჭირდებათ ნაირ-ნაირი სამოსის ყიდვა, წელიწადში ერთხელ შეიძენენ ფორმას.

ცხრილის შევსების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს, დაწერონ ერთაბზაციანი ტექსტი, რომელშიც გამთლიანებული სახით წარმოადგენენ ჩატარებულ სამუშაოს შედეგებს.

იდეები დამატებითი აქტივობებისთვის

მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს საპირისპირო პოზიციის ამსახველი არგუმენტების მოფიქრება და განვითარება ამავე ცხრილის საფუძველზე.

პოზიცია 2.

თეზისი: სკოლებში საჭიროა სასკოლო ფორმის შემოღება		
პოზიცია	არგუმენტი (მიზეზი)	დაკავშირება
არ ვეთანხმები (-)	მოსწავლეთა ინდივიდუალობის შეზღუდვა	
	თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა	
	სხვ.	

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1, 2, 3, 4

- V შედეგი, 1, 4;
- VI შედეგი, 1, 2, 3, 4, 5.

აქტივობა # 5. როლური თამაშები არგუმენტირების უნარების გასავითარებლად

არგუმენტირების უნარების გასავითარებლად მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს სიმულაციური თამაშები ქვემოთ შეთავაზებული სცენარების საფუძველზე. სტუდენტებს შეუძლიათ თავად შეარჩიონ მათთვის სასურველი სცენარი ან მოიფიქრონ სხვა.

მასწავლებელი საგანგებოდ აფრთხილებს სტუდენტებს, რომ მათი მთავარი ამოცანაა, გამოავლინონ დასაბუთების უნარები - მოიფიქრონ არგუმენტები და კონტრარგუმენტები შეთავაზებული სცენარების საფუძველზე.

მასწავლებელი სტუდენტებს მცირე დროს აძლევს მოსამზადებლად, შემდეგ სთხოვს არჩეული სცენარის გათამაშებას (სასურველია გათამაშდეს, სულ მცირე, ორი სცენარი). გათამაშების შემდეგ მასწავლებელი აუდიტორიას სთხოვს შეაფასოს, რომელი მათგანი იყო საუკეთესო და რატომ; ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რამდენად ითვალისწინებდნენ მონაწილეები კონტრარგუმენტებს და როგორ პასუხობდნენ მათ.

სცენარი 1. მასწავლებელი და მოსწავლე

მოსწავლე სთხოვს მასწავლებელს, დამატებითი დრო მისცეს საკლასო დავალების შესასრულებლად.

სცენარი 2. ორი მეგობარი

ორი მეგობარი აპირებს კინოთეატრში წასვლას. ორივეს სხვადასხვა კინოს ნახვა უნდათ. თითოეული მათგანი მეორეს უსაბუთებს, რომ მისი არჩევანი საუკეთესოა.

სცენარი 3. მშობლები და შვილი

მშობლები სტუმრად მიდიან ნათესავებთან და უნდათ, რომ შვილიც თან წაიყვანონ. შვილს ურჩევნია, საღამო მეგობრებთან ერთად გაატაროს.

სცენარი 4. მამა და შვილი

შვილს სურს ბოლო თაობის სმარტფონი. მამა თვლის, რომ შვილი ჯერ პატარაა და შეუძლია დაკმაყოფილდეს მობილური ტელეფონით.

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- I შედეგი, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8
- V შედეგი, 4.

აქტივობა # 6. ვისაუბროთ არგუმენტირებულად: დისკუსია შეთავაზებულ მულტიმედიურ რესურსზე დაყრდნობით.

აქტივობის შესახებ: აქტივობა ავითარებს მულტიმედიური წიგნიერების უნარებს; ხელს უწყობს კრიტიკული მოსმენისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას. აქტივობა ტარდება 2 ეტაპად.

რესურსები: მულტიმედიური ტექსტები: 2 ვიდეორგოლი.

ვიდეორგოლი N 1 (ხანგრძლივობა 3.43 წთ.): მეხილეობასაქართველოში -

ხეხილის მოვლა და აგროტექნიკურისაშუალებებითანამედროვემეურნეობაში (გადაცემა „ჩვენი ფერმა“, I არხი, საზოგადოებრივი მაუწყებელი (2014 წ.)

ვიდეორგოლი # 2 (ხანგრძლივობა 3.08 წთ.): სანერგემეურნეობაზე მონიქოზში, გადაცემა „ჩვენი ფერმა“, I არხი, საზოგადოებრივი მაუწყებელი (2014 წ.)

აქტივობის აღწერა:

I ეტაპი. მასწავლებელი გააცნობს შესასრულებელი სამუშაოს არსს და გააცნობს მის ეტაპებს. მასალის დემონსტრირებამდე სთხოვს სტუდენტებს, დააკვირდნენ, შეამჩნევენ თუ არა წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, პრაქტიკოსი ფერმერების თვალსაზრისს, მეორე მხრივ კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცხადებულ მიდგომას შორის.

ამის შემდეგ ჩართავს ვიდეომასალას და აჩვენებს 2-3-ჯერ.

ამის შემდეგ მასწავლებელი, მართული შეკითხვების გზით, სტუდენტების ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ: ა) პრაქტიკოსი ფერმერები მომხრე არიან დივერსიფიცირების, ბაზარზე ორიენტირებულობის, ძირითად პრობლემად კი ასახელებენ გასაღებას; ბ) სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ორიენტირებული მონოკულტურაზე - ძირითადად ვაშლის ბაღების მოშენებას აფინანსებს (ამაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ, ცხრილში).

II ეტაპი

მასწავლებელი სტუდენტებს შესთავაზებს, მოაწყონ დისკუსია შემდეგ საკითხზე:

ნანახი ვიდეორგოლების საფუძველზე იმსჯელეთ, მიზანშეწონილია თუ არა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში?

აუცილებელია, რომ გამოიკვეთოს ორი მხარე - მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების. დისკუსიის დროს სტუდენტები აყალიბებენ არგუმენტებს თავიანთი პოზიციის დასაცავად, რისთვისაც იყენებენ დარწმუნების მათთვის ცნობილ ხერხებს.

ქვემოთ ნიმუშის სახით მოყვანილია მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები (ბუნებრივია, შესაძლებელია მათი გავრცობა-გაფართოება).

მიზანშეწონილია, რადგან:	<u>არ არის</u> მიზანშეწონილი, რადგან:
--------------------------------	--

<p>არგუმენტი 1.</p> <p>ამით სამინისტრო ხელს უწყობს რეგიონში სოფლის მეურნეობის აღორძინებას: როგორც ითქვა, სამინისტროს თანადაფინანსებით გაშენდება 63 ჰა ბაღი. ეს, ზოგადად, სამუშაოდ წახალისებს პრაქტიკოს ფერმერებს, მისცემს მათ მეურნეობის გაფართოების შესაძლებლობას.</p>	<p>არგუმენტი 1.</p> <p>სამინისტრო შემოიფარგლება ძირითადად ერთ რეგიონის - შიდა ქართლის - დაფინანსებით (შიდა ქართლი დასახელებულია 1-ლი რეპორტაჟის დასაწყისშივე). ისედაც შეზღუდული რესურსების მხოლოდ ერთ რეგიონზე დახარჯვა არ არის გონივრული - სხვა რეგიონებზე ვინდა უნდა იზრუნოს?</p>
<p>გამოხმაურებები საპირისპირო მოსაზრებაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რეპორტაჟის დასაწყისში ქართლის ხსენებას ვერ დავეყრდნობით - ვიცით, რომ მასალა შემოკლებულია. თუნდაც ასე იყოს, მხოლოდ ქართლის ფერმერების დაფინანსებაც მისასაღმებელია - საფიქრებელია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, შემდგომში, ალბათ, სხვა რეგიონებიც ჩართვებიან. ➤ სხვ. 	<p>გამოხმაურებები საპირისპირო მოსაზრებაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ეს მხოლოდ კეთილი იმედია. სამინისტროს სამომავლო გეგმებზე (რამდენ წელს გაგრძელდება პროექტი) არაფერი იყო ნათქვამი. გინდაც ასე იყოს, რატომ უნდა დავაყენოთ რიგში სხვა რეგიონები? ამან შეიძლება არაჯანსაღი დამოკიდებულებები წახალისოს. განა არ შეიძლებოდა ისე დაგეგმვა, რომ პროექტის ყველა ეტაპზე სხვადასხვა რეგიონის ფერმერები ყოფილიყვნენ ბენეფიციარები? ➤ სხვ.

<p>არგუმენტი 2.</p> <p>პროექტი წახალისებს და დაეხმარება ფერმერებს, ასწავლის მათ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მიდგომების (წვეთოვანი სარწყავი სისტემა, ინტენსიური ბაღები) დანერგვას. ეს გააუმჯობესებს მოსავლის ხარისხს, გაზრდის მოსავლის რაოდენობას.</p>	<p>არგუმენტი 2.</p> <p>I-რეპორტაჟებში II ჩვენ მოვისმინეთ ორი პრაქტიკოსი ფერმერის რჩევა. პირველი რეპორტაჟის ფერმერის თქმით, ოპტიმალურია მეურნეობის დივერსიფიცირება, ჩანდლერის ჯიშის კაკლის მომყვანი ფერმერიც, როგორც ჩანს, ამ აზრს იზიარებს - ძირითადი კაკლის კულტურის გარდა, მას ჰქონია ვაშლი, შინდი, მსხალი, ნუში. რატომ არ უგდებს ყურს სამინისტრო ფერმერებს? ასეთი უყურადღებობა რეალურად ვერ აამაღლებს მათ მოტივაციას.</p> <p>ჩანს, რომ სამინისტროს ყურადღება, ძირითადად მიმართულია მოვლის ახალი ტექნოლოგიების დანერგვისკენ (წვეთოვანი სარწყავი სისტემა) და არა ახალი კულტურების მოშენებისკენ - ასეთი ცალმხრივი მიდგომა არ გაამართლებს</p>
<p>გამოხმაურებები საპირისპირო მოსაზრებაზე:</p>	<p>გამოხმაურებები საპირისპირო მოსაზრებაზე:</p>

<ul style="list-style-type: none"> ➤ ნიქოზელი მეწარმე მხოლოდ კაკლისა და ნუშის მოშენებაზე მუშაობს. ის, უბრალოდ, ასახელებს, რომ ხილის სხვა სახეობებიც აქვს. ➤ პროექტის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ძირითადად ვაშლის ბალები გააშენეს (და არა მხოლოდ ვაშლი) 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ის ასახელებს ასევე შინდს, მოცვს- მას ფართო ინტერესები აქვს და მხოლოდ კაკალი არ აინტერესებს.
<p>არგუმენტი 3.</p> <p>პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივი უნიკალური ჯიშების შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას ინოვაციების გამოყენებით გაზრდის მეშვეობით.</p>	<p>არგუმენტი 3.</p> <p>ადგილობრივი მონოკულტურების ინტენსიური ხელშეწყობა მცდარი კურსია და წამგებიანი იქნება მთელი მეურნეობისთვის.</p> <p>პირველი რეპორტაჟის ფერმერი, როგორც ითქვა, ლაპარაკობდა დივერსიფიცირებაზე და გასაღების პრობლემებზე (მოყვანა კი არ არის პრობლემა, გასაღებაა მთავარი).</p> <p>ნიქოზელი - ახალი, საქართველოსთვის ინოვაციური მასალის მოშენების მნიშვნელობაზე. კონკრეტულად ვაშლიც დაასახელა (როგორც გორელმა - ტრადიციული კულტურა გორისთვის) და ითქვა, რომ გასაღების მხრივ ვაშლს დიდი პრობლემები აქვს, მეურნეობა კი უნდა იყოს ბაზარზე (მარკეტზე) ორიენტირებული.</p> <p>ამგვარად,</p>

	<p>ვიდეომასალიდან აშკარავდება ის ფაქტი, რომ სოფლის სამინისტრო ყურს არ უგდებს პრაქტიკოსებს და მხოლოდ ვაშლს აფინანსებს.</p>
<p>გამოხმაურებები საპირისპირო მოსაზრებაზე:</p> <p>სამინისტრომ თქვა, რომ <u>ძირითადად</u> დაფინანსდა ვაშლი (და არა <u>მხოლოდ</u> ვაშლი). ამას შეიძლება სხვა მიზეზებიც ჰქონდეს - მაგ., მევაშლეებმა უკეთესი პროექტები წარმოადგინეს. თუმცა კი სამინისტრო, როგორც უწყება, მოვალეა დაიცვას ქვეყნის აგრიკულტურული მემკვიდრეობა, ადგილობრივი უნიკალური ჯიშები და პროდუქცია (ღვინო, ყველი). ეს ისეთივე ეროვნულიკულტურული მემკვიდრეობაა, როგორც, მაგ., ვეფხისტყაოსანი. ჩვენი წინაპრების მიერ გამოყვანილი მრავალსაუკუნოვანი ქართული ჯიშების აჩეხვა ისეთივე ბარბაროსობა იქნება, როგორც, მაგ., ტაძრების დანგრევა.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ორი ფერმერის მაგალითი მთელ სურათს ვერ მოგვცემს. რეპორტაჟიდანვე ჩანს, რომ შიდა 	<p>გამოხმაურებები საპირისპირო მოსაზრებაზე:</p> <p>სწორედ მაგ კულტურის შემქმნელის, ქართველი გლეხის შთამომავალი - თანამედროვე ქართველი ფერმერი საუბრობდა იმაზე, რომ გორში ვაშლის მოყვანას აზრი არ აქვს მისი გასაღების პრობლემების გამო და ამიტომაც შემოიტანა ამერიკული ჯიშის კაკალი. სჯობს, სამინისტრომ ყური დაუგდოს პრაქტიკოსებს, ქართველ ფერმერებს და მათი თვალსაზრისის გათვალისწინებით დაგეგმოს თავისი საქმიანობა.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თუკი სამინისტრო და სახელმწიფო ტრადიციული კულტურების მოშენებაზე ორიენტირებული (თანაც მონოკულტურებისა), მაშინ უფრო მეტად უნდა იზრუნოს ჩვენი

<p>ქართლი ისევ ვაშლის მოყვანაზეა ორიენტირებული (უფრო მეტად ვაშლის ბაღის პროექტები იყო წარმოდგენილი კონკურსზე).</p>	<p>პროდუქციის პოპულარიზაციაზე, უფრო აქტიურად დაეხმაროს ფერემერებს გასაღების ბაზრების მოძებნაში.</p>
--	---

რა რეკომენდაციებს მისცემდით სამომავლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს?

მეთოდური მითითებები:

- აქტივობის დაგეგმვა და ჩატარება შესაძლებელია მეხილეობის პროფესიული მოდულის პედაგოგთან ერთად.
- დისკუსიის ჩატარების თაობაზე იხ. ზემოთ, თავი 2: აქტივობა *დისკუსია*.
- მასწავლებელმა სტუდენტების ყურადღება უნდა გაამახვილოს ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება დასაბუთებული მსჯელობის, არგუმენტირების დროს. ესენია:
 - დასაბუთებული მსჯელობისთვის
 - იმიტომ, რომ...
 - რადგან...
 - იმისთვის, რომ...
 - აქედან გამომდინარე
 - აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ...
 - აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ...
 - აქედან ჩანს, რომ ...
 - ...-ზე დაყრდნობით
 - ...-ის საფუძველზე
 - ამდენად,
 - ამრიგად,

- შესაბამისად; ამის შესაბამისად
- რომ შევაჯამოთ,
- თუ შევაჯამებთ,
- მოკლედ,
- თუ... მაშინ (პირობისეული მიმართება)

პირადი მოსაზრების გამოხატვისთვის

- ჩემი აზრით,
- ჩემი ვარაუდით,
- ვფიქრობ, რომ...
- ვთვლი, რომ...
- მიმაჩნია, რომ...
- მგონია, რომ...

რეკომენდაციები შეფასებისათვის:

აქტივობის შესრულება სტუდენტებს განუვითარებს I შედეგით განსაზღვრულ უნარებს. შეფასება შესაძლებელია აღნიშნული შედეგის შესრულების კრიტერიუმებით.

თემა: კონფლიქტები და ცვლილებები

ძირითადი სასწავლო რესურსები		აქტივობები
ბეჭდური ტექსტები	მულტიმედიური ტექსტები	აქტივობა # 1. ქვიზი აქტივობა # 2. კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება კონფლიქტის გარეშე აქტივობა # 3. როგორ ავირიდოთ კონფლიქტი? აქტივობა # 4. ქვიზი აქტივობა # 5: ახსნა-განმარტებითი ბარათი აქტივობა # 6. მოხსენებითი ბარათი აქტივობა # 7. როგორი მსმენელი ვარ?
<u>მხატვრული</u> ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“ (შემოკლებული ვერსია)	მხატვრული ფილმი „ვედრება“: ფრაგმენტი („ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით)	
<u>არამხატვრული</u> კონფლიქტი: მისი არსი და დამღვევის გზები (საინფორმაციო)		

თემატური საკვანძო კითხვები

- რა ზეგავლენას ახდენს კონფლიქტები ადამიანის ცხოვრებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე?
- როგორ შემიძლია გამოვიყენო კომუნიკაცია კონფლიქტის გადასაჭრელად?

- რამდენად და როგორ გვეხმარება მხატვრულ ლიტერატურაში ასახული კონფლიქტების გაცნობა ცხოვრებისეული კონფლიქტების გადაჭრაში?
- რა საშუალებებს იყენებენ მწერლები კონფლიქტის გადმოსაცემად, კონფლიქტის მონაწილეთა ფიქრების, გრძნობების, მოტივაციის, საჭიროებების წარმოსაჩენად?

შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები

შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს შემდეგი სამი აქტივობით:

- საკითხავი დავალებები: ქვიზი, რომელიც მოსდევს პოემას „ალუდა ქეთელაური“;
- თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი წერითი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით);
- თავის ბოლოს შეთავაზებული შემაჯამებელი აქტივობებიდან ნებისმიერი ერთი ზეპირი აქტივობა (სტუდენტის არჩევანის მიხედვით);

თუ სტუდენტი დამაკმაყოფილებელ დონეზე შეასრულებს ამ სამ აქტივობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მან ამ თემის ფარგლებში დაძლია მოდულის მოთხოვნები.

მოდულის შედეგები	სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები	საკითხები
პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა უნდა შეძლოს:	<p><i>ტექსტის ჟანრი</i></p> <p>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო მახასიათებლები</p> <p><i>ტექსტის კომპოზიცია</i></p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ჟანრები: პოემა, ➤ კომპოზიცია: თემა, პრობლემა, მთავარი იდეა (დედააზრი)/ძირითადი საკითხი; პერსონაჟი,
1. ტექსტის გაანალიზება ჟანრული და		

<p>კომპოზიციური მახასიათებლების გათვალისწინებით.</p> <p>2. ტექსტის გაანალიზება ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და სტრუქტურულ-ორგანიზაციული მახასიათებლების მიხედვით.</p> <p>3. ტექსტის გააზრება-გაანალიზება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.</p> <p>4. ტექსტების შედარება, ინტერტექსტობრივი მიმართებების გამოვლენა.</p> <p>5. ტექსტის ინტერპრეტირება, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება.</p> <p>6. სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ ნაწარმოების მთლიანობას ქმნის კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ერთობლიობა. ▪ კომპოზიციურ-ლიტერატურული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. <i>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება</i> ▪ სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება დამეხმარება ტექსტების სიღრმისეულად გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. ▪ მკაფიო სტრუქტურა და ლოგიკურად ორგანიზებამეხმარება ტექსტის შინაარსის უკეთ გაგებაში. <i>ტექსტის ენა, სტილი</i> ▪ ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი ფორმები და სიტყვები გავლენას ახდენს ტექსტისმნიშვნელობაზე/ფასეულობაზე. ▪ ავტორები იყენებენ სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებას იმისათვის, რომ უკეთ გადმოსცენ სათქმელი, მოახდინონ შთაბეჭდილება მკითხველზე, დაარწმუნონ მკითხველი. ▪ ენობრივისაშუალებებისცოდნადამეხმარებატექსტებისგაგება-გააზრებაში, მიზნის შესაბამისი ტექსტების შედგენაში. <i>საკომუნიკაციო სიტუაცია</i> ▪ საკომუნიკაციო სიტუაციის ცოდნის გამოყენება დამეხმარება ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში. <i>კონტექსტი</i> <p>კონტექსტის ცოდნა მეხმარება ტექსტის სიღრმისეულად, მრავალმხრივად გაგება-გააზრებაში. <i>ინტერტექსტუალობა</i></p>	<p>პერსონაჟის/ავტორის ფასეულობები/დამოკიდებულებები;</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ხედვის <p>კუთხე/პერსპექტივა;</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ საკომუნიკაციო სიტუაცია; ➢ რიტორიკის ელემენტები: თეზისი, არგუმენტი; რიტორიკული სტილის ძირითადი მახასიათებლები (სარწმუნოება, ლოგიკა, ემოცია); ➢ ტროპები: მეტაფორა, შედარება, ეპითეტი; ➢ ლექსიკა: დიალექტიზმები; ➢ გრამატიკა: მძიმე რთულ წინადადებაში; მძიმე განკერძოებულ წევრებთან (განსაზღვრებასთან, გარემოებასთან), პირობისეულობა და მისი გამოხატვა.
--	--	---

<p>გათვალისწინებით.</p> <p>7.წარმატებული კომუნიკაციის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების აღმოჩენა შესაძლებელია წინარე ცოდნა-გამოცდილების გამოყენებით. ▪ ინტერტექსტობრივი მიმართებების დადგენის შედეგად უფრო ღრმად/მრავალმხრივად გავიაზრებ ტექსტის მნიშვნელობას, იდეებს, თემებსა და პერსპექტივებს. <i>ინტერპრეტაცია</i> ▪ ტექსტის მნიშვნელობის ასახსნელად, ახალი კუთხით/ფორმით წარმოსაჩენად შემიძლია გამოვიყენო პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა. <i>ტექსტის გაგება</i> ▪ ტექსტის გაგება არის პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება. ▪ ტექსტის გაგების ხელშესაწყობად უნდა შევარჩიო და გამოვიყენო ცალკეული კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. <i>ტექსტის შედგენა-გაზიარება</i> ▪ ტექსტის შედგენა-გაზიარება არის კომპლექსური პროცესი, რომელიც ეტაპებისგან შედგება. ▪ ტექსტის შედგენა-გაზიარებისას უნდა: <ul style="list-style-type: none"> ○ გამოვიყენო ჟანრობრივი მახასიათებლებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნა; ○ შევარჩიო და გამოვიყენო კონკრეტული ეტაპის შესაბამისი სტრატეგია. 	
--	--	--

შენიშვნები:

- ენობრივი ცოდნის გაღრმავებისთვის, ენობრივი უნარების განვითარება-ავტომატიზაციისთვის სტუდენტებს შესაძლებელია დამატებით შევთავაზოთ დავალებები დამხმარე რესურსებიდან. ესენია:
დიალექტიზმები (დ. თვალთვაძე, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბილისი, 2013, გვ. 164-167).
სინტაქსის საკითხები
მძიმე რთულ წინადადებაში (დ. თვალთვაძე, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბილისი, 2013, გვ. 231, 306-308).
მძიმე განკერძოებულ წევრებთან (დ. თვალთვაძე, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბილისი, 2013, გვ. 289-292; 297-298). აღნიშნულ ენობრივ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული სავარჯიშოების რაობა და რაოდენობა უნდა შეირჩეს სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.
- ზეპირი ან წერიტი შემაჯამებელი დავალებების მიცემისას მასწავლებელმა სტუდენტებს წინასწარ უნდა გააცნოს შეფასების სქემები.

საკითხავი მასალა 1.

კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელსაც საკმაოდ ხშირად ვხვდებით: ზოგჯერ კონფლიქტის უშუალო მონაწილე ვყოფილვართ, ზოგჯერ კი სხვების კონფლიქტს შევსწრებივართ. როგორც წესი, კონფლიქტს უსიამოვნო გრძნობებსა და ემოციებს ვუკავშირებთ, მაგრამ მას აქვს დადებითი მხარეც - კონფლიქტს

შეუძლია დადებითი როლი მუქარულ სადამიანის პიროვნულ განვითარებაში, ადამიანთა ურთიერთობაში, საზოგადოების უკეთესობისკენ შეცვლაში.

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დასკვნებს გამოვიტანთ კონფლიქტიდან. უნდა გვახსოვდეს: ზოგჯერ კონფლიქტი გვაძლევს იმის შანსს, რომ გავიგოთ უფრო მეტი, გავიცნოთ სხვისი თვალსაზრისი, ახალი თვალთ დავინახოთ მოვლენები. ასე რომ, გარკვეულ შემთხვევებში, კონფლიქტიდან მიღებული გამოცდილება პოზიტიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანსა და საზოგადოებაში.

კონფლიქტი: მისი არსი და დაძლევის გზები

I

რა არის კონფლიქტი?

“კონფლიქტი”

ლათინური სიტყვაა და ქართულად შეიძლება ასე ითარგმნოს: ამა სიტყვითა და იმითა და ამიანი და იმის დაპირისპირებას, რომ ხარეს შორის ურთიერთობის იმგვარ ფორმას, როდესაც საპირისპირო მიზნები, მოთხოვნები და დამოკიდებულებები დამაბუღან არასასამოვნო სიტუაციას ქმნის.

ყოველდღიურ ცხოვრებაში კონფლიქტს ყველაზე ხშირად იგივე ენა გრესიასთან, მუქარასთან, მტრობასთან, ომთან. ამიტომ მიიჩნევა კონფლიქტი მიუღებელ მოვლენად და სასურველია, სასწრაფოდ, წარმოშობისთანავე მოგვარდეს.

კონფლიქტის გამომწვევის მიზეზები ყველაზე ხშირად არის აგრესიის გამოვლენის, საკუთარი უპირატესობის დამტკიცების სეველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი ხერხი. ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრების თანამდევად ხშირად შესაძლოა ვერც კი ვაცნობიერებდეთ, რომ ყვირილი ფსიქოლოგიური ძალადობის იარაღია. საბოლოოდ ამის შედეგად ზარალდება კონფლიქტი მონაწილეორივე მხარე – შეთანხმება ვერ ხერხდება, ადამიანებს კი გულისტკენა, წყენა, შიში, სევდა ეუფლებათ.

ყვირილი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძვას სიტყვიერი აგრესიის ფორმებია და ამ უსამოვნო “იარაღის” გამოყენება კონფლიქტის გამწვავებას უწყობს ხელს.

ამდროს ადამიანი მეორე მხარის დამარცხებას ფსიქოლოგიური ტკივილის მიყენებით ცდილობს.

სიტყვიერიაგრესიისგამოვლენისასთავსესხმიანპიროვნებისთვისებებსადაუნარებს. ხშირად- მის გარეგნობას, წარმომავლობას. სიტყვიერიაგრესიაუღირსიდამიუღებელია.

კონფლიქტის ტიპები

განასხვავებენკონფლიქტისოთხმირითადტიპს. ესენია:

1. პიროვნებათაშორისკონფლიქტი

ამ ტიპის კონფლიქტივლინდებაუმეტესადმატერიალური, შრომითი, ღირებულებითი, ემოციური, ფინანსურიდაპირისპირების, აგრეთვესხვადასხვახასიათის, ინტერესების, შეხედულებებისადამოთხოვნილებისმქონეადამიანებისდაპირისპირებისდროს.

2. პიროვნებისშინაგანიკონფლიქტი

შინაგანიკონფლიქტიწარმოიშობაიმისგამო, რომზოგჯერადამიანსერთსადაიმავესაკითხზეურთიერთსაწინააღმდეგოშეხედულებებიუყალიბდება. ამ დროს ადამიანში ორი საპირისპირო შეხედულებაებრძვის ერთმანეთს. შინაგანიკონფლიქტიშეიძლებაწარმოიშვასმაშინაც, როცასაზოგადოებისმოთხოვნილებებიარ ემთხვევა ან ვერემთხვევაპირად მოთხოვნილებებს.

3. კონფლიქტიპიროვნებასადაჯგუფს/საზოგადოებასშორის

პიროვნებასადაჯგუფსშორისკონფლიქტიწარმოიშობამაშინ, როცაჯგუფისმიერდაწესებულებებისნორმებიმიუღებელიაპიროვნებისთვისანამათუიმსაკითხისშესახებპიროვნებასაქვსჯგუფისგან/საზოგადოებისგანგანსხვავებულპოზიციას ან შეხედულებას.

4. ჯგუფთაშორისკონფლიქტი

ჯგუფთაშორისი კონფლიქტი გულისხმობს დაპირისპირებულ მხარეებს ან დაჯგუფებებს შორის არსებულ უთანხმოებას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით. მხარეები ცდილობენ თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებას მეორე მხარის ინტერესების ხარჯზე.

კონფლიქტის სახეები

კონფლიქტი შეიძლება იყოს კონსტრუქციული⁴⁹ და დესტრუქციული⁵⁰. პირველ შემთხვევაში კონფლიქტის მონაწილეები აცნობიერებენ, რომ მათი პოზიციები ერთიერთს აწინააღმდეგოა, მაგრამ ორიენტირებული არიან თანამშრომლობაზე, საკუთარი დამეორე მხარის ინტერესების დაცვაზე, რადგან აცნობიერებენ, რომ კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების დაკმაყოფილებით შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ კონსტრუქციული ან ურეალური შედეგის მქონე, პრობლემის მოგვარების კენჭი მართული კონფლიქტი ხშირად კონფლიქტში მონაწილე ადამიანების გაერთიანებას, დაახლოებას, სტაბილური ერთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დესტრუქციული კონფლიქტს ხშირად დამანგრეველ კონფლიქტსაც უწოდებენ. ამ სახის კონფლიქტში მონაწილე მხარეები ორიენტირებული არიან შეჯიბრებაზე, ვერა ცნობიერებენ თანამშრომლობის აუცილებლობას და ამწვავენ შექმნილ ვითარებას. დესტრუქციული კონფლიქტის შემთხვევაში მსხვერპლი დაზარალი ხშირად უფრო დიდია, ვიდრესადავოსაგნის ღირებულება თუ მნიშვნელობა. საბოლოო ჯამში, იქმნება უარყოფითი ემოციური ფონი, რაც ღიადება აგრესიით, აპათიით⁵¹ და პესიმიზმით⁵².

კითხვები წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის

1. პირველ აბზაცში ვკითხულობთ: „საპირისპირო მიზნები, მოთხოვნები და დამოკიდებულებები დამატულანარასასამოვნოსიტუაციასქმნის“.

ტექსტის მიხედვით, რომელი დებულება არ არის მართებული?

ა) დამატული ანარასასამოვნოსიტუაციის მიზეზია საპირისპირო მიზნები, მოთხოვნები და დამოკიდებულებები;

⁴⁹ კონსტრუქციული - რეალური შედეგის მომტანი; ის, რაც შეიძლება პრობლემის გადაჭრის საფუძველი გახდეს.

⁵⁰ დესტრუქციული - ის, რაც ხელს უშლის შემდგომ მუშაობას, რაიმე შეთანხმების მიღწევას. „დესტრუქციული“ და „კონსტრუქციული“ საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებია.

⁵¹ აპათია - უგრძობლობა, უხალისობა, გულგრილობა ყველაფრის მიმართ.

⁵² პესიმიზმი - ადამიანების, ადამიანების არსებობის, მოვლენების ზოგადად უარყოფითი შეფასება.

ბ) საპირისპირო მიზნების, მოთხოვნების და დამოკიდებულებების გამო იქმნება დამაბულიანარასასამოვნოსიტუაცია;

გ) საპირისპირო მიზნების, მოთხოვნების და დამოკიდებულებების შედეგად იქმნება დამაბულიანარასასამოვნოსიტუაცია;

დ) დამაბულიანარასასამოვნოსიტუაცია წარმოქმნის საპირისპირო მიზნებს, მოთხოვნებსა და დამოკიდებულებებს.

2. რა არის პირველი აბზაცის დანიშნულება?

ა) ახსნას კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზები;

ბ) ახსნას, რა არის კონფლიქტი;

გ) გვიჩვენოს, რა მოსდევს შედეგად კონფლიქტს;

დ) გვიჩვენოს, რა შემთხვევებში წარმოიქმნება კონფლიქტი.

2. მეორე აბზაცის თანახმად, რატომ მიიჩნევა კონფლიქტი მიუღებელ მოვლენად?

3. წაიკითხეთ მესამე აბზაცი. რის გამოხატულებაა ყვირილი?

4. მესამე აბზაცის თანახმად, რა მიმართებაა ყვირილსა და ფსიქოლოგიურ ძალადობას შორის?

ა) **მიზანი-საშუალება;**

ბ) მიზეზი-შედეგი;

გ) მოქმედება-მიმართულება;

დ) მთელი-ნაწილი.

5. მესამე აბზაცში ვკითხულობთ: „ყვირილი.... ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანამდევია“. როგორ შეიძლება გავიგოთ ეს ფრაზა?

ა) ყვირილი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია;

- ბ) ყვირილით ვცდილობთ, მივყვეთ ყოველდღიურ ცხოვრებას;
- გ) ყვირილი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემავსებელია;
- დ) არცერთი ვარიანტი არ არის სწორი.

6. მოიყვანეთ მესამე აბზაციდან წინადადება, რომლიდანაც ჩანს, რომ ყვირილი კონფლიქტს ვერ აგვარებს.

7. მეოთხე აბზაცზე დაყრდნობით, ჩამოთვალეთ სიტყვიერი აგრესიის ფორმები.

8. რას იწვევს სიტყვიერი აგრესია?

9. რატომაა უღირსი და მიუღებელი სიტყვიერი აგრესია? (უპასუხეთ მეოთხე აბზაცზე დაყრდნობით)

10. წაიკითხეთ მონაკვეთი 4 ტიპის კონფლიქტის შესახებ. რით განსხვავდება შინაგანი კონფლიქტი სხვა ტიპის კონფლიქტებისგან? (უპასუხეთ ტექსტზე დაყრდნობით)

11. წაიკითხეთ მონაკვეთი კონფლიქტის სახეების შესახებ. რაზე არიან ორიენტირებული კონსტრუქციული კონფლიქტის მონაწილეები? რა არის ამის მიზეზი?

12. რას შეიძლება ხელი შეუწყოს კონსტრუქციულმა კონფლიქტმა?

13. რაზე არიან ორიენტირებული დესტრუქციული კონფლიქტის მონაწილეები? რა არის ამის მიზეზი?

14. რა არის დესტრუქციული კონფლიქტის შედეგი?

15. ცნობილია, რომ კონფლიქტი გარკვეულ შემთხვევებში დადებით ცვლილებებს უწყობს ხელს. მონაკვეთის რომელ აბზაცს შეესაბამება ყველაზე მეტად ეს დებულება?

- ა) I აბზაცს;
- ბ) III აბზაცს;

გ) II აბზაცს:

დ) IV აბზაცს.

II

კონფლიქტისმოგვარებისსტრატეგიები

გთავაზობთამერიკელიფსიქოლოგის, კონფლიქტებისმართვისსპეციალისტის, თომასკილმანისმიერშემუშავებულ 5 სტრატეგიას. ეს სტრატეგიებიინებისმიერიტიპისკონფლიქტურისიტუაციისმოგვარებაშიდაგეხმარებათ.

კონფლიქტისარიდება

კონფლიქტისმოგვარებისესტრატეგიაარაკომუნიკაციური და პასიურია.ადამიანი “არიმჩნევს”, ხუმრობაშიატარებს, ცდილობს, ყურადღებასხვასაკითხზეგადაიტანოს, შეცვალოსთემანსაერთოდგაერიდოსკონფლიქტურგარემოს.

კონფლიქტის არიდებამშესაძლოაგანმუხტოსანდროებითმოავაროსკონფლიქტი, რაცდაპირისპირებულმხარეებსგარკვეულდროსმისცემსყოველივესგასააზრებლად, დასამშვიდებლადდაოპტიმალური⁵³გამოსავლისსაპოვნელად.

კილმანი აღნიშნავს, რომადამიანები, რომლებიცკონფლიქტურვითარებაშიხშირადმიმართავენამსტრატეგიას, თავიდანცილებენსტრესს, გაღიზიანებას, ნერვიულობას, მაგრამ ამას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგიც: მუდამასეთიმიდგომა, გრძნობებისჩახშობა და დამალვაიწვევსგაღიზიანებას, იმედგაცრუებას, აგრესიასადაჩაკეტილობას. არიდებისმაგალითიაორმხრივიდათმობა და მოლაპარაკება. ყველაზეხშირადესმაშინხდება, როდესაცკონფლიქტისსაგანიმხარეებისთვისმანცდამანცმნიშვნელოვანიარარის.

დათმობა

ხდებაისეც, რომრომელიმემხარეგანსაკუთრებითუფრთხისკონფლიქტისგამწვავებასდაპოზიციასთმობს. დათმობასხვისინტერესებისდაკმაყოფილებისკენმიმართულიქვევადაურთიერთობისშენარჩუნებასგულისხმობს.

ამდროსადამიანიადიარებსსხვისსიმართლესთუ საჭიროებას და , ა მ ი ს შე ს ა ბ ა მ ი ს ა დ, უკანაპლანზეგადააქვსსაკუთარი. დათმობაეფექტიანია, როდესაცმხარეებსპრობლემისგადაჭრაზეუფრო მეტადკარგი ურთიერთობის

⁵³ოპტიმალური - ყველაზე შესაფერისი, ყველაზე მოსახერხებელი, საუკეთესო.

შენარჩუნებააინტერესებთ.
როდესაცდაპირისპირებამათვისმტკივნეულიდაარაკომფორტულია.

დათმობასმიმართავენადამიანებიმაშინაც,

კონკურენცია

ამსტრატეგიასმიმართავსის, ვინცნაკლებადაადაინტერესებულიურთიერთობისშენარჩუნებით,
ვისთვისაცდაპირისპირებულიმხარისინტერესებიუმნიშვნელოა, ხოლო საკუთარიმიზნისმიღწევა – ყველაზე
მნიშვნელოვანი.

კონკურენციაგულისხმობსმხოლოდერთიმხარისინტერესებისდაკმაყოფილებასდაცალმხრივიგადაწყვეტილებისმიღწევასნები
სმიერისაშუალებებისგამოყენებით.

გასათვალისწინებელია, რომკონფლიქტისმოგვარებისერთადერთიგზაამშემთხვევაში„გამარჯვებული -
დამარცხებული“გამოვლენაა, რაცძალიანამწვავებსდაპირისპირებას.
ამშემთხვევაშიადამიანიარჩევანსაკეთებსგამარჯვებასადაურთიერთობასშორის.

კონკურენციის სტრატეგიისგამოყენებისდროსაქტიურადმიმართავენძალისდემონსტრირებას,
იშველიებენავტორიტეტებს, კანონს. აღსანიშნავიაისიც, რომამითკონფლიქტისაბოლოოდარგვარდება,
რადგანდამარცხებულიმხარეხელსაყრელშემთხვევაშიკვლავმიუბრუნდებადავისსაგანს.

კომპრომისი

თუკონფლიქტშიჩართულიორივემხარემზადარისდათმობისთვის,საქმეგვაქვსკომპრომისთან⁵⁴.

ამშემთხვევაშიარცერთიმხარეარარისმომგებიანანწამგებიანპოზიციაში.

საბოლოოშედეგიორივესმხრიდანნაწილობრივიდათმობისხარჯზემიიღწევა,

რადგანკომპრომისითანამშრომლობასადაკომუნიკაციასემყარება.

კომპრომისიკონფლიქტისმოგვარებისპოზიტიური, ეფექტურიდამისაღებისტრატეგიაა. მიუხედავად ამისა,მიიჩნევენ,
რომისმხოლოდდროებიტავარებსკონფლიქტსდაარარისგათვლილიხანგრძლივანსაბოლოოშედეგზე. ნებისმიერშემთხვევაში,
კომპრომისისაშუალებასაძლევსმხარეებს, გაარკვიონდაერთმანეთსგააცნონსაკუთარიინტერესები;მოძებნონ, რაშიემთხვევა
მათი ინტერესები ერთმანეთს. ამის შედეგად მხარეები შეძლებენ სამოქმედოგეგმის შემუშავებას.

თანამშრომლობა

თანამშრომლობასაშუალებასაძლევსკონფლიქტისმონაწილემხარეებს, იმოქმედონერთობლივად
დადააკმაყოფილონორივემხარისინტერესები. პროცესიწარიმართებაგამოცდილებისურთიერთგაზიარებით,

⁵⁴კომპრომისი - შეთანხმება, რომელიც მიიღწევა ურთიერთდათმობის გზით.

უწყვეტიკომუნიკაციით (ურთიერთობით). თანამშრომლობას მიმართავენ მაშინ, როდესაც მხარეებს აქვთ სურვილი, კონსტრუქციული გზით მიაღწიონ შეთანხმებას და შეინარჩუნონ სამომავლო ურთიერთობა. საბოლოოდ, გამარჯვებული და დამარცხებული არ ვლინდება, ურთიერთობა მტკიცდება, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები ხანგრძლივ პერსპექტივაზე აორიენტირებული.

თანამშრომლობა კონფლიქტის მოგვარების ყველაზე სასურველი, მაგრამ ყველაზე რთული გზაა, რადგან მოითხოვს უამრავ დროსა და ენერჯიას, შრომას, მოლაპარაკებებს, შემოქმედებით მიდგომას, ალტერნატივების შესწავლას.

მოლაპარაკება

კონფლიქტის მოგვარების კარგისა შუალეობაა მოლაპარაკება. მოსალაპარაკებლად საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა:

1. ერთმანეთის განგამიჯნეთ პიროვნება და პრობლემა.
2. კონფლიქტი ყოველთვის არ გულისხმობს მონაწილეთა მიტრულად მოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ. მიტრული დამოკიდებულება მაშინ იჩენს თავს, როცა ორივე მხარეს მიდენად მტკიცე პოზიცია აქვს, რომ პოზიციაზე ნებისმიერ შეტევას მათი პიროვნებაზე თავდასხმას თანაიგივებენ. ნურასოდეს გადახვალთ კონფლიქტის დროს პიროვნულ შეურაცხყოფაზე.
3. გაარკვეეთ მოწინააღმდეგის პოზიცია.
4. აქტიური მოსმენა, გულისხმიერი დამოკიდებულება, საკუთარი დასახვა დამიანების ღირსების პატივისცემა, გულწრფელი თვითგამოხატვა მეტად მნიშვნელოვანია მოლაპარაკების დროს.
5. ჩააყენეთ საკუთარი თავი თქვენ იმ მოწინააღმდეგის მდგომარეობაში: წარმოიდგინეთ, რას შეიძლება გრძნობდეს. ხშირად კონფლიქტს გაუგებრობა ან უთქმელობა იწვევს და მოგვარება ცხოლოდ საუბრის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის მეშვეობითაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში კონფლიქტი ჩანასახში ვემოგვარდება.

ნინო ლომიძე

(წყარო: <https://www.aversi.ge/cnobar/1251/>.)

სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ვერსია ადაპტირებულია)

კითხვები წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის

1. დაასახელეთ კონფლიქტის მოგვარების 5 სტრატეგია. ვინ შეიმუშავა ეს სტრატეგიები?
2. რომელი ტიპის კონფლიქტების მოგვარებაა შესაძლებელი ამ სტრატეგიებით? (მოიყვანეთ პირველი აბზაციდან თქვენი პასუხის დამადასტურებელი წინადადება)
3. როგორ იქცევიან ადამიანები კონფლიქტის არიდების შემთხვევაში?
4. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს კონფლიქტის თავიდან არიდებას? (უპასუხეთ მესამე აბზაცზე დაყრდნობით)
5. რა შემთხვევებში იყენებენ დათმობის სტრატეგიას?
6. რა შემთხვევაში იყენებენ კონკურენციის სტრატეგიას?
7. შესაძლებელია თუ არა კონკურენციით კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრა? რატომ?
8. არსებობს გამონათქვამი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. გადაიკითხეთ კონკურენციაზე დაწერილი მონაკვეთი და მიუთითეთ, რომელ აბზაცს შეესაბამება ყველაზე მეტად ეს გამონათქვამი?

ა) II აბზაცს;

ბ) III აბზაცს;

გ) I აბზაცს;

დ) არცერთი ვარიანტი არ არის სწორი.

9. რა შემთხვევაშია შესაძლებელი კომპრომისი? როგორ შეიძლება კომპრომისის მიღწევა?

10. წაიკითხეთ კომპრომისზე დაწერილი მონაკვეთის მე-2 აბზაცი და მიუთითეთ, რომელ წინადადებაშია ლაპარაკი კომპრომისის უარყოფითი მხარეზე.

- ა) I წინადადებაში;
- ბ) IV წინადადებაში;
- გ) III წინადადებაში;
- დ) II წინადადებაში.

11. როგორ მიმდინარეობს თანამშრომლობის პროცესი? როდისაა შესაძლებელი თანამშრომლობა?

12. რატომ მიიჩნევენ თანამშრომლობას კონფლიქტის მოგვარების ყველაზე რთულ გზად?

13. წაიკითხეთ მოლაპარაკებაზე დაწერილი პრინციპები. რა შემთხვევაში იჩენს თავს მტრული დამოკიდებულება?

14. მოლაპარაკების მე-3 პრინციპის თანახმად, საჭიროა მოწინააღმდეგის პოზიციის გარკვევა. მიუთითეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება ამისთვის არაეფექტური?

- ა) კონკრეტული კითხვების დასმა;
- ბ) საუბრისას მშვიდი ტონის შერჩევა;
- გ) ყურადღებით მოსმენა;
- დ) საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

15. რა შემთხვევაშია შესაძლებელი კონფლიქტის ჩანასახშივე მოგვარება?

რეკომენდაციები შეფასებისათვის

ტექსტზე მუშაობა სტუდენტებს განუვითარებს უნარებს, რომლებიც გათვალისწინებულია შემდეგი მოდულის შედეგების შესრულების კრიტერიუმებით:

- III შედეგები, 1, 2, 4, 6;
- IV შედეგი, 2

საკითხავი მასალა 2. ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“

სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს „ალუდა ქეთელაურის“ ტექსტის სრული ან შემოკლებული ვერსია.

შემოკლებული ვერსია წარმოდგენილია წინამდებარე გზამკვლევში (იხ. ქვემოთ), პოემის სრული ტექსტის ხილვა კი შესაძლებელია საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში. სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, ნაწარმოების ან მისი ცალკეული ეპიზოდების დამუშავებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს აქტიური კითხვის ფორმატი.

ტექსტზე მუშაობის დროს მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოებში მოცემული შეკითხვები და დავალებები, რომლებიც თან ახლავს „ალუდა ქეთელაურის“ ტექსტს. ისინი უნდა შეირჩეს სტუდენტთა კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.

მიზანშეწონილია, მასწავლებელმა წახალისოს სტუდენტები იმისთვის, რომ აქტიურად ჩაერთონ კითხვების გენერირების პროცესში. ეს გულისხმობს, რომ სტუდენტებმა თავად უნდა მოიფიქრონ ტექსტთან დაკავშირებული კითხვები და დაუსვან თანაჯგუფელებს.

ვაჟა-ფშაველა

ალუდაქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდან)

I

მაცნემოიდაშატილსა⁵⁵:

- ქისტებმამოგვცესზიანი,

დაგვიწიოკესმწყემსები,

ავნია, ავი-ზნიანნი.

ალუდაქეთელაური

კაციადავლათიანი⁵⁶,

საფიხენოს⁵⁷თავშიდაჯდების,

სიტყვამაუდისგზიანი⁵⁸;

ბევრქისტსმამარჯვენა⁵⁹,-

⁵⁵შატილი - სოფელი ხევსურეთში.

⁵⁶დავლათიანი - იბლიანი, ღვთისგან დალოცვილი.

⁵⁷საფიხენო - ადგილი ან ნაგებობა სოფელში, სადაც იკრიბებოდნენ სალაპარაკოდ, მოსათათბირებლად.

⁵⁸გზიანი სიტყვა - გონივრული, გამოსადეგი სიტყვა, მოსაზრება.

⁵⁹მარჯვენის მოჭრა - მთაში გავრცელებული წესის თანახმად, მოკლულ მტერს ხელს სჭრიდნენ და სოფელში მოჰქონდათ გამარჯვების ნიშნად.

სცადაფრანგული⁶⁰ფხიანი.

ცუდასრადუნდამტერობა,

კარგიამუდამტრიანი!

ქისტებს, რომლებმაც ალუდას ცხენებიც გაიტაცეს, პირიქითა ხევსურეთში გადასვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ალუდამ თოფი მოამზადა, ხმალი გალესა და დილაუთენია დაედევნა გამტაცებლებს. ის მალევე დაადგა ნაკვალევს და წამოეწია ორ ქურდს. ალუდას გასროლილმა ტყვიამ ერთი მათგანი სასიკვდილოდ დაჭრა. მეორე ქისტმა, რომელსაც მუცალი ერქვა სახელად, ალუდას თოფი დაუმიზნა და ჩახმახს გამოკრა ხელი.

გამასტყვრა⁶¹მუცალისთოფი,

კლდისპირიდაიშლებოდა,

ნადომი⁶²ტყვიისალუდას

კალთაშიჩაემლებოდა.

- არაგჭირსაა, რჯულძაღლო?! -

მუცალიეუბნებოდა.

- ნუგგონავ, მჭირდეს, რჯულძაღლო,

ყმასაგუდანისჯვრისასა⁶³.

⁶⁰ფრანგული - ერთგვარი ხმალი. ფხიანი ფრანგული - მჭრელი, ბასრი ხმალი.

⁶¹გამასტყვრა - გასროლილმა თოფმა ხმა გამოიღო.

⁶²ნადომი - ნაგლეჯი, ნაფლეთი.

⁶³გუდანის ჯვარი - მთავარი ხატი პირაქეთა ხევსურეთში.

ხმაალუდაისტოფისა

ჭეხასაჰგვანდაცისასა.

- არმოგხვდაუა⁶⁴, რჯულძადლო? -

ისევეძახისიმასა.

- მუცალსარასჭირს, რჯულძადლო, -

ნამტვრევსმაშლიდაკლდისასა...

- ოჰო, ქუდგაუხვრეტია,

წვერებსასტუსავსთმისასა.

- მალადაგიცდა, ბეჩავო,

კენჩხას⁶⁵არასჭირსძვლისასა.

გამოსტყვრამუცალისტოფი,

ტყვიაჩქამსიზამსქისესა,

გაუტეხსქეთელაურსა

⁶⁴არ მოგხვდაუა - არ მოგხვდა?

⁶⁵კენჩხა- თავის ქალა.

საპირისწამლესრქისასა⁶⁶.

- არცახლაგჭირსა, რჯულძაღლო?! -

ზედაცდაჰვედრებსიმასა.

- არასჭირს, არა, რჯულძაღლო,

ყმასაგუდანისჯვრისასა,

გამმარჯვედჯვარიდაჰყვების,

ძალსშახვეწებსღვთისასა.

გულსარჰხვდა, ნუგეგონების,

ამტვრევდაწამლისქისასა.

რაკისრევაზე⁶⁷მიდგება,

ჯავრსარცმეშავჭამმტრისასა.

შატილიონის⁶⁸წასროლი

ქისტსუმტვრევსგულისფიცარსა.

- არცახლაგჭირსა, რჯულძაღლო?! -

⁶⁶საპირისწამლე - თოფისწამლის (დენტის) სატარებელიჭურჭელი. ამზადებდნენ რქისგან, ხისგან, ვერცხლისგან.

⁶⁷სრევა - სროლა.

⁶⁸შატილიონი - შატლის მცხოვრები.

შამაუჭყვივლებსქისტასა.

- გულშიმჭირს, გულში, რჯულძაღლო,

ვაჰცდასამუცალისასა!

ძმაცხომამიკალ, მეცმამკალ,

რავუთხრამაღლსაღვთისასა?

მუცალსარწადისსიკვდილი,

ფერსარაჰკარგავსმგლისასა,

მაჰგლეჯს, დაიფევს⁶⁹წყლულშია

მწვანესბალახსამთისასა.

ერთიცესროლაალუდას,

ხანსარაჰკარგავსცდისასა.

თოფიცალუდასგაუგდო,

ერთსკიდევეტყვისსიტყვასა:

- ეხლაშენიყოს, რჯულძაღლო,

⁶⁹დაიფევს - ჩაიდებს. დაიფევს წყლულში - ჩაიდებს ჭრილობაში, ჭრილობას დაიცობს.

ხელსარჩავარდესსხვისასა.

სიტყვაგაუმრაპირზედა,

დაბლაგაერთხამიწასა.

ალუდასთოფიარუნდა,

ატირდა,როგორცქალიო;

არაჰყრისიარაღებსა,

არეხარბებათვალიო.

თავითდაუდვახანჯარი,

ზედეკრასპილოსძვალიო,

გულზემეგლიგი⁷⁰დაადვა,

მკლავზე - ფრანგულიხმალიო.

მარჯვენასარსჭრისმუცალსა,

იტყოდა: ცოდვაარიო;

⁷⁰მეგლიგი - კაჟიანი თოფი.

ვაჟკაცო, ჩემგანმოკლულო,
ღმერთმაგაცხონოსმკვდარიო.
მკლავზედაცგებასმარჯვენა,
შენზედალალიარიო,
შენხელშენსგულზედამიწდეს,
ნუმცხარობსქავის⁷¹კარიო,
კარგიგყოლიაგამდელი,
ღმერთმიდღეგრძელოსგვარიო!
სიგრძივგაჰხურანაბადი,
ზედგადაადვაფარიო.

II

ცხენზე ამხედრებულმა ალუდამ სახლისკენ გამოსწია, უნაგირზე მუცალის ძმის მარჯვენა ჰქონდა ჩამოკიდებული. გათენდა. მზე მაღლა- მაღლა მიიწევდა ცაზე. მძიმე ფიქრებში ჩაფლული ვაჟკაცი პირმოქუფრული უახლოვდებოდა შატილს.

ვისაცმტერობამოსწყურდეს,
გააღოსსახლისკარია,

⁷¹ქავი - ქვის მაღალი გალავანი. ძველებური ადათის თანახმად, მოკლული მტრის მარჯვენას ქვის გალავანზე აკრავდნენ.

სისხლდაიგუბოსკერაში,
თვითანაცმიგვემდგარია.
ღვინოდაციმასდაჰლევდეს,
პურადაცმოსახმარია.
პირჯვარიდაიწეროდეს,
მითამსაყდარშიარია.
სისხლშიაჰქონდესქორწილი,
იქდაიწეროსჯვარია,
დაიპატიჟოსსტუმრები,
დაამწკრიოდესჯარია.
სისხლშიდაიგოსლოგინი,
გვერდსდაიწვინოსცალია
ბევრიიყოლოსშვილები,
ბევრივაჟიდაქალია;
იქვესაფლავიგათხაროს,
იქდაიმარხოსმკვდარია.
შენროსხვამაჰკლა, შენცმოგკვლენ,
მკვლელსარშაარჩენსგვარია.

შატილსგადმოდგაბანებზედ

ხევსურთქალიდარძალია,

გამოეგებნენალუდას

ძმა, ძმისწულებისამნია.

ბევრსუნდაამბისგაგება,

ბევრნიმოვიდნენსხვანია.

მიულოციანალუდას:

- სახელიანიმცხარია!

ბებერიჰკითხავსუმიშა

ალუდასამბავსცდისასა.

უამბობსქეთელაური

ამბავსდილღველის⁷²მგლისასა:

“აქითწასულმა, უშიშავ,

კვალიშავაჭერმთისასა,

მოკლევადავეწივე.

ნავალდავატყვექვიშასა.

ორნიყვნენ, თოფივიხმარე,

წვერსვერუწვდენდიხმლისასა.

იმცხონებულსამუცალსა,

⁷²დილღველი - დილღოს მკვიდრი. დილღო ინგუშების საცხოვრებელი ადგილია მდ. ასას ხეობაში, ხევსურეთის საზღვართან.

რკინასდებიყოფულადა!

- რასამბობ? ქისტისცხონება

არდაწერილარჯულადა.

- მითვაქებვაჟკაცობასა,

არიციდებაფულადა.

სამმევესროლე. სამ - იმან,

მესამითდავასრულია.

მკერდზენაკრავმატყვიამა

გაუნამომა⁷³გულია.

ნატყვიარსბრძამით⁷⁴იფევდა,

ისედალიასულია.

სულსარაცლიდაამოსვლას,

კიდევმიხსენარჯულია.

ჩვენვიტყვით, კაცნიჩვენავართ,

⁷³გაუნამომა - დაუფლითა, დაუგლიჯა.

⁷⁴ბრძამი - მთის ბალახის სახეობა.

მარტოჩვენგზრდიანდედანი;
ჩვენავსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრშიმიელისქმენანი⁷⁵.
ამისთქმითვწარა-მარაობთ⁷⁶,
ლთიშვილთ⁷⁷უკეთესიციან.
ყველანიმართალსამზობენ
განა, ვინაცაჰფიციან?!
ვერგავიმეტემუცალი
მარჯვენისმოსაჰრელადა,
გულიგამიწყრა, არაჰქნა,
რაცსაქნელიამნელადა:
“დაე,დააკლდესსახელსა,
მეგირჩენივარმრჩევლადა”.

⁷⁵ურჯულოთ კუპრში მიელით ქმენანი - მთიელთა რწმენით, ჯოჯოხეთში მოხვედრილს სამარადისო ტანჯვა ელოდა კუპრში.

⁷⁶ვწარა-მარაობთ - წარამარა ვიმეორებთ.

⁷⁷ღვთიშვილნი - ხატები, სალოცავები.

ხევსურთაახალ-უხლები⁷⁸

გადაიქციან ტყემლადა⁷⁹,

ავადშაჰხედნესალუდას,

შაუძრახნიანხმელადა:

“მოკვდი, სიკვდილიგირჩვენავ,

რადხარსიცრუისმთქმელადა;

აიხსენგველისპირული⁸⁰,

დიაცთ⁸¹გადუგდეცხემლადა⁸²;

ფარი - ქსლისჩასაბეჭავად,

ხირიმ⁸³ - გაუდვანგარადა⁸⁴;

დამზაჩაგამოადგებისთ

საბრუნლად, თითისტარადა!

⁷⁸ახალ-უხლები - ახალგაზრდები, ახალგაზრდობა.

⁷⁹გადაიქციან ტყემლადა - დაიბნენ, ვერაფერი გაიგეს.

⁸⁰გველისპირული - ხმლის ეპითეტი.

⁸¹დიაცთ - ქალებს

⁸²ცხემლა - საქსოვი იარაღი.

⁸³ხირიმი - ძველებური კაჟიანი თოფი.

⁸⁴გარა - მრგვალი ხე, რომელზეც ქსოვისას საქსოვ ძაფს ახვევენ.

გამოჰქცევინარქისტის შვილს,

გადუქცევინარქალადა.

მაჰკალ, მარჯვენაარმასქერ,

უკანმისდევდიმარადა?!”

ზურგიაქციესალუდას

პირითაჯავრიანითა;

თავ-თავისსახლებსმიჰმართეს

ქერხოთით⁸⁵კარიანითა.

გაწირესქეთელაური

გულითანარიანითა,

სახელსალუდაისას

იმახდენზრალიანითა.

ამ დროს შატილში დაბრუნდა მინდია - უშიშარი ვაჟკაცი, რომელსაც თორმეტი მტერი ჰყავდა მოკლული. ალუდაზე აუგის გაგებისას მინდიამ შუბლი შეიკრა და თანასოფლელებს სთხოვა, ადვილად ნუ გაწირავდნენ ვაჟკაცს და მატყუარად ნუ ჩათვლიდნენ. სიმართლის გამოსარკვევად მინდიამ გადაწყვიტა, წასულიყო ალუდასა და ქისტების ბრძოლის ადგილზე.

⁸⁵ქერხო - ხევსურული სახლის მეორე სართული.